977

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

1977 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება

სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა

სსრ კავშირის კონსტიტუციის 115-ე მუხლის შესაბამისად

ბ ა ნ ი ნ ა ვ ნ ო ს:

იუსტიციის მესამე კლასის სახელმწიფო მრჩეველი ლერი ბერმანეს ძე თალაკვაძე საქართველოს სსრ პროკურორად ხუთი წლის ვადით და დამტკიცდეს რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის თავმჯდომარედ, განთავისუფლდეს რა იგი საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილის თანამდებობიდან.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორი
იუსტიციის ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი
რ. ა. რუდენკო

11.02.77
ქ. მოსკოვი

საბჭოთა სამართალი

№ 1

1977 წელი

იანვარი — თებერვალი

ჟურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს ორგანო
ორთვიური ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

Z3554

შინაარსი

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების შედეგების გამო 3

საქართველოს სსრ წიაღის ახალი კოდექსი 4

ლ. თალაკვაძე — სკკპ XXV ყრილობა და რესპუბლიკის პროკურატურის ორგანიზებულ ამოცანები 8

თ. ნინიძე — პირადი საიდუმლოების დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი გარანტიები 13

ჯ. რუსიაშვილი — მართლწინააღმდეგობის შინაარსი სამოქალაქო სამართალში . . 27

თ. შავგულიძე — მართლშეგნების ადგილი დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის ფაქტორთა შორის 34

შ. ფაფიაშვილი — საგამოძიებო ექსპერიმენტისა და ჩვენების ადგილზე შემოწმების ზოგიერთი პროცესუალური და ტაქტიკური საკითხები . . . 47

შ. ალავიძე — ავტოსაგზაო შემთხვევების გამომწვევი მიზეზები . . . 57

ოფიციალური მასალა 61

ნარევი 81

ს. ვისოცკი — ცოცხლებს შორის გაუჩინარებულნი 82

ალექსანდრე საგინაშვილის ხსოვნას 88

არბიტრაჟის პრაქტიკა 90

ბიბლიოგრაფია 94

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

Об итогах выборов народных заседателей районных (городских) народных судов Грузинской ССР 3

Новый кодекс Грузинской ССР о недрах 4

Л. Талаквадзе — XXV съезд КПСС и задачи органов прокуратуры республики 8

Т. Нинидзе — Гражданскоправовые гарантии соблюдения личной тайны . 18

Дж. Русишвили — Содержание противоправности в гражданском праве 27

Т. Шавгулидзе — Место правосознания среди факторов мотивации преступного поведения 34

Ш. Папиашвили — Некоторые процессуальные и тактические вопросы следственного эксперимента и проверки показаний на месте . . 47

М. Алавидзе — Причины, вызывающие автодорожные происшествия . . 57

Официальный материал 61

Смесь 81

С. Высоцкий — Пропавшие среди живых 82

Памяти А. Н. Сагинашвили 88

Практика Арбитража 90

Библиография 94

სარედაქციო კოლეგია

თ. დადიანი, ლ. თალაკვაძე, გ. ინწკირველი, აკ. კარნაძე, მ. ლომიძე, მ. ლეკვეიშვილი, გ. უვანია, გ. ტყეშელიაძე, ვ. ქვაჩახია, ა. შუშანაშვილი, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

შეკვ. № 562
ტირაჟი 18.050
უე 03894

© „საბჭოთა სამართალი“, 1977 წ.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. 103. ტელ. 95-58-87; 95-88-49

გადაეცა წარმოებას 5/II-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/III-77 წ. ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების შედეგების გამო

დამთავრდა დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანია — საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო მსაჯულთა არჩევნები.

შეჯამებულია არჩევნების შედეგები, რომელმაც ჩაიარა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების ნიშნით, უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც იმის შედეგია, რომ სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილება წარმატებით ხორციელდება.

სახალხო მსაჯულთა არჩევნები 1976 წლის 5-31 დეკემბერს მოეწყო სახალხო მსაჯულების უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო.

საარჩევნო კომპანიის დროს გაიმართა მუშათა, მოსამსახურეთა კოლმეურნეთა 6.411 საერთო კრება ,რომლებზეც თავიანთ მუშაობის შესახებ ანგარიშები წაიკითხა 2.788 სახალხო მსაჯულმა.

კრების მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სახალხო მსაჯულებს — სრულუფლებიან მოსამართლეებს — მინდობილი აქვთ საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია — მართლმსაჯულების აღსრულება.

რესპუბლიკაში სულ არჩეულია 11.760 სახალხო მსაჯული — 280-ით მეტი, ვიდრე წინა არჩევნებში, რაც იმის შედეგია, რომ რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში გაფართოვდა სახალხო სასამართლოთა შემადგენლობა.

არჩეულ სახალხო მსაჯულთა შორის 5.842 (49,7 პროცენტი) ქალია, 6.167 სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატია, 1.175 სრულიად საკავშირო ალკკ წევრია.

სახალხო მსაჯულთა შორის არიან ახალგაზრდები, რომლებიც ცოტა ხნის წინათ დაადგნენ დამოუკიდებელ შრომითს გზას, და ცხოვრების დიდი გამოცდილების მქონე ადამიანები. 2.170 სახალხო მსაჯული 30 წლამდე ასაკისაა, რაც ყველა არჩეული მსაჯულის 18,5 პროცენტს შეადგენს, 3,652 მსაჯული 31-დან 40 წლამდე ასაკისაა, 3.795-41-50 წლამდე ასაკის და 2,143—50 წელზე მეტი ხნისაა.

ხალხის გაზრდილ კულტურულ დონეს ადასტურებს ახლად არჩეულ სახალხო მსაჯულთა განათლების მაჩვენებლები. უმაღლესი განათლება აქვს 4 527 მსაჯულს ანუ სახალხო მსაჯულთა 38,5 პროცენტს, აქედან უმაღლესი იურიდიული განათლება აქვს 236 კაცს. საშუალო განათლებისაა 6.832 სახალხო ნსაჯული, ანუ 58,1 პროცენტი.

4.518 სახალხო მსაჯული ხელმეორედ არის არჩეული. ეს სახალხო მსაჯულთა მთელი ახალი შემადგენლობის 38,4 პროცენტს შეადგენს.

სახალხო მსაჯულთა შორის არიან სულ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. 3.630 ანუ 30,9 პროცენტი მუშაა, 1,216 ანუ 10,3 პროცენტი კოლმეურნე, 6,347 — მოსამსახურე, 567 — მოსწავლე, პენსიონერი, დიასახლისი და სხვ.

სახალხო მსაჯულთა ეროვნული შემადგენლობა ასახავს საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობას, რომელშიც ასამდე ეროვნების წარმომადგენლები არიან. სახალხო მსაჯულთა შორის ქართველია 9.019 კაცი, რუსი — 676, უკრაინელი — 74, ბელორუსი — 13, აზერბაიჯანელი — 180, სომეხი — 684, აფხაზი — 190, ოსი — 483, ებრაელი — 33 და ა. შ.

სკკპ XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ „ჩვენ მუდამ ვუთმობდით და კვლავაც დავუთმობთ ყურადღებას მილიციის, პროკურატურის, სასამართლოების, იუსტიციის ორგანოების საქმიანობის სრულყოფას, რომლებიც საბჭოთა კანონების, საბჭოთა საზოგადოების, ინტერესების, საბჭოთა მოქალაქეების უფლებების დაცვის სადარაჯოზე დგანან. პარტია, სახელმწიფო დიდად აფასებენ ამ დაწესებულებათა მუშაკების ძნელ და საპატიო შრომას, ზრუნავენ, რომ მათი შემადგენლობა ივსებოდეს მომზადებული ღირსეული კადრებით“.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სასამართლოების ახლად არჩეული სახალხო მსაჯულები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა გაამართლონ ხალხის მიერ გაწეული დიდი ნდობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ წიაღის ახალი კოდექსი

სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულება, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარება, რაც უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარების, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე, განუყოფელად არის დაკავშირებული ბუნებრივი რესურსების, განსაკუთრებით, მინერალური ნედლეულის სწორ და რაციონალურ გამოყენებასთან.

ჩვენი ქვეყნის სამთომომპოვებელი მრეწველობა, რომელიც მსოფლიო პროდუქციის თითქმის მეოთხედს იძლევა, უაღრესად მაღალი ტემპებით ვითარდება. სამეურნეო საქმიანობაში ჩართული ბუნებრივი სიმდიდრეების საერთო მატებაში მინერალური ნედლეულის ხვედრითი წილი 70 პროცენტს აღწევს, ამჟამად სახალხო მეურნეობაში იყენებენ თითქმის ყველა ცნობილ ქიმიურ ელემენტს და მათ მრავალ ნაერთს.

მეათე ხუთწლედში კიდევ უფრო დიდი ამოცანებია დასახული შავი და ფერადი მეტალურგიის განვითარებისათვის, მინერალური ნედლეულის ახალი საბადოების ათვისებისა და სახალხო მეურნეობის განვითარების სამსახურში მათი ჩაყენებისათვის.

სახალხო მეურნეობაში მინერალური ნედლეულის მოხმარების ტემპების ზრდა კიდევ უფრო ამაღლებს სასარგებლო წიაღისეულის რაციონალურად გამოყენების მნიშვნელობას, მოითხოვს წიაღის ბუნებრივი სიმდიდრისადმი მზრუნველ, ყაირათიან დამოკიდებულებას.

საბჭოთა კავშირს სასარგებლო წიაღისეულის აურაცხელი მარაგი აქვს. ჩვენს ქვეყანას მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს ქვანახშირის, მანგანუმის, რკინის, კალიუმის მარილებისა და ბევრი სხვა მინერალური ნედლეულის მოპოვების დარგში. უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანია საქართველოს გეოლოგიური რუკა. თავისი მაღალი ხარისხით საქვეყნოდ ცნობილია საქართველოს მანგანუმი, ბარიტი, ბენტონიტური თიხები, მინერალური და თერმული წყლები. მიუხედავად ამისა მინერალური ნედლეული ულევი და ამოუწურავი მაინც არ არის. სხვა ბუნებრივი რესურსებისაგან განსხვავებით (მაგალითად, ტყე, წყალი და ა. შ.) წიაღისეული მარაგის აღდგენა-განახლება პრაქტიკულად არ ხდება. ამიტომ ამ მარაგის ხარჯვა უნდა ხდებოდეს რაციონალურად, ეფექტურად, ეკონომიურად, უნდა ვითვალისწინებდეთ როგორც სახალხო მეურნეობის დაკმაყოფილების დღევანდელ მოთხოვნებს, ასევე უნდა ვზრუნავდეთ, რათა მომავალ თაობებს შევუნარჩუნოთ წიაღისეული სიმდიდრე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თანაბრად ზრუნავენ, როგორც სახალხო მეურნეობის წიაღისეული სიმდიდრით უზრუნველყოფისათვის, ასევე ამ წიაღის დაცვის, მისი გეგმიანი, რაციონალური და კომპლექსური გამოყენებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში გაუქმდა მიწის წიაღზე კერძო საკუთრება, შეიქმნა წიაღის გამოყენებასა და დაცვაზე კონ-

ტროლის სპეციალური სახელმწიფო ორგანოები. მიწის წიაღის გონივრულად ექსპლოატაციისა და დაცვის საქმეში დიდი როლი შეასრულა ლენინურმა დეკრეტებმა: „მიწის შესახებ“ (1917 წ. 26 ოქტომბერი) და „მიწის წიაღის შესახებ“ (1920 წ. 30 აპრილი), აგრეთვე „დებულებამ მიწის წიაღისა და მისი დამუშავების შესახებ“, რომელიც 1923 წლის 7 ივლისს დაამტკიცა სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და რომლის მოქმედება შემდგომ გავრცელდა სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე. წიაღის შესახებ კანონმდებლობამ შემდგომი განვითარება და სრულყოფა ჰპოვა სსრ კავშირის 1929 წლის სამთო დებულებაში, რომელიც სამთო კოდექსების სახელწოდებით მიიღეს რიგმა მოკავშირე რესპუბლიკებმა. საქართველოს სსრ სამთო კოდექსი, რომლის ძირითადი დებულებები ბოლო დრომდე მოქმედებდა, დამტკიცებული, იყო საქართველოს ცაკისა და სახკომსაბჭოს 1929 წლის 20 ნოემბრის დადგენილებით.

ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა დიდმა სოციალურ-ეკონომიურმა გარდაქმნებმა, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწრაფმა ზრდამ, სასარგებლო წიაღისეულის დამუშავების ტექნოლოგიის შემდგომმა გაუმჯობესებამ, წამოაყენა მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც მოითხოვდნენ საკანონმდებლო რეგლამენტაციასა და სრულყოფას. ამასთან დაკავშირებით 1975 წლის 9 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლების შესახებ“, რომელიც წარმოადგენს საფუძველს მოკავშირე რესპუბლიკების სამთო კანონმდებლობის შემდგომი განვითარებისათვის და სრულყოფისათვის.

საფუძვლების შესაბამისად, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის პროექტი. პროექტის მომზადებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტმა, შენიშვნები და წინადადებები წარმოადგინა „სახსამთოზედამხედველობის“ სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველომ, ამ საკითხებით დაინტერესებულმა სხვა დაწესებულებებმა, ცალკეულმა პირებმა. ეს შენიშვნები და წინადადებები გათვალისწინებულ იქნა კოდექსის პროექტის საბოლოო რედაქციის ჩამოყალიბებისას.

საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის პროექტი განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და დასამტკიცებლად წარუდგინა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს. კოდექსის პროექტი წინასწარ განიხილეს უმაღლესი საბჭოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, საკანონმდებლო განზრახულობათა და ბუნების დაცვის მუდმივმოქმედმა კომისიებმა, 1976 წლის 20 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის მეხუთე სესიამ განიხილა და დაამტკიცა საქართველოს სსრ წიაღის კოდექსი, რომელიც მოქმედებაში შედის 1977 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს სსრ წიაღის ახალი კოდექსი სავსებით შეესაბამება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლებს. ამასთან იგი ადგენს და ავითარებს იმ დებულებებს, რომლებიც საფუძვლების შესაბამისად რესპუბლიკის კომპეტენციაში შედის და უნდა გადაწყდეს ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

საქართველოს სსრ წიაღის კოდექსი შედგება პრეამბულისა და თერთმეტი კარისაგან, რომლებიც 90 მუხლს შეიცავს. პირველი კარი დაყოფილია თავე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბად. ყოველ კარს, თავს და მუხლს აქვს თავისი სათაური, რაც აადვილებს კოდექსით სარგებლობას.

კოდექსის პირველ კარში მოცემულია ზოგადი დებულებანი, განსაზღვრულია წიაღის კოდექსის ძირითადი ამოცანები. აღნიშნულია, კერძოდ, რომ კოდექსის ძირითადი ამოცანაა სამთო ურთიერთობათა მოწესრიგება, წიაღის რაციონალური კომპლექსური გამოყენების უზრუნველყოფა, მინერალურ ნედლეულზე არსებულ მოთხოვნილებათა და სახალხო მეურნეობის სხვა საჭიროებათა დაკმაყოფილება, წიაღის დაცვისათვის საჭირო ზომების მიღება, აგრეთვე საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა უფლებების დაცვა.

კოდექსში ხაზი აქვს გასმული იმ კონსტიტუციურ დებულებას, რომ წიაღი მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაა და იგი გაიცემა მარტოოდენ სარგებლობისათვის, აკრძალულია ყოველგვარი მოქმედება, რომელიც პირდაპირ თუ ფარული ფორმით არღვევს წიაღის სახელმწიფო საკუთრების უფლებას.

სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს არა მარტო სასარგებლო წიაღისეული, არამედ საერთოდ წიაღი, მისი ყველა მინერალი, საბადო და სამთო ქანი. სახელმწიფო საკუთრების უფლება ვრცელდება ყველა წიაღზე, მიუხედავად მისი სამეურნეო მნიშვნელობისა და დანიშნულებისა.

ძველ კანონმდებლობასთან შედარებით ახალი კოდექსით უფრო სრულყოფილად არის განმარტებული წიაღით მოსარგებლეთა სამართლებრივი სტატუსი, მათი უფლებები და მოვალეობები, განსაზღვრულია წიაღით სარგებლობის სახეები, წიაღისა და სამთო ნაკვეთების გაცემის პირობები და წესი.

წიაღით მოსარგებლენი შეიძლება იყვნენ არა მარტო სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, არამედ ცალკეული მოქალაქენიც. წიაღით მოსარგებლენი ვალდებულნი არიან წიაღის შესწავლის, დამუშავებისა და ექსპლოატაციის პროცესში დაიცვან ბუნებრივი გარემო, არ გააბინძურონ ჰაერი და წყალი, არ დააზიანონ ნაკრძალები, ბუნებისა და კულტურის ძეგლები.

კოდექსში განსაზღვრულია წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები და წესი, ამასთან დაწესებულია მთელი რიგი გარანტიები წიაღით მოსარგებლეთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

კოდექსში დიდი ადგილი და ყურადღება აქვს დათმობილი წიაღის გეოლოგიური შესწავლის საკითხებს და ეს გასაგებიცაა, რადგან თუ არ იქნა სრული და ყოველმხრივი მეცნიერული ინფორმაცია, შეუძლებელია წიაღის მიზნობრივი გამოყენება და სათანადოდ დაცვა. ამ მიმართულებით კოდექსის ძირითადი მოთხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც ანხორციელებენ წიაღის გეოლოგიურ შესწავლას, ვალდებული არიან უზრუნველყონ ჩატარებული სამუშაოების რაციონალური, მეცნიერულად დასაბუთებული მიმართულება და ეფექტიანობა, წიაღის გეოლოგიური აგებულების, საბადოების სამთოტექნიკური, ჰიდროგეოლოგიური და დამუშავების სხვა პირობების, აგრეთვე იმ მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლოატაციის სრული შესწავლა, რომლებიც დაკავშირებული არ არიან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან. მაშასადამე, წიაღის გეოლოგიური შესწავლა არ ამოიწურება მხოლოდ საბადოების გამოვლენითა და შეფასებით, თუმცა გეოლოგიის ორგანოების ძირითად ამოცანას სწორედ ეს წარმოადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასარგებლო წიაღისეულის რაციონალური შესწავლა და გამოყენება ზოგჯერ იმის გამოც რთულდებოდა, რომ სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ჩატარებულ სამუშაოთა გაფორმებას და დოკუმენტაციას. ახალი კოდექსი კატეგორიულად მოითხოვს, რომ წიაღის შესწავლა და დამუშავება წარმოებდეს შესაბამისი ორგანოების მიერ დამტკიცებული პროექტების, გეგმებისა და ტექნიკური ექსპლოატაციის წესების შესაბამისად.

კოდექსში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი წიაღის გამოყენებასთან დაკავშირებულ სამუშაოთა წარმოებისას, შრომის უსაფრთხოების დაცვის საკითხებს. კოდექსი მოითხოვს, რომ მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი მუშაკთა მიერ უსაფრთხოების ტექნიკის წესებისა და ნორმების შესწავლა და შესრულება, ავარიების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელება, ფეთქებად ნივთიერებათა და ასაფეთქებელ საშუალებათა აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების წესების დაცვა.

წიაღის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სწორ ორგანიზაციას. კოდექსში განსაზღვრულია ამ ზედამხედველობისა და კონტროლის ორგანოთა ამოცანები, მათი უფლებები და მოვალეობები. კოდექსი ადგენს წიაღით სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული დავების განხილვისა და გადაწყვეტის წესს, ამ დავების განმხილველი ორგანოების კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებს.

კოდექსში სპეციალური კარი აქვს დათმობილი წიაღის კანონმდებლობის დარღვევისათვის დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობის საკითხებს. ამ კარის ნორმები პირველ რიგში მიმართულია წიაღზე სახელმწიფო საკუთრების განუხრელად დაცვის უზრუნველყოფისაკენ. ყველა გარიგება, რომელიც აშკარა თუ ფარული ფორმით არღვევს წიაღზე სახელმწიფო საკუთრების უფლებას, გამოცხადებულია ბათილად აქედან გამომდინარე ყველა სამართლებრივი შედეგებით. კოდექსი ითვალისწინებს საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა ვალდებულებას აანაზღაურონ წიაღის კანონმდებლობის დარღვევით გამოწვეული ზარალი. თანამდებობის პირებსა და სხვა მუშაკებს, რომელთა უშუალო ბრალითაც საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა გაიღეს ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხარჯები, ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა.

კოდექსში მოცემულია ნუსხა წიაღის კანონმდებლობის იმ დარღვევებისა, რომლისთვისაც შეიძლება დადგეს სისხლის სამართლებრივი, ადმინისტრაციული ან სხვა სახის პასუხისმგებლობის საკითხი. რასაკვირველია, ეს ნუსხა არ არის ამომწურავი. წიაღის კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკამ, სამთო ურთიერთობათა განვითარებამ შეიძლება წამოჭრას რიგი საკითხებისა, რომლებიც მომავალში მოითხოვენ სამართლებრივ რეგულირებას, იძულებითი თუ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებების გამოყენების საჭიროებას.

საქართველოს სსრ წიაღის ახალი კოდექსი, რომლის ტექსტი ჩვენი ჟურნალის ამ ნომერში ქვეყნდება, მისი ნორმების ზუსტი და განუხრელი დაცვა მნიშვნელოვნად გაზრდის წიაღისეულ სიმდიდრის, მინერალური რესურსების რაციონალურად გამოყენების ეფექტიანობას, გააუმჯობესებს ბუნების დაცვას, ხელს შეუწყობს რესპუბლიკის საწარმოო ძალების განვითარებას, ხალხის კეთილდღეობის ზრდას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ XXV ყრილობა და რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების ამოცანები

ლ. თალაკვაძე,
საქართველოს სსრ პროკურორი

სკკპ XXV ყრილობამ, რომელიც მეტად დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში, შეაჯამა კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოთა ხალხის გმირული შრომის შედეგები, მეცნიერულად გააანალიზა სსრ კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობა, განსაზღვრა კომუნიზმის გზით ჩვენი საზოგადოების წინსვლის პერსპექტივები.

ყრილობის მიერ მიღებულ დოკუმენტში — „1976-1980 წლებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულების შესახებ" — განსაზღვრულია მეათე ხუთწლედის ამოცანები, რომლის მთავარი მიზანია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება საზოგადოებრივი წარმოების ყოველმხრივი განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერებისა და სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე.

საზოგადოებრივი წარმოების ხარისხის და ეფექტიანობის ამაღლების პრობლემის გადაწყვეტა დიდი სოციალური ამოცანაა, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობების, სოციალისტური თანაცხოვრების წესების, კომუნისტური ნორმების განმტკიცებასა და სრულყოფას.

სკკპ XXV ყრილობაზე ითქვა, რომ კომუნისტური მშენებლობისათვის მთელი ჩვენი მუშაობის დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ყოველმხრივი განვითარება, სოციალისტური სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის შემდგომი სრულყოფა, საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცება, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობის გააქტიურება. ყოველივე ეს მჭიდროდ არის დაკავშირებული იდეოლოგიურ საქმიანობასთან, რომლის ეფექტურობის ამაღლების მთავარ გზად ამჟამად მიჩნეულია აღზრდის მთელი საქმისადმი კომპლექსური მიდგომა: იდეურ-პოლიტიკური, შრომითი, ზნეობრივი და სამართლებრივი აღზრდის ერთიანობის უზრუნველყოფა მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფების თავისებურებათა გათვალისწინებით.

სკკპ XXV ყრილობაზე ხაზი გაესვა აღზრდის დიდმნიშვნელოვან ამოცანას — ხელი შეუწყოს აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის გამომუშავებას, საზოგადოებრივი მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულების მიღწევას. ამ ამოცანის გადაწყვეტას დიდი როლი ენიჭება სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის საზოგადოებრიობის დარაზმვაში.

აუცილებელია „...რომ მატერიალურ შესაძლებლობათა ზრდასთან ერთად განუწყვეტლივ მაღლდებოდეს ხალხის იდეურ-ზნეობრივი და კულტურული

ლონე—ამბობდა ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ XXV ყრილობისადმი საანგარიშო მოხსენებაში — თორემ კვლავ მეშჩანური, წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის რეციდივებთან გვექნება საქმე. ეს არ უნდა გამოგვრჩეს. რაც უფრო მეტად ვითარდება ჩვენი საზოგადოება, მით უფრო შეუწყნარებელი ხდება სოციალისტური ზნეობის ნორმებიდან გადახვევა, რასაც ჯერ კიდევ ვაწყდებით. მომხვეჭელობა, კერძო მესაკუთრული ტენდენციები, ხულიგნობა, ბიუროკრატიზმი და ადამიანისადმი გულგრილობა ეწინააღმდეგება თვით ჩვენი წყობილების არსს. ასეთ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლაში საჭიროა სრულად გამოვიყენოთ მშრომელი კოლექტივის აზრიც, პრესის კრიტიკული სიტყვაც, დარწმუნების მეთოდებიც, კანონის ძალაც — ჩვენს განკარგულებაში არსებული ყველა საშუალება"[1].

სკკპ XXV ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის ამაღლებას სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და სოციალ-კულტურულ მშენებლობაში, სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში. აქედან გამომდინარეობს ამოცანა, — უზრუნველვყოთ რესპუბლიკის საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფრო აქტიური მონაწილეობა სახელმწიფო დისციპლინის, საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში, დამნაშავეობისა და მის ხელშემწყობ გარემოებათა აღკვეთაში.

უნდა ვაღიაროთ, რომ ადმინისტრაციული ორგანოები ყოველთვის ჯეროვნად როდი აფასებენ საზოგადოებრიობის როლს სამართალდარღვევათა აღკვეთა-აცილებაში. ამითაც აიხსნება ის გარემოება, რომ ბოლნისის, მაიაკოვსკის, გარდაბნის, ბორჯომის და რიგ სხვა რაიონებში გასულ და მიმდინარე წელს არცერთი სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა საზოგადოებრიობის დახმარებითა და მონაწილეობით.

სკკპ XXV ყრილობამ კიდევ ერთხელ მოგვაგონა ლენინური დებულება იმის შესახებ, რომ კანონიერება წარმოადგენს კომუნისტური მშენებლობის აუცილებელ მეთოდს, სოციალისტური თანაცხოვრების წესების დაცვის სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდის ნაცად საშუალებას.

კანონიერების, მკაცრი სახელმწიფო დისციპლინის განუხორციელებლად შეუძლებელია სოციალისტური წარმოების ნორმალური პროცესის უზრუნველყოფა, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების დაცვა.

ნეგატიურმა მოვლენებმა, სამართლისა და სამართლიანობის გარკვეულად გაუფასურების ტენდენციამ, რასაც ახლო წარსულში ადგილი ჰქონდა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, თავისი კვალი დააჩნია ადმინისტრაციული ორგანოების, მათ შორის პროკურატურის საქმიანობასაც, მის ავტორიტეტს. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ პროკურატურის ორგანოების საქმიანობაში უკვე აღმოფხვრილია ყველა ნაკლოვანება, დარღვევა, ბიუროკრატიზმი. პირიქით, როგორც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ე. ა. შევარდნაძე ამბობდა — „ბიუროკრატიზმი აბასიათებს ზოგიერთი ჩვენი ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობასაც, რაც არა თუ აძნელებს ბრძოლას სოციალისტური კანონიერების

1 სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბილისი, 1975 წ., გვ. 106.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარღვევათა წინააღმდეგ, არამედ მორალურ, პოლიტიკურ ზიანსაც აყენებს საზოგადოებას"[2].

რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების მოთხოვნათა განხორციელებას საწარმოო და შრომის დისციპლინის, სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების აუცილებლობის თაობაზე.

ნეგატიურ მოვლენათა დასაძლევად განხორციელებული მთელი რიგი კომპლექსური ღონისძიებების მიუხედავად, სახელმწიფო და საწარმოო დისციპლინის დარღვევები რესპუბლიკაში ჯერ კიდევ გავრცელებულია, რაც დიდ ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას. ამის ერთ-ერთი მიზეზია პროკურატურის ორგანოების არასაკმარისი ყურადღება ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი.

ყველა ქალაქისა და რაიონის პროკურორი სათანადოდ არ აფასებს საწარმოო და სახელმწიფო დისციპლინის დაცვის კანონმდებლობის შესრულებისადმი ზედამხედველობის განხორციელების მნიშვნელობას, პრინციპულად და დროულად არ აყენებს საკითხს საწარმოს, დაწესებულებებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელობის წინაშე იმ პირობების აღკვეთისათვის, რაც იწვევს სახელმწიფო დისციპლინის დარღვევას. საპროკურორო ზედამხედველობის ნაკლებ ეფექტიანობის მიზეზი ხშირად ისიცაა, რომ პროკურორებს შემოწმებამდე არა აქვთ წინასწარი მონაცემები კანონის დარღვევის თაობაზე, საქმიანი კონტაქტი საკონტროლო ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ყოველთვის როდი აქვთ დამყარებული.

კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე ყველა ორგანოსა და თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის ამაღლების აუცილებელი პირობაა. პარტია მოითხოვს, რომ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ყველა ორგანოს საქმიანობა ზუსტად შეესაბამებოდეს კანონს, ეყრდნობოდეს კანონს და გამომდინარეობდეს კანონიდან. ამის განხორციელებისათვის კი პარტიასა და სახელმწიფოს შექმნილი აქვს ყველა აუცილებელი ეკონომიური, პოლიტიკური, იდეოლოგიური, იურიდიული წანამძღვარები და გარანტიები.

უკანასკნელ ხანს, როგორც ეს ხაზგასმით ითქვა სკკპ XXV ყრილობაზე, პარტიული და მთავრობის ორგანოების ინიციატივით შემუშავებულია და მიღებული ახალი კანონები, რომლებსაც აქვთ დიდი სოციალ-პოლიტიკური მნიშვნელობა. მომზადდა ნორმატიული აქტები, რომლებიც აწესრიგებენ ცხოვრების ისეთ სფეროებს, წინათ სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოებს გარეთ რომ რჩებოდნენ. ამით იურიდიული ნორმები შესაბამისობაშია მოყვანილი ჩვენი საზოგადოების განვითარების მიღწეულ დონესთან.

მზადდება წინადადებები შრომის, ადმინისტრაციული სამართლის და ზოგიერთი სხვა კანონების შემდგომი სრულყოფისათვის. უმჯობესდება სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება. დადგა დრო, როგორც ეს ითქვა სკკპ XXV ყრილობაზე — გამოიცეს საბჭოთა სახელმწიფოს კანონთა კრებული, რაც ხელს შეუწყობს მთელი სოციალისტური მართლწესრიგის გან-

[2] საქართველოს კპ XXV ყრილობის მასალები, თბილისი, 1975 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკიცებას, ჩვენს კანონებს უფრო ხელმისაწვდომს გახდის ყველა საბჭოთა მოქალაქისათვის.

სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარებას დააგვირგვინებს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომელიც დიდ როლს შეასრულებს საბჭოთა სახელმწიფოს, სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების, დემოკრატიის შემდგომი სრულყოფისა და განვითარების საქმეში.

სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებები გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს პროკურატურის ორგანოებს, რომლებიც მოვალენი არიან თავისი საქმიანობით უზრუნველყონ ყველა სამრეწველო და სასოფლო საწარმოს, დაწესებულებების, მთელი ხალხის უფრო აქტიური მონაწილეობა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაში, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფასა და ცხოვრების სოციალისტური წესის განვითარებაში, მართლწესრიგსა და კანონიერების განმტკიცების საქმეში.

პროკურატურის ორგანოებმა ძირეულად უნდა გააუმჯობესონ საპროკურორო ზედამხედველობა კანონიერების დაცვისადმი, ყოველ მხრივ განამტკიცონ სახელმწიფო და საწარმოო დისციპლინა, იბრძოლონ სოციალისტური საკუთრების დატაცების, მიწერების, სახელმწიფოს მოტყუებისა და თვალის ახვევის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას პროკურატურის ორგანოები უნდა ეწეოდნენ ისეთ ორგანოებთან მჭიდრო კავშირში, როგორიც არიან საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, სახელმწიფო ბანკი და მშენ-ბანკი, ფინანსთა სამინისტრო და ა. შ.

მეათე ხუთწლედი ითვლება ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლების ხუთწლედად. ამის კვალობაზე საპროკურორო ზედამხედველობის ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს უხარისხო, არასტანდარტული და არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე კანონმდებლობის განუხრელად შესრულება.

„ხარისხის პრობლემა — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXV ყრილობისადმი — ჩვენ გვესმის ძალიან ფართოდ. იგი მოიცავს სამეურნეო საქმიანობის ყველა მხარეს. მაღალი ხარისხი — ეს არის შრომისა და მატერიალური რესურსების დაზოგვა, საექსპორტო შესაძლებლობათა ზრდა, ხოლო საბოლოო ანგარიშით საზოგადოების მოთხოვნილებათა უკეთ, უფრო სრულად დაკმაყოფილება“[3].

მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის ჯერ კიდევ სათანადოდ არ იბრძვიან რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოები, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელობა.

რესპუბლიკის პროკურატურის მიერ ჩატარებულ შემოწმებათა მასალები გვიჩვენებენ, რომ ბევრ საწარმოში არ ხორციელდება საჭირო ღონისძიებები, „გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის სტანდარტების როლის ამაღლების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 10 ნოემბრის დადგენილების შესასრულებლად.

---

3 სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბილისი, 1976 წ. გვ. 60.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხარისხო პროდუქციის გამოშვების ძირითადი მიზეზია მეტწილად დაბალი საწარმოო და შრომითი დისციპლინა, აგრეთვე ის, რომ ბევრ კოლექტივში არ ზრუნავენ საჭირო მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის ვითარების შესაქმნელად. ამიტომ, როცა პროკურორი ამოწმებს უხარისხო პროდუქციის გამოშვების თაობაზე კანონების შესრულებას, იგი ღრმად უნდა გაერკვეს თუ როგორ იცავენ შესამოწმებელ საწარმოში შრომის დისციპლინას, კანონებს ლოთობასთან ბრძოლის შესახებ და ა. შ. ეს საშუალებას იძლევა ყოველმხრივ იქნას შესწავლილი და გამოვლინებული წუნის მიზეზები, ამის შემდეგ კი შემუშავდეს სათანადო ღონისძიებანი მათ აღსაკვეთად.

უნდა ვაღიაროთ, რომ პროკურატურის ორგანოები ჯერ კიდევ ქმედითად ვერ იყენებენ სისხლის სამართლის კანონს წუნის მკეთებელთა მიმართ, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ გასულ და მიმდინარე წელს რესპუბლიკაში აღიძრა და სასამართლოებში წარიმართა ამ კატეგორიის მხოლოდ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე, ეს მაშინ, როცა რესპუბლიკაში ასეთი დანაშაული საკმაოდ არის გავრცელებული.

გარდა იმისა, რომ არადამაკმაყოფილებელია საპროკურორო ზედამხედველობა, უხარისხო პროდუქციის გამოშვება იმითაც უნდა აიხსნას, რომ თვით სამინისტროები, უწყებები და მათი ქვემდებარე ორგანიზაციების უმრავლესობა, აქტიურად არ იბრძვიან წუნის მკეთებელთა გამოსავლინებლად. კანონის მოთხოვნათა მიუხედევად პროკურატურის ორგანოებს არ უგზავნიან მასალებს უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის დამნაშავე პირების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად. ამის მაგალითები არც ისე იშვიათია.

გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს საპროკურორო ზედამხედველობა სოციალისტური საკუთრების დაცვის თაობაზე კანონმდებლობის შესრულებისადმი. ამასწინათ რესპუბლიკის პროკურატურის მიერ ამ საკითხის შესწავლამ და მასალების განზოგადებამ გვიჩვენა, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის ორგანიზებული ამ მეტად გავრცელებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა.

სამინისტროები, უწყებები და ორგანიზაციები არასაკმაო ღონისძიებებს ახორციელებენ სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველსაყოფად. ამ მხრივ განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციაში, სადაც სისტემატურად იზრდება გატაცებების, დანაკლისების და მატერიალურ ფასეულობათა გაფუჭების შედეგად მიყენებული ზარალის თანხა.

საგამოძიებო ორგანოებს დაგვიანებით ან საერთოდ არ ეგზავნებათ მასალები გატაცების თაობაზე. მაგალითად, გურჯაანის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში რევიზიამ მატერიალურ პასუხისმგებელ პირს შ. ქართველიშვილს გამოუვლინა 2.722 მანეთის ღირებულების მზა პროდუქციის დანაკლისი, მაგრამ მასალები საგამოძიებო ორგანოებს არ გაეგზავნა, შ. ქართველიშვილი მერეც აგრძელებდა მუშაობას, სანამ საქმეში არ ჩაერია რესპუბლიკის პროკურატურა.

ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის პროკურორი პასიურობს, სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე კანონების მტკიცედ განხორციელების საქმეში, ჩატარებული შემოწმების შედეგებზე იშვიათად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან საერთოდ არ შედის წარდგინებით შესაბამისი უწყების ხელმძღვანელობასთან.

სკკპ XXV ყრილობამ და საქართველოს კპ XXV ყრილობამ დიდი ამოცანები დასახა სამართალდარღვევებისა და მის ხელშემწყობ გარემოებათა წინააღმდეგ საბრძოლველად. მათი წარმატებით გადაჭრისათვის მთავარია ამაღლდეს კანონის ზუსტად და განუხრელად შესრულებისადმი საპროკურორო ზედამხედველობის ქმედითობა, გახდეს იგი უფრო შემტევი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაიზარდოს პროკურატურის საერთო ზედამხედველობის როლი. ამ უბანზე მუშაობა იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ არა მარტო დროზე გამოვავლინოთ სოციალისტური საკუთრების დატაცება, უხარისხო პროდუქციის გამოშვება, მიწერები სახელმწიფო ანგარიშგებაში, სახელმწიფო და საწარმოო დისციპლინის უხეში დარღვევა და სხვა, არამედ დროულად მივიღოთ პროფილაქტიკური ზომები მათი აღმოფხვრისათვის, იმ მიზეზებისა და პირობების აღკვეთისათვის, რაც იწვევს კანონის დარღვევას. პირები, რომლებიც დამნაშავენი არიან ამ საქმეში, პასუხისგებაში უნდა მიეცენ მიუხედავად რანგისა და წარსული დამსახურებისა. პროკურორი არ უნდა დაკმაყოფილდეს წარდგინებათა რაოდენობრივი მაჩვენებლებით და ფორმალურად შეტანით, არამედ იბრძოლოს მათი ქმედითობისათვის, დასახული მიზნის, კონკრეტული შედეგის მიღწევისათვის.

სწორად ესმის საერთო ზედამხედველობის წინაშე დასმული ამოცანები და კვალიფიციურად, მიზანსწრაფულად ეწევა ამ მუშაობას წითელწყაროს, ყასპის, ქ. თბილისის 1 მაისის რაიონის და რიგი სხვა პროკურატურა. მაგრამ მოუთმენელია, რომ მიმდინარე წელს საერთო ზედამხედველობის ხაზით მხოლოდ თითო-ოროლა შემოწმება აქვს ჩატარებული ასპინძის, ყაზბეგის, ქარელის რაიპროკურატურებს; გეგეჭკორის რაიპროკურატურას კი საერთოდ არცერთი ასეთი შემოწმება არ მოუხდენია.

პროკურატურის ორგანოების საქმიანობის წინა პლანზე კვლავაც უნდა იყოს ბრძოლა დამნაშავეობასთან. მთელი ამ მუშაობის დევიზი უნდა იყოს — არცერთი დამნაშავე გამოუვლინებელი და დაუსჯელი. ეს მოითხოვს გაძლიერდეს საპროკურორო ზედამხედველობა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიებისადმი, უფრო მეტი ყურადღება მიექცეს სისხლის სამართლის პროცესუალური ნორმების დაცვას.

პროკურორმა უნდა უზრუნველყოს სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტის შექმნა, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის კოორდინირება. იგი მუდამ სათავეში უნდა ედგეს ამ მუშაობას.

მუშაობის სწორი ორგანიზაციის შედეგად მიმდინარე წელს სამართალდარღვევებისა და მის ხელშემწყობ გარემოებათა წინააღმდეგ ბრძოლა უფრო ეფექტურად წარმართეს — ქ. ქუთაისის, სამტრედიის, ცხაკაიას, თელავის, ქ. თბილისის ლენინის და საქარხნო რაიონების და რიგმა სხვა პროკურატურებმა.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ქ. რუსთავის, ასპინძის, ახალქალაქის, საგარეჯოს და პროკურატურის ზოგიერთი სხვა ორგანოების მიმართ, სადაც მიმდინარე წელს გაიზარდა ისეთი განსაკუთრებით საშიში დანაშაულებანი, როგორიცაა: განზრახ მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა, სხეულის მძიმე დაზიანებები, სახელმწიფო ქონების დატაცება, ბოროტი ხულიგნობა და სხვა.

ასევე დადებით შეფასებას ვერ იმსახურებს აფხაზეთის ასსრ, გარდაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის, მარნეულის, გურჯაანის და სხვა რაიონების პროკურატურების საქმიანობა, რომელთა სამოქმედო ტერიტორიაზე ოპერატიული ვითარება კვლავ არასახარბიელოა, მისი გაჯანსაღებისათვის კი არ ხორციელდება სათანადო ქმედითი, კომპლექსური ღონისძიებები.

პროკურატურის ორგანოებმა მეტი დრო და ყურადღება უნდა დაუთმონ არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას. მით უფრო რომ, ბოლო ხანს მკვეთრად გაიზარდა მოზარდთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევები. სიმძიმის ცენტრი აუცილებელია პროფილაქტიკურ საქმიანობაზე იქნას გადატანილი. ბრძოლა ბავშვთა უზედამხედველობასთან მილიციის ორგანოებისა და მთელი საზოგადოებრიობის ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა გახდეს.

პროკურატურის ორგანოების წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით განხორციელების ინტერესები მოითხოვენ კვლავაც გაძლიერდეს საპროკურორო ზედამხედველობა სასამართლოების საქმიანობისადმი, გაუმჯობესდეს სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარდაჭერა, ამაღლდეს სასამართლო პროცესების კულტურა და აღმზრდელობითი მნიშვნელობა, მიღწეულ იქნას სასამართლო პროცესების ისეთი პროფესიონალური და პოლიტიკური დონე, რომ როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, მათგან გამოტანილ იქნას „საზოგადოებრივი მორალისა და პრაქტიკული პოლიტიკის გაკვეთილები"[4].

მოქალაქეთა უფლებებისა და კანონით გარანტირებული ინტერესების მტკიცედ და განუხრელად დაცვა მოითხოვს არსებითად გაუმჯობესდეს საპროკურორო ზედამხედველობა სასამართლოებში სამოქალაქო სამართლის საქმეების, განსაკუთრებით კი საბინაო და შრომის დავის საქმეების განხილვისადმი. უფრო თანმიმდევრულად უნდა შესრულდეს კანონის მოთხოვნა და დამნაშავეებმა აანაზღაურონ მიყენებული მატერიალური ზარალი, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეებზე.

კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების მნიშვნელოვანი პირობაა საპროკურორო ზედამხედველობის შემდგომი სრულყოფა, სახელმწიფო ორგანოების, უპირველეს ყოვლისა, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, საკონტროლო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და თანამდებობის პირთა მიერ კანონების შესრულებისადმი.

ქმედითი საპროკურორო ზედამხედველობა შინაგან საქმეთა ორგანოებისადმი ხელს უწყობს მათი საქმიანობის აქტივიზაციას დამნაშავეობასთან ბრძოლაში. ამასთან ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ორგანოების მიმართ ზედამხედველობის განხორციელებამ არ უნდა გამორიცხოს მათთან საქმიანი კავშირ-ურთიერთობა, მუშაობის კოორდინაცია, სამართალდარღვევათა ასაცილებლად ერთობლივ ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება.

დამნაშავეობასთან ბრძოლაში მაგისტრალურ ხაზად კვლავ რჩება სამართალდარღვევათა აცილება, მისი პროფილაქტიკა, რაშიც დიდია საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა კოლექტივების როლი.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანს ამ მხრივ რესპუბლიკაში მრავალი ღონისძიებაა განხორციელებული, მუშაობა ჯერ კიდევ არ არის ორგანიზებული თანამედროვე ამოცანების დონეზე. მას აკლია კონკრეტულობა და მიზანსწრა-

[4] ვ. ი. ლენინი თხზ., ტ. 25, გვ. 325.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფულობა. საწარმო-დაწესებულებათა ადმინისტრაცია და მშრომელთა კოლექტივები სამართალდარღვევების ყველა შემთხვევას როდი ხდიან რეაგირების საგნად, ხშირად ამ საკითხების განხილვა ფორმალურ ხასიათს ატარებს. სამინისტროებსა და უწყებებთან შექმნილი სამართალდარღვევებზე რეაგირებისა და პროფილაქტიკის კომისიების მნიშვნელოვანი ნაწილი უმოქმედობს, ვერ პასუხობს თავის დანიშნულებას.

რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები ჯერ კიდევ ყველაფერს არ აკეთებენ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისა და ამ მუშაობის კოორდინაციის თაობაზე საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მითითებათა შესასრულებლად. ეს იმაში მდგომარეობს რომ „გავააქტიუროთ შინაგან საქმეთა ორგანოების, პროკურატურისა და სასამართლოების საქმიანობა დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და მართლწესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისათვის, უზრუნველვყოთ სოციალისტური კანონიერების განუხრელი დაცვა, ავამაღლოთ სამართლებრივი პროპაგანდის დონე, მივაღწიოთ ადმინისტრაციული ორგანოების მჭიდრო ურთიერთკავშირს, მათს ოპერატიულობას დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში“[5].

მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცების ეფექტურობისა და ქმედითობის აუცილებელი პირობაა ანალიტური საქმიანობის გაუმჯობესება. მაგრამ პროკურატურის ადგილობრივი ორგანოები სათანადოდ არ აფასებენ ამ მუშაობის მნიშვნელობას. მთავარი ნაკლი ის არის, რომ ასეთ მასალას ვერ იყენებენ პროკურატურის საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. მათგან არ კეთდება შესაბამისი დასკვნები, მათ მიხედვით არ იგეგმება საჭირო ღონისძიებანი სამართალდამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის. ასევე არასაკმარისია ღონისძიებანი, რასაც ახორციელებენ პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სასამართლო ორგანოები ანალიტური საქმიანობის კოორდინაციისათვის.

ყოველივე ამის გამო დამნაშავეობისა და კანონიერების მდგომარეობის შესახებ საინფორმაციო მასალა, რაც პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ეგზავნებათ, ყოველთვის კვალიფიციურად ვერ არის შედგენილი, სრულყოფილად ვერ ასახავს საქმის ფაქტიურ მდგომარეობას.

ამ საქმეს რესპუბლიკის პროკურატურამ საჭირო სიღრმით მხოლოდ ბოლო პერიოდში მოჰკიდა ხელი: რესპუბლიკის პროკურატურაში ამასწინათ შეიქმნა სტატისტიკის განყოფილება, რომელსაც დაევალა საჭირო ღონისძიებათა განხორციელება. უკვე შემუშავდა და ადგილებზე გაიგზავნა მეთოდური წერილები, რეკომენდაციები. განხორციელდა რიგი სხვა ღონისძიებანი.

პროკურატურის ორგანოების მუდმივი ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს, თუ როგორ ხდება მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვა. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ განცხადებისა და საჩივრის უკან დგას ცოცხალი ადამიანი. აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციას. პერიოდულად შესწავლილ იქნას ეს მუშაობა. უფრო ფართოდ გავრცელდეს იმ ქალაქებისა და რაიონების მუშაობის დადებითი გამოცდილება, რომლებიც მშრომელებს უშუალოდ იღებენ საწარმოში, დაწესებულებაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობებში, მშენებლობებზე.

სამართალდარღვევებთან, მათ ხელშემწყობ გარემოებებთან ბრძოლაში

---

5 საქართველოს კპ XXV ყრილობის მასალები, თბილისი ,1976 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივ პროპაგანდას, მოსახლეობის მართლშეგნების ამაღლების ღონისძიებებს.

სამართლის პროპაგანდაში ბოლომდე არ არის დაძლეული ის ნაკლოვანებანი, რაც აღნიშნულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის 21 აგვისტოს დადგენილებაში — „რესპუბლიკის მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ".[6] სამართლის პროპაგანდისა და მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება რესპუბლიკაში სახელმწიფო, შრომის და საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცების პრაქტიკულ ამოცანებს. ყოველთვის ეფექტურად არ არის გამოყენებული მშრომელთა კოლექტივების, პრესისა და რადიო-ტელემაუწყებლობის შესაძლებლობანი. ბევრგან ამ მუშაობას ძალზე პრიმიტიულად და უგეგმოდ ეწევიან.

სამართლებრივი პროპაგანდის ქმედითობისათვის აუცილებელია, რომ ანტისაზოგადოებრივი მოვლენების მხილებასთან ერთად ნაჩვენები იქნას კანონის განუხრელად შესრულების დადებითი მაგალითები. ყოველმხრივ ჩავუნერგოთ საბჭოთა ადამიანებს ის რწმენა, რომ კანონის მოთხოვნათა შესრულება მათი უპირველესი მოქალაქეობრივი ვალია, მათი პოლიტიკური სიმწიფისა და სოციალური აქტივობის მაჩვენებელია.

მოსახლეობის სამართლებრივ აღზრდაში ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული მასალები იმ მოქალაქეებისა და თანამდებობის პირების წახალისების თაობაზე, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ დამნაშავეობასთან ბრძოლაში, კანონიერების განმტკიცებაში.

მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ამ მუშაობაში ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად ჩავაბამთ პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. „მოვთხოვთ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს გააძლიერონ მუშაობა მშრომელთა შეგნებული დისციპლინის დანერგვისათვის, მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა სამართლებრივი კულტურის ამაღლებისათვის, სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის სამართლებრივი რეგულირების სრულყოფისათვის"[7] —ნათქვამია საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დადგენილებაში.

სიანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისადმი აღინიშნა: „რესპუბლიკის პარტიული კომიტეტები და ადმინისტრაციული ორგანოები უნდა იღვწოდნენ იმისათვის, რომ კანონის სადარაჯოზე იდგნენ მაღალი პოლიტიკური, პროფესიული და ინტელექტუალური კულტურის ადამიანები, რომლებიც პასუხს აგებენ მინდობილი საქმისა და ადამიანთა ბედისათვის"[8].

ეს მოთხოვნა ნათლად გამოხატავს საქმის არსს, რომ სამართლადარღვევებთან ბრძოლაში წარმატებების მთავარი გარანტიაა საპროკურორო-საგამოძიებო კადრების სწორად შერჩევა, განაწილება და აღზრდა, საკადრო პოლიტიკის გონივრულად გადაწყვეტა.

---

6 გაზეთი კომუნისტი, 26 აგვისტო, 1976 წ.

7 საქართველოს კპ XXV ყრილობის მასალები, თბილისი, 1976 წ.

8 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ თუ პროკურატურის ზოგიერთ ორგანოებში მუშაობა ჯერ კიდევ ან ორის ორგანიზებული ახალი, გაზრდილი ამოცანების შესაბამისად, ამის უპირველესი მიზეზი კადრების შერჩევის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებში უნდა ვეძიოთ.

ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა ყოველდღიურად ვიზრუნოთ კადრების იდეურ-პოლიტიკური და პროფესიონალური დონის ამაღლებისათვის, რომ საბჭოთა კანონის სადარაჯოზე იდგნენ მხოლოდ ღირსეული მუშაკები, რომლებიც კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად გადაწყვეტენ სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის სადღეისო ამოცანებს, მტკიცედ დაიცავენ სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს, მშრომელთა უფლებებს.

სკკპ ცკ გენერალურმა მდივანმა, ლ. ი. ბრეჟნევმა, სკკპ ცკ საანგარიშო მოხსენებაში XXV ყრილობისადმი, აღნიშნა: „გასაგებია, ამხანაგებო, რომ ჩვენ ვუთმობდით და კვლავაც დავუთმობთ მუდმივ ყურადღებას მილიციის, პროკურატურის, სასამართლოების, იუსტიციის ორგანოების საქმიანობის სრულყოფას, რომლებიც დგანან საბჭოთა კანონების, საბჭოთა საზოგადოების ინტერესების, საბჭოთა მოქალაქეების უფლებების დაცვის სადარაჯოზე. პარტია, სახელმწიფო, დიდად აფასებენ ამ დაწესებულებათა მუშაკების ძნელ და საპატიო შრომას, ზრუნავენ, რომ მათი შემადგენლობა ივსებოდეს მომზადებული, ღირსეული კადრებით“.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისადმი საანგარიშო მოხსენებაში პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე ამბობდა: „პარტიული, საბჭოთა ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პროკურატურის, შინაგან საქმეთა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების საქმიანობის აქტივიზაციამ გააჯანსაღა და უფრო გაწმინდა ატმოსფერო რესპუბლიკაში. პატიოსან მშრომელ კაცს აღუდგა და გაუძლიერდა რესპუბლიკის, ქვეყნის ბატონ-პატრონის გრძნობა, განუმტკიცდა პიროვნების, უფლების, მისი ხელშეუხებლობის გარანტია“.[9]

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა ასეთი დიდი შეფასება ყოველ ჩვენთაგანს გვავალებს და შთაგვაგონებს ენერგიის დაუზოგავად ვემსახურეთ მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცების რთულ და საპატიო საქმეს, ჩვენი კონკრეტული წვლილი შევიტანოთ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებაში.

---

9 საქართველოს კპ XXV ყრილობის მასალები, თბილისი, 1976 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირადი საიდუმლოების დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი გარანტიები

თ. ნინიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

პიროვნების თავისუფლების ცნება მოიცავს სოციალ-ეკონომიურ, პოლიტიკურ და ინდივიდუალურ თავისუფლებას. თუ სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური თავისუფლების შინაარსი ორგანულად უკავშირდება პიროვნების აქტიურ ურთიერთობას საზოგადოებასთან, ინდივიდუალური თავისუფლება გულისხმობს პიროვნების ერთგვარ თვითგამორკვევას, განცალკევებას საზოგადოებაში.

ურთიერთობა და განცალკევება პიროვნების თვითდამტკიცების ობიექტურად განპირობებული, მუდმივად სრულყოფადი, ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული ფორმებია. „ადამიანი არის Zoon politikon ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არა თუ საზოგადოებრივი ცხოველი, არამედ ისეთი ცხოველი, რომელსაც მხოლოდ საზოგადოებაში შეუძლია განცალკევება" — წერდა მარქსი.[1]

პიროვნების პირად ყოფიერებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას შორის არსებული ზღვარის სრული წაშლა შეუძლებელია. არ შეიძლება არ არსებობდეს განსხვავება ადამიანის ინტიმურ განცდებსა და იმ მოქმედებებს შორის, რომლებშიც მილიონობით ადამიანები მონაწილეობენ.

საბჭოთა სამართალმა უნდა დაიცვას ადამიანის ცხოვრების ინტიმური სფერო მოქალაქეებისათვის გარკვეული უფლებებისა და მოვალეობების მინიჭების გზით.

პირადი საიდუმლოების დაცვა პიროვნების ინდივიდუალური თავისუფლების ერთ-ერთი გარანტიაა.

პირადი საიდუმლოების ცნება დადგენილი არ არის არც საბჭოთა კანონმდებლობაში და არც საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში. ვ. ლ. სუხოვერხს ეკუთვნის ამ ცნების დადგენის პირველი ცდა. მისი აზრით, პირადი საიდუმლოება განმარტებული უნდა იქნას, როგორც პირის ურთიერთობათა და მოქმედებათა ერთობლიობა, მიმართული მისი ინდივიდუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ ისეთი ხერხებითა და საშუალებებით, რომლებსაც კონკრეტულ პირობებში სოციალური მნიშვნელობა არ აქვთ და არ მოიცავენ საზოგადოებრივ ინტერესებს.[2] ჩვენ ვფიქრობთ ეს განმარტება ძირითადად მართებულია.

პირადი საიდუმლოების დაცვის მიზანს ემსახურება საბჭოთა სისხლის,

---

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, სახელგამი, თბილისი, 1953, გვ. 27.

[2] В. Л. Суховерхий, О развитии гражданскоправовой охраны личных неимущественных прав и интересов граждан. Правоведение, 1972, № 3, с. 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადმინისტრაციული, პროცესუალური სამართლის ნორმები. პირადი საიდუმლოების დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივ გარანტიებად შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი ნორმები: საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლი — სახვითი ხელოვნების ნაწარმოებში გამოსახული პირის უფლების დაცვის შესახებ, ყაზახეთის სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 491-ე მუხლი, აგრეთვე უზბეკეთის სსრ სამოქალაქო კოდექსის 540-ე მუხლი — პირის უფლების შესახებ წერილებსა, დღიურებსა და ჩანაწერებზე.

თანამედროვეობამ პირადი საიდუმლოების დაცვის თვალსაზრისით მრავალი საყურადღებო საკითხი წამოჭრა, რომელთა გადაწყვეტას გვერდს ვერ აუვლის სამოქალაქო კანონმდებლობა და ციკილისტური ლიტერატურა. მოქალაქეთა პირადი საიდუმლოების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის საკითხი ჯერ არ ქცეულა ცალკე შესწავლის საგნად საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში. ამ საკითხს გაკვრით ეხებოდნენ სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტების კვლევის დროს.

კანონმდებლობა და ლიტერატურა პირადი საიდუმლოების დაცვის სამართლებრივ გარანტიებს შორის შედარებით უფრო ფართო ადგილს უთმობს მიწერ-მოწერის საიდუმლოების დაცვის საკითხს.

წერილების უმრავლესობა ალბათ ადრესატისათვის იწერება. სხვების შეჭრა ავტორისა და ადრესატის საიდუმლოებებში, მათი „ფიქრების, ტკივილებისა თუ სიხარულის სამყაროში“, უთუოდ არასასურველია ავტორისა და ადრესატისათვის.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ წერილებს ხშირად დოკუმენტის მნიშვნელობა ენიჭება, სპეციალურად დაინტერესებულ მკვლევართათვის პირადი წერილები ზოგჯერ გაცილებით საინტერესო და მეტის მომცემია, ვიდრე ეპოქის ან პიროვნების შესახებ არსებული სხვა ოფიციალური მასალა. მართებულად აღნიშნავს ვახტანგ ჭელიძე: „ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რამდენს დაკარგავდა ქართველი ადამიანი, იგი რომ მოკლებული იყოს ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ილიას, აკაკის, სერგეი მესხის ეპისტოლიარულ მემკვიდრეობას: რამდენს დაკარგავდა მთელი კაცობრიობა, რომ არ არსებობდეს ვან-გოგის გულის შემძვრელი მიმოწერა ძმასთან; რამდენს დაკარგავდა ის რომანები თუ მონოგრაფიები, რაც ამ მოღვაწეებზე შექმნილა, რადგან ასეთი წერილები ოფიციალურ მასალასთან ერთად ავსებენ ჩვენს წარმოდგენას ამა თუ იმ ადამიანზე, უფრო სრულყოფილად წარმოგვიდგენენ, უფრო დასრულებულ პორტრეტს გვიქმნიან. ეს წერილები სხვა ოფიციალურ მასალასთან ერთად ეპოქის გაცოცხლებაში გვეხმარებიან. უამწერილებოდ ზოგი რამ იქნებ მცდარადაც აღგვექვა“.[3]

პირადი წერილების მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ღირებულების აღიარებასთან ერთად ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სიტყვების გახსენება: „ჩეხოვს რომ სცოდნოდა, ცოლისათვის მიწერილ ყველაზე ინტიმურ წერილებს გამოაქვეყნებდნენ, ალბათ მათს ოთხმოცდაათ პროცენტს არც დაწერდა“.[4]

რუსეთის რევოლუციამდელ სამოქალაქო კანონმდებლობაში წერილები,

---

[3] **ვახტანგ ჭელიძე**, ფიქრები ხვალინდელ დღეზე, გამომც. „მერანი“, თბილისი, 1975 წელი, გვ. 136.

[4] **ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო**, წარსულიდან, თბილისი, „ხელოვნება“, 1973, გვ. 188.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანაწერები, დღიურები მიჩნეული იყო საავტორო სამართლის ობიექტად. კანონმდებლობის ასეთი პოზიციის წინააღმდეგ გამოდიოდა ცნობილი იურისტი ა. თ. კონი. იგი მიიჩნევდა, რომ, მართალია, წერილებში ზოგჯერ გაიელვებს ავტორის ლიტერატურული ფანტაზია, მაგრამ ეს ფაქტი წერილებს არ აქცევს ხელოვნების ნაწარმოებად. წერილებისა და დღიურების შინაარსი ძირითადად ავტორის ინტიმური ცხოვრების დეტალებს ეხება, ამიტომაც ისინი საინტერესოა თვით დამწერის და მისი ადრესატისათვის. ა. თ. კონის აზრით, თუ წერილებს ჩავთვლით ლიტერატურულ ნაწარმოებად, ხოლო დამწერს აღვჭურვავთ საავტორო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით, უნდა ვიყოთ თანამიმდევრულნი და ასეთი უფლებები უნდა მივცეთ მხოლოდ დამწერსა და მის მემკვიდრეებს. რაც შეეხება წერილის ადრესატს, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს საავტორო უფლების სუბიექტად, წინააღმდეგ შემთხვევაში საავტორო უფლების სუბიექტად უნდა ვაღიაროთ ის ადრესატებიც, რომელთა მისამართით დაწერილი ღია წერილები ავტორმა პრესაში გამოაქვეყნა. ა. თ. კონი დაასკვნის, რომ ის წერილები, რომლებიც ავტორის მიერ გამიზნული არ იყო გამოსაქვეყნებლად, არ არის საავტორო სამართლის ობიექტი და ყველა შემთხვევაში გამოქვეყნებული უნდა იქნეს როგორც ავტორის, ასევე ადრესატის თანხმობით.[5]

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში პირადი წერილების იურიდიული ბუნების და სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის წესების შესახებ საკუთარი შეხედულებები გამოთქვეს ბ. ს. ანტიმონოვმა და ე. ა. ფლეიშიცმა. მათი აზრით, პირადი წერილები ყოველთვის არ ჩაითვლებიან საავტორო სამართლის ობიექტად, რადგან ისინი უმრავლეს შემთხვევაში არ წარმოადგენენ შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფს, ნაწარმოებს, იმ გაგებით, როგორც ეს ესმის საავტორო კანონმდებლობას. ხშირად მეცნიერების, მწერლების პირადი წერილები ცნობებია მათი პირადი ცხოვრების შესახებ და განსაზღვრულია მხოლოდ ადრესატისათვის. ასეთი წერილების გამოქვეყნება გამოიწვევს როგორც ავტორის, ასევე ადრესატის პირადი ინტერესების შელახვას. რაც შეეხება გამოქვეყნების წესებს, აღნიშნული ავტორები საჭიროდ მიიჩნევენ, როგორც ავტორის, ასევე ადრესატის ან მათი მემკვიდრეების თანხმობას, ან სახელმწიფოს ხელთანადოდ უფლებამოსილი დაწესებულებათა ნებართვას. ამ დაწესებულებების კონტროლმა უნდა უზრუნველყოს პირად და საზოგადოებრივ ინტერესთა შეხამება, რათა ავტორებისა და ადრესატების მემკვიდრეებს საშუალება მისცენ გამოაქვეყნონ ისეთი წერილები, რომლებიც საინტერესოა საზოგადოებისათვის და არ დაუშვან იმ წერილების გამოქვეყნება, რომლებიც ასეთ თვისებას მოკლებულია.[6]

პირადი წერილების გამოქვეყნების წესებზე სპეციალური მითითებაა ყაზახეთის სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 491-ე მუხლსა და უზბეკეთის სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 540-ე მუხლში. ამ ნორმების თანახმად პირადი წერილების, დღიურებისა და ჩანაწერების გამოქვეყნება შეიძლება ავტორისა და ადრესატის თანხმობით, მათი გარდაცვალების შემთხვევაში — მემკვიდრეების თანხმობით.

---

[5] А. Ф. Кони. Собрание сочинений, т. 7. стр. 288-290.

[6] Б. С. Антимонов, Е. А. Флейшиц. Авторское право, Госюриздат, М., 1957 г. стр. 57.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება სხვა რესპუბლიკების, კერძოდ, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსს, აქ პირადი წერილებისა და დღიურების გამოქვეყნება კანონმდებლობით რეგლამენტირებული არ არის. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსმა გაითვალისწინოს სპეციალური ნორმა, რომელიც მოაწესრიგებს პირადი წერილების პუბლიკაციას, ოღონდ იმ ხარვეზების გათვალისწინებით, რაც ყაზახეთის და უზბეკეთის რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსებს გააჩნიათ. კერძოდ, აღნიშნულ კოდექსებში ნორმას პირადი წერილებისა და დღიურების დაცვის წესების შესახებ მოძებნილი არ აქვს შესაბამისი ადგილი; ამ კოდექსებში აღნიშნული ნორმა საავტორო სამართლის თავში მოცემული. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს პირადი წერილები და დღიურები ყოველთვის იყო საავტორო სამართლის ობიექტი. პირადი წერილებისა და დღიურების დაცვის წესები ზოგად დებულებებში უნდა გადმოვიტანოთ, რადგან ეს წესები მოქალაქეთა პირადი არაქონებრივი უფლებების, კერძოდ, მოქალაქეთა პირადი საიდუმლოების დაცვის გარანტიებია.

გარდა ამისა, ნორმა უთუოდ მოითხოვს დამატებასაც. კერძოდ, პირად წერილში შეიძლება მოცემული იყოს მესამე პირის საიდუმლოებათა შემცველი ცნობებიც. წერილებისა და დღიურების გამოქვეყნებამ მხოლოდ ავტორისა და ადრესატის ან მათი მემკვიდრეების თანხმობით შეიძლება შელახოს მესამე პირის კანონიერი ინტერესები. საჭიროა ამ უკანასკნელთა ინტერესების დაცვის გათვალისწინებაც.

XX საუკუნის დასაწყისში იურისტების ყურადღება მიიქცია ე. წ. „ხაკუთარი გამოსახულების" დაცვის პრობლემამ. მისი აქტუალობა განაპირობა ფოტოგრაფიის განვითარებამ, რომელმაც შესაძლებელი გახადა ადამიანის გამოსახულების გადაღება და ობიექტივიზაცია ნებისმიერ სიტუაციაში.[7] მომენტალური ფოტოგრაფიის განვითარებამ, შეიძლება ითქვას, საფრთხე შეუქმნა ადამიანის ინტიმურ ცხოვრებას.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში შემუშავებული იქნა სამი ერომანეთისაგან განსხვავებული პოზიცია პირადი გამოსახულების დაცვის ფარგლების შესახებ. ამ შეხედულებათა ავტორები იყვნენ კაისნერი, კოლერი და რიტშელი.

კაისნერი არ მიუთითებდა პირადი გამოსახულების დაცვის ინსტიტუტის ადგილზე არსებულ სამართლის სისტემაში. ავტორი კატეგორიულად აცხადებდა, რომ პირადი გამოსახულების დაცვის უფლება ადამიანის პიროვნებისაგან განუყოფელი უფლებაა და მისი დარღვევა არც ერთ შემთხვევაში გამართლებული არ არის. გამონაკლისები, მისი აზრით, შეიძლება დაშვებული იქნეს

---

7 ფოტოსურათებსა და სახვით ხელოვნების ნაწარმოებებში გამოსახული პირის ინტერესების სამართლებრივ დაცვას ბიძგი მისცა ჰამბურგელი ფოტოგრაფების გახმაურებულმა პროცესმა: ორმა ჰამბურგელმა ფოტოგრაფმა მოახერხა შეპარულიყო ფრიდრიხრუეს ციხე-სიმაგრეში, სადაც ბისმარკის დაბალზამებული ცხედარი ესვენა და ბისმარკის გვამს სურათი გადაუღეს. შემდეგ სურათები დიდი ტირაჟით გაიყიდა. როცა ეს ცნობილი გახდა ბისმარკის ოჯახისათვის, მეუღლემ სასამართლოს მიმართა თხოვნით დაუყოვნებლივ ამოეღოთ სამოქალაქო ბრუნვიდან და მოესპოთ სურათები და მათი ნეგატივები. ეს თხოვნა დაკმაყოფილებული იქნა სასამართლოს მიერ, მაგრამ სპეციალური ნორმის უქონლობის გამო ფოტოგრაფების მოქმედება სასამართლომ დაკვალიფიცირა, როგორც ბინის ხელშეუხებლობის დარღვევა იხ. I. Kohler, Das Eigenbild im Recht, Berlin, 1903, S. 3—4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის, კერძოდ, დანაშაულის გახსნის მიზნით, ავტორის აზრით, გამოსახულების გავრცელება შეიძლება, თუ გადაღებულია ლანდშაფტებისა და შენობების ფოტოები და ფირზე შემთხვევით მოქალაქის გამოსახულებაც აისახა. აქ მისი აზრით, წინასწარ ფოტოგრაფის მიერ განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. ავტორი კონკრეტულად იხილავს იმ პირის უფლებებს, რომელიც საზოგადოებრივ თავყრილობაში მონაწილეობდა და რომლის გამოსახულება მოხვდა ამ თავყრილობის ამსახველ ფოტოსურათებში. კაისნერის აზრით, პირის თანხმობა სურათების გავრცელებაზე ამ შემთხვევაში საჭირო არ არის, რადგან მას წინასწარ გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს ჟურნალისტებისა და ფოტოგრაფების ინტერესი საზოგადოებრივი ღონისძიებების ასახვისა და შესაბამისი დოკუმენტების პოპულარიზაციისა.[8]

კაისნერისაგან განსხვავებით კოლერი განსაკუთრებით უსვამს ხაზს საზოგადოებრივი ინტერესების მნიშვნელობას პირადი გამოსახულების დაცვის უფლების ამსახველი ნორმის კონსტრუქციის დროს. საზოგადოება დამყარებულია ადამიანთა ურთიერთობებზე, — წერდა იგი — ამიტომ თითოეული ნორმის კონსტრუქციის დროს ანგარიში უნდა გაეწიოს ამ ურთიერთობებს. მიმოზის მსგავსი ადამიანები არ გამოდგებიან ჯანსაღი სამართლებრივი ცხოვრებისათვის. ადამიანი, რაკი საზოგადოებაში ცხოვრობს, უნდა შეურიგდეს იმას, რომ შეიძლება გახდეს საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი; განსაკუთრებით ეს იმათ ეხებათ, ვინც ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა, ასეთი პიროვნება, ბუნებრივია, მიიქცევს საზოგადოების ყურადღებას და შეიძლება გახდეს კრიტიკის ან ქების საგანი. მაშასადამე, მათ წინასწარ უნდა გაითვალისწინონ მათი პორტრეტების გამოფენა ან სხვა სახით გავრცელება.[9]

საზოგადოების ინტერესი, იხილოს იმ პიროვნებათა პორტრეტები, რომელთაც აზრის ან ხელისუფლების სადავეები უჭირავთ, მისასალმებელია — წერს კოლერი. სამწუხარო იქნებოდა, — აგრძელებს ავტორი — მოქალაქე რომ ინდიფერენტულად იყოს განწყობილი არსებული სოციალური გარემოს მიმართ და მონაწილეობას არ იღებდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აქ ავტორი ასკვნის, რომ სხვისი გამოსახულების გავრცელება შეესაბამება საზოგადოების ინტერესებს. მაგრამ ავტორი ხაზს უსვამს, რომ გამოსახულების გამოქვეყნება უნდა ემსახურებოდეს ჯანსაღი საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილებას. არავის არ უნდა ჰქონდეს უფლება, გამოაქვეყნოს ან გაავრცელოს პირის პორტრეტი, თუ იგი გადაღებულია აბაზანაში ან საბანაო კოსტუმში, ან კიდევ სხვა უჩვეულო სიტუაციებში. კოლერი მართებულად მიიჩნევს სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელმაც მხატვარ ჟაკეს აუკრძალა იმ სურათის გავრცელება, სადაც ალექსანდრე დიუმა ვაჭრის ტანსაცმელში იყო გამოსახული. კოლერის აზრით, სხვისი გამოსახულება არ შეიძლება პირმა აქციოს გასამასხარავებელი რეკლამის საგნად. განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს ავტორი ქალების პორტრეტების მიმართ. მსგავსი სიფრთხილეა საჭირო, ავტორის აზრით, იმ პორტრეტების მიმართ, სადაც

[8] Keissner, Das Recht am eigenen Bilde, Berlin, 1866, S. 18—19.
[9] I. Kohler, Das Eigenbild im Recht, Berlin, 1903, S. 10—17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაცვლილის ცხედარია გამოსახული. ასეთი პორტრეტების შექმნა და გავრცელება უნდა ხდებოდეს გარდაცვლილის მემკვიდრეების თანხმობით.[10]

კოლერი მართებულად მიიჩნევს თავის გამოსახულებაზე პირის უფლების შეზღუდვას სამ შემთხვევაში: პირველი, როცა საქმე გვაქვს საზოგადოებრივ თავყრილობის ან რომელიმე ღირსშესანიშნავი ადგილის ამსახველ ფოტოებთან. ავტორის აზრით ამ შემთხვევაშიაც საჭიროა გარკვეული სიფრთხილე; მეორე შემთხვევა შეეხება სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების დეტალებს. დეტალები სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებისათვის მხატვარს შეუძლია ნებისმიერ ადგილას შეკრიბოს. მესამე გამონაკლისს კოლერი უშვებს იუმორის, კარიკატურისა და მეგობრული შარჟისათვის.

რიგშელის აზრით გამოსახულების დაცვის უფლების ანალიზის დროს მთავარია გაირკვეს, თუ რა სახის ზიანის მოტანა შეუძლია ამ უფლების დარღვევას, მატერიალურისა თუ მორალურისა. აღნიშნული უფლების დაცვის ხერხები ამაზე უნდა იყოს დამოკიდებული. ავტორი განსაზღვრავს, რომ სახელის მსგავსად პირადი გამოსახულება წარმოადგენს პირის ინდივიდუალიზაციის საშუალებას. მაშასადამე გამოსახულების დაცვა უნდა ნიშნავდეს პირის უფლებას არ დაუშვას გამოსახულების ფალსიფიკაცია; თუ ასეთი ინტერესი არ არსებობს, არ შეიძლება არსებობდეს გამოსახულების დაცვის საფუძველი. ავტორი ერთმანეთისაგან განასხვავებს ფოტოგრაფიულ სურათსა და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებში გამოსახული პირის უფლებებს. სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები არ წარმოადგენს გამოსახული პირის ზუსტ ობიექტურ ასახვას, როგორც ეს გვაქვს ფოტოგრაფიულ გამოსახულებაში. სახვითი ხელოვნების ნაწარმოებში გადმოცემულია მხატვრის სუბიექტური შეხედულება პორტრეტში ასახულ პირზე; სხვა მდგომარეობაა ფოტოგრაფიულ პორტრეტში, სადაც მხოლოდ გარეგნული ნიშნების ობიექტურ ასახვასთან გვაქვს საქმე. ავტორი მიიჩნევს, რომ სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებში პირადი გამოსახულების სამართლებრივი დაცვა შეუძლებელია, რადგან გამოსახული პირის ინტერესები დაბლა დგას ხელოვნების და საზოგადოების ინტერესებზე, რომლებიც ნაწარმოების გავრცელებას ითხოვენ. გამონაკლისი უნდა იქნას დაშვებული სახვითი ხელოვნების იმ ნაწარმოების მიმართ, სადაც პიროვნება შეურაცხმყოფელ ფორმაშია გამოსახული.[11]

კაისნერის შეხედულებები არ იქნა გაზიარებული იურიდიულ ლიტერატურაში, რადგან ავტორი მოითხოვდა პირადი გამოსახულების დაცვას შეუგარემოებას, კერძოდ საკუთარი გამოსახულების გამოფენა ან გავრცელება ზღუდავდა. ავტორი მიდიოდა არა მხოლოდ იუმორისტული და კრიტიკული სურათების გამოქვეყნების, არამედ საერთოდ ფოტოგრაფებისა და მხატვრების საქმიანობის უკიდურეს შეზღუდვამდე. რაც შეეხება კოლერისა და რიტშელის პოზიციას, აქ უარყოფილია პირადი გამოსახულების უფლების დაცვის აბსოლუტურობა. დასახელებულმა ავტორებმა ხაზი გაუსვეს ერთ ძირითად გარემოებას, კერძოდ საკუთარი გამოსახულების გამოფენა ან გავრცელება უნდა აიკრძალოს იმ შემთხვევაში, თუ სურათი უხეშად აღღვევს გამოსახული პირის ინტერესებს.

ნორმა პირადი გამოსახულების დაცვის შესახებ უნდა შეფასდეს ორი

---

10 I. Kohler, Das Eigenbiid im Recht, Berlin, 1903, S. 18.

11 Rietschel, Das Recht am eigenen Bilde, Tübingen — Leipzig, 1903, S. 26—47.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოზიციიდან: ჯერ ერთი იგი უნდა წარმოადგენდეს ე. წ. „ინდივიდუალობის“ დაცვის უფლების ერთ-ერთ გარანტიას და ადგილი დაიკავოს ისეთი იურიდიული უფლების გვერდით, როგორიცაა სახელის უფლება, და მეორე პირადი გამოსახულების დაცვის უფლება უნდა მოგვევლინოს პირადი საიდუმლოების დაცვის უფლების ერთ-ერთ იურიდიულ გარანტიად, რადგან მის დარღვევას ხშირ შემთხვევაში მივყავართ მოქალაქის ინტიმური ცხოვრების გახმაურებასა და ღირსების შელახვასთან.

პირადი გამოსახულების დაცვის უფლება საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობაში აგებულია პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების ჰარმონიული შეთანხმების პრინციპების საფუძველზე. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 524-ე მუხლის თანახმად „სახვითი ხელოვნების ისეთი ნაწარმოების გამოქვეყნება, რეპროდუქცია და გავრცელება, რომელშიც სხვა პირია გამოსახული, შეიძლება მხოლოდ ამ პირის თანხმობით, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ — მისი შვილების და ქვრივის თანხმობით. ასეთი თანხმობა საჭირო არ არის, როცა გამოქვეყნება ხდება სახელმწიფოს ან საზოგადოების ინტერესებისათვის ან თუ გამოსახული პირი პოზირებისათვის ავტორისაგან სასყიდელს იღებდა“.

ამ ნორმაში, იმასთან ერთად, რომ დაწესებულია სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორის უფლებების ფარგლები, აქცენტი გადატანილია სახვითი ხელოვნების ნაწარმოებში გამოსახული პირის უფლებებზე, რომელთა შეზღუდვაც შესაძლებელია მხოლოდ ორ შემთხვევაში: სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებისათვის ან თუ გამოსახული პირი პოზირებისათვის ავტორისაგან სასყიდელს იღებდა. თავისი იურიდიული ბუნებით აღნიშნული ნორმა არ წარმოადგენს საავტორო სამართლის ნაწილს. ამიტომ იგი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის იმ ნაწილში უნდა მოთავსდეს, სადაც სამოქალაქო სამართლის სუბიექტებსა და პირად არაქონებრივ უფლებებზეა ლაპარაკი. საჭიროა 524-ე მუხლის ახალ ფორმულირებაში გათვალისწინებული იქნეს არა მარტო სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებში, არამედ ფოტოსურათებში, დოკუმენტურ, სამეცნიერო პოპულარულ ფილმებში გამოსახული პირის უფლების დაცვის შესახებ.

პირადი საიდუმლოების დაცვის ერთ-ერთი გარანტიას წარმოადგენს ფონოგამოსახულების დაცვის უფლება. ხმა ადამიანის ინდივიდუალობის განუყოფელი ნაწილია. ტექნიკის განვითარებამ შესაძლებელი გახადა ხმის თითქოსდა ჩამოცილება მისი მატარებლისაგან. ამან კი წარმოშვა მისი დაცვის აუცილებლობა. ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება კონტროლი გაუწიოს მისი ხმის ფიქსირებასა და ფონოჩანაწერით სარგებლობას.

ფონოჩანაწერის დაცვის უფლების საკითხი საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ჯერ არ ქცეულა განხილვის საგნად. ამ პრობლემას ყურადღება მიექცა გერმანელი ცივილისტების ნაშრომებში.[12]

როგორც პორტრეტული გამოსახულების, ისე ფონოჩანაწერის დაცვის უფლება ორი პოზიციიდან მოითხოვს მიდგომას: პირველი, როგორც პირის ინდივიდუალიზაციის დაცვის ერთ-ერთი საშუალება, და მეორე, როგორც პი-

[12] W. Iohn, Zum rechtlichen Schutz der Stimmlichen Außerung, Neue Iustiz, 1975, № 4, S. 114—117.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადი საიდუმლოების დაცვის უფლების ერთ-ერთი სამართლებრივი გარანტია.

ხმის უკანონო ფიქსირებასა და ფონოჩანაწერით უკანონო სარგებლობას შეიძლება მოჰყვეს იურიდიული თვალსაზრისით განსხვავებული შედეგები: დაირღვევს პირის უფლება ინდივიდუალობაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსალოდნელია ერთი პირის საუბარი ან საშემსრულებლო ხელოვნება (სიმღერა, დეკლამაცია) სხვას მიეწეროს; ამის თავიდან აცილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რადიოგადაცემების, ფილმების სინქრონიზაციის დროს, და მეორე: ხმის უკანონოდ ფიქსირებასა და ფონოჩანაწერით უკანონო სარგებლობას შეიძლება მოჰყვეს პირის პატივისა და ღირსების შელახვა მისი ინტიმური ცხოვრების გახმაურების ფორმით. უკანასკნელ შემთხვევაში საქმე გვაქვს დამოუკიდებელი სახის სამოქალაქო-სამართლებრივ დარღვევასთან, რაც დაკავშირებული არ არის ინდივიდუალობის დაცვის უფლებასთან. ჩვენთვის ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესო სწორედ ეს შემთხვევაა — ფონოჩანაწერის დაცვის უფლება, როგორც პირადი საიდუმლოების დაცვის სამართლებრივი გარანტია.

ფონოჩანაწერის დაცვის უფლების კონსტრუქციისათვის საჭიროა წინასწარ გაირკვეს; რელევანტურია თუ არა სამართლებრივად განსხვავება ფონოჩანაწერის მიზნებს შორის. საჭიროა გაირკვეს, რა მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს პირის ნებას ხმის ფიქსირებისა და ფონოჩანაწერის გამოყენების დროს.

თვისებრივი განსხვავების დადგენა საჯაროდ და არასაჯაროდ წარმოთქმულ სიტყვას შორის თითქმის შეუძლებელია. როგორც საჯაროდ, ისე არასაჯაროდ წარმოთქმული სიტყვა შეიძლება იყოს ნაკლებად მოფიქრებული ან არაგულწრფელი. ეს დამოკიდებულია პირის შინაგან მდგომარეობასა და იმ სიტუაციაზე, სადაც სიტყვა წარმოითქვა, თუ აღნიშნულ შემთხვევაში სიტყვის ჩაწერა და გავრცელება პირის თანხმობის გარეშე მოხდა, შეიძლება ამან უარყოფითი გავლენა იქონიოს მის პატივსა და ღირსებაზე.

ფონოჩანაწერი შესაძლებელია განსაზღვრული იყოს პირადი ან პროფესიული (მაგალითად, მეცნიერული) მიზნებისათვის ან ფართო წრისათვის მოსასმენად. მიუხედავად მსმენელთა მოსალოდნელი რაოდენობისა და წრისა, მოქალაქეს უნდა ჰქონდეს უფლება, არ მისცეს პირს შესაძლებლობა მისი თანხმობის გარეშე ფონოჩანაწერით ისარგებლოს. ფონოჩანაწერის გამოყენება შეიძლება, თუ პირის ნება გამომჟღავნებული იქნა სიტყვიერად ან კონკლუდენტური მოქმედებით, ან კიდევ, როცა მისი ნება შეიძლება ნაგულისხმევად ჩაითვალოს (მაგალითად, თუ პირი ფართო აუდიტორიის წინაშე გამოდის და კათედრაზე მომზადებულია მიკროფონი).

არ შეიძლება ნებადართული იქნას მალული მიკროფონების გამოყენება, თუ ხმის ჩაწერა გარკვეულ სახელმწიფოებრივ ან მეცნიერულ მიზნებს არ ისახავს. მალული მიკროფონების გამოყენება არ უნდა ჩაითვალოს უკანონოდ, თუ ჩაწერა ხდება მეცნიერული მოსაზრებით, რომელიც ფართო საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარეობს ან ხდება სახელმწიფოს უშიშროების, პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასამართლო ორგანოების მიერ დანაშაულის გახსნის და პროფილაქტიკის მიზნით. ასეთ დროს ხმის ფიქსირება და ფონოჩანაწერის გამოყენება გარკვეული წესების დაცვით უნდა განხორციელდეს, რათა არ შეიბღალოს მოქალაქეთა კანონიერი ინტერესები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში საჭიროა იყოს მითითება ფონოჩანაწერის დაცვის შესახებ. ეს შეიძლება განხორციელდეს ფონოჩანაწერის დაცვის უფლებაზე კონკრეტული მითითებით ან იმ ნორმათა უნიფიკაციით, რომლებიც პირად არაქონებრივ სიკეთეთა დაცვას ეხება.

ნორმის პირველი ნაწილი საჭიროა დაეთმოს პირად არაქონებრივ უფლებათა აღიარებას, რაც წარმოადგენს სამოქალაქო უფლებათა დაცვის ერთ-ერთ საშუალებას (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-6 მუხლი), კერძოდ, ნორმაში მითითებული უნდა იყოს იმის შესახებ, რომ ადამიანის პატივი, ღირსება, სახელი, ფსევდონიმი, მიმოწერის საიდუმლოება, პორტრეტული გამოსახულება, ხმა, ლიტერატურული, გამომგონებლობითი, რაციონალიზატორული შემოქმედება დაცულია სამოქალაქო კანონმდებლობით.

ნორმის მეორე ნაწილი უნდა მიუთითებდეს დასახელებული უფლებათა დარღვევების შემთხვევაში სამოქალაქო-სამართლებრივი სანქციების გამოყენების შესახებ. კერძოდ ფონოჩანაწერის დაცვის უფლების დარღვევისა შეიძლება გამოყენებული იქნეს ისეთი სახის სამოქალაქო-სამართლებრივი სანქციები, როგორიცაა „უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და უფლების დამრღვევი მოქმედების აღკვეთა“ (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-6 მუხლი).

რაც შეეხება ნორმას ფონოჩანაწერის დაცვის უფლებას, როგორც პირის ინდივიდუალიზაციის დაცვის ერთ-ერთი გარანტიის შესახებ, მისი ფორმულირება საჭიროა სამართალში იმ დარღვევათა გათვალისწინებით, რაც მოსალოდნელია ფილმების ან რადიო-გადაცემათა სინქრონიზაციის დროს.

ცალკე შესწავლის საგანია პირადი საიდუმლოების დაცვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი გარანტიები. თანამედროვეობა ითხოვს პირადი საიდუმლოების დაცვის გათვალისწინებას ე. წ. „საგაცნობო მომსახურების ბიუროებში“, რომლებიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს მომავალი მეუღლეების გაცნობასა და დაახლოებას. საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ქალაქში უკვე არსებული პრაქტიკა ადასტურებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ შემთხვევაში პირადი საიდუმლოების დაცვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ გარანტიებს. საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების მე-16 მუხლი სამედიცინო საიდუმლოების დაცვის შესახებ მიეკუთვნება პირადი საიდუმლოების დაცვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი გარანტიების რიცხვს. პირადი საიდუმლოების დაცვას გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი საბჭოთა სისხლის სამართლის და საოჯახო კანონმდებლობაში.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული იყო აზრი იმის შესახებ, რომ მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს პირადი საიდუმლოების დაცვაზე მითითების შეტანა საბჭოთა კონსტიტუციაში.[13] ავტორის მოსაზრება უდავოდ ყურადღების ღირსია, მაგრამ ამან, რასაკვირველია, ხელი არ უნდა შეუშალოს მიმოწერის საიდუმლოებას, პორტრეტული გამოსახულების, ფონოჩანაწერის სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის ცალკე არსებობას, რადგან პირადი საიდუმლოების დაცვა აღნიშნული ობიექტების დარღვევისას მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივი მეთოდებით შეიძლება გახდეს სრულყოფილი.

---

[13] В. Л. Суховерхий. დასახელებული ნაშრომი, გვ. 33.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლწინააღმდეგობის შინაარსი სამოქალაქო სამართალში

ჯ. რუსიაშვილი

მართლწინააღმდეგობის კრიტერიუმია სამართლის ნორმის დარღვევა. მაგრამ მართლწინააღმდეგობის ფენომენს ეს ნიშანი მარტოოდენ „გარეგნული“ მხრივ ახასიათებს. თვით მართლწინააღმდეგობის ცნების გარკვევისათვის აუცილებელია მისი შინაარსის დადგენა. ვინაიდან სამართლის ნორმის დარღვევა მართლწინააღმდეგობის ერთადერთი კრიტერიუმია, სამოქალაქო მართლწინააღმდეგობის შინაარსი შეიძლება გაირკვეს მხოლოდ იურიდიული ნორმის შემადგენელ კომპონენტთა ანალიზით.

სამართლის ნორმა — სახელმწიფოს მიერ დადგენილი (ან სანქციონირებული) და გარანტირებული ქცევის წესია. იურიდიული ნორმის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია სწორედ ქცევის წესის დადგენა, ეს უკანასკნელი კი უფლებათა და მოვალეობათა ერთობლიობაა. ლიტერატურაში სამართლიანად იყო აღნიშნული უფლებისა და მოვალეობის მეორადი ხასიათი სამართლის ნორმასთან მიმართებით.[1] ამის შესაბამისად, სამოქალაქო მართლწინააღმდეგობის საკითხი, ეს უპირველეს ყოვლისა უფლებისა და მოვალეობისადმი მართლსაწინააღმდეგო ქმედობის დამოკიდებულების საკითხია.

უფლება პირის შესაძლებელი, ნებადართული ქცევის ზომაა.[2] შემდგომში ეს ცნება დაზუსტდა იმ მხრივ, რომ მასში შეტანილ იქნა მითითება შესაძლო ქცევის სახეზე[3]. ამრიგად, უფლება გულისხმობს პირის მოქმედების ორგვარ შესაძლებლობას: შეასრულოს გარკვეული მოქმედება ან მოთხოვოს ვალდებულ პირს გარკვეული მოქმედების შესრულება.

გამოთქმული იყო აზრი, რომ უფლება ზემოთ დასახელებულ ორ შესაძლებლობასთან ერთად გულისხმობს მესამესაც — დარღვეული უფლების დასაცავად სახელმწიფოს ორგანოსადმი მიმართვის შესაძლებლობას, ე. წ. მოთხოვნას[4]. მართებულია იმ მეცნიერთა პოზიცია, რომლებიც თვლიან, რომ სახელმწიფო ორგანოსადმი მიმართვის შესაძლებლობა არსებობს არა მითითებულ ორი შესაძლებლობის პარალელურად, არამედ ახასიათებს თვით მათ, რადგანაც მის გარეშე ისინი არ იქნებოდნენ იურიდიული შესაძლებლობანი[5]. ამას ისიც ადასტურებს, რომ სახელმწიფო ორგანოში მიმართვისას უფლების დარღვევამდე მის მიერ ნაგულისხმევი შესაძლებლობები მოდიფიცირდებიან და მოთხოვნად გადაიქცევიან.

პირობითად ორივე შესაძლებლობა შეიძლება წარმოდგენილ იქნეს უფლებამოსილი პირის ქცევის ერთი, ზოგადი შესაძლებლობის სახით.[6] მაგრამ

---

[1] См. Д. М. Чечот. Субъективное право и формы его защиты. ЛГУ. 1968, с. 10; «Гражданскоправовое положение личности в СССР», М., 1975, с. 9.

[2] С. П. Братусь. Юридические лица в советском гражданском праве. М., 1947, с. 33, 34.

[3] Н. Г. Александров. Законность и правоотношения в социалистическом обществе. М., 1955, с. 109.

[4] Н. Г. Александров. Указ. соч., с. 109.

[5] О. С. Иоффе. М. Д. Шоргородский. Вопросы теории права. М., 1961, с. 223. Д. М. Чечот. Указ. соч., с. 26.

[6] См. Ю. К. Толстой. К теории правоотношения. ЛГУ. 1959, с. 52.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ეს მართებულად არის აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, უფლებაში შემავალ შესაძლებლობათა დიფერენციაცია ცალკეულ სახეობებად, გვეხმარება მოცემული სამართლებრივი კატეგორიის არსის უკეთ გაგებაში, მაშინ როცა მათი ინტეგრირება არაფერს არ გვაძლევს.[7]

უფლებას, ისევე როგორც ნებისმიერ იურიდიულ ფენომენს, გააჩნია საკუთარი სოციალური შინაარსი. უფლების მატერიალური შინაარსი — სოციალური სიკეთით სარგებლობის შესაძლებლობაშია.[8] ჩვენი აზრით, სოციალური სიკეთით სარგებლობის შესაძლებლობა არ წარმოადგენს იურიდიული უფლების ფარგლებში არსებულ შესაძლებლობათა ერთ-ერთ ალტერნატივას.[9] იგი თანაბრად მიეკუთვნება ყველა მათგანს. ამიტომაც, სოციალური სიკეთით სარგებლობის შესაძლებლობა შეიძლება გამოიყოს ცალკე, საერთოდ უფლების დამახასიათებელ ნიშნად.

უფლებასთან ერთად, სამართლის ნორმა ყოველთვის ადგენს იურიდიულ მოვალეობასაც და იგი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც სუბიექტის შესაძლებელი სავალდებულო მოქმედება.

უფლებებთან და მოვალეობებთან მართლსაწინააღმდეგო ქმედობის დამოკიდებულების გარკვევა და, მაშასადამე, მართლსაწინააღმდეგო ქმედობის შინაარსის დადგენა თვით უფლებასა და მოვალეობას შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების გარკვევას მოითხოვს.

უფლებას და მოვალეობას აქვს მთელი რიგი საერთო ნიშნები. ისინი წარმოშვებიან სამართლებრივი ნორმის საფუძველზე და წარმოადგენენ დადგენილი ქცევის წესის აუცილებელ კომპონენტებს.

როგორც უფლების, ასევე მოვალეობის რეალიზაციის ფორმას წარმოადგენს სამართლებრივი ურთიერთობა.

უფლება და მოვალეობა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც შესაძლებლობები, ე. ი. ფენომენები, რომლებიც სინამდვილის საპირისპირო სფეროს მიეკუთვნებიან. შესაბამისად, ისინი არა რეალური, ფაქტიური, არამედ მომავალში განსახორციელებელი მოქმედებანია.

უფლება და მოვალეობა ასახავს სამართლის მოცემული სისტემით დაშვებულ სუბიექტის თავისუფლების საზღვრებს.

მიუხედავად ჩამოთვლილი საერთო ნიშნებისა, უფლებები და მოვალეობანი არ არის იდენტური.

მათ შორის განსხვავება უპირველესად ის არის, რომ ისინი სამართლებრივი ურთიერთობის სხვადასხვა „პოლუსებზე“ იმყოფება, ერთმანეთს უპირისპირდება. იურიდიული მოვალეობა თავისებურად „დამხმარე“ როლს ასრულებს უფლების მიმართ. იგი — უფლების განხორციელების უზრუნველყოფის საშუალებაა, ხერხია.[10] მაგრამ იურიდიული მოვალეობის „დამხმარე“ როლზე მითითება სრულიადაც არ ნიშნავს მისი მნიშვნელობის დაკნინებას სამართლებრივ ურთიერთობაში. ისინი თანაბარი იურიდიული მნიშვნე-

---

[7] См. Н. И. Матузов. Личность. Права. Демократия. Изд-во Саратовского университета. 1972. с. 111.

[8] См. М. С. Строгович. Основные вопросы советской социалистической законности. М., 1966. с. 168.

[9] См. М. С. Строгович. Указ. соч., с. 168—169; Н. И. Матузов. Указ. соч., с. 123.

[10] См. Р. О. Халфина. Общее учение о правоотношении. М., 1974, с. 225. Гражданскоправовое положение личности в СССР, с. 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობისაა, თუმცა ერთმანეთისაგან განსხვავდება ფუნქციებით. თუ უფლების ძირითადი და უშუალო ფუნქცია — უფლებამოსილი პირის ინტერესების დაკმაყოფილებაა, იურიდიული მოვალეობის ძირითადი და უშუალო ფუნქცია უფლების განხორციელების უზრუნველყოფაა.

უფლებისა და მოვალეობის თანაბარი მნიშვნელობა გამოიხატება სამართლებრივ ურთიერთობაში მათი ერთდროულად არსებობის აუცილებლობით, რაც ამ იურიდიულ კატეგორიათა განუყოფელი კავშირის შედეგია.

უფლება წარმოუდგენელია კორესპონდირებული მოვალეობის გარეშე, და პირიქით. უფლებები და მოვალეობები, განხილული ერთი პირის უფლების სხვა პირთა იურიდიულ მოვალეობებთან კავშირის გარეშე ფიქციად გადაიქცევა.[11] არ შეიძლება დავეთანხმოთ აზრს, რომ თითქოს არსებობს იურიდიული მოვალეობები, დაწესებული საერთოდ მართლწესრიგისათვის, ანდა სუბიექტთა იმ ჯგუფის კანონიერ ინტერესთა უზრუნველსაყოფად, რომელთა უფლებაც გარკვეულ პირთა მიმართ შეიძლება მომავალში წარმოიშვას ან შეიძლება არც წარმოიშვას.[12]

უფლების (ანდა იურიდიულ მოვალეობის) არარსებობა ნიშნავს ქცევის წესის, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულატორის, დადგენის შეუძლებლობას. შესაბამისად, უფლებების გარეშე იურიდიულ მოვალეობათა არსებობის დაშვება ნიშნავს შესაძლებლად მივიჩნიოთ სამართლის ისეთ ნორმათა არსებობა, რომლებიც არ ადგენს ქცევის წესს. ეს კი გამორიცხავს მათ მიერ თავიანთ ძირითად სოციალურ ფუნქციის — საზოგადოებრივ ურთიერთობების მოწესრიგების — შესრულებას.

უფლებისა და მოვალეობის განუყოფელი კავშირი განაპირობებს მათ თანაბარ მნიშვნელობას მართლწინააღმდეგობის ფენომენისათვის, თუმცა თითოეული მათგანის კონკრეტული ფუნქცია მართლწინააღმდეგობის მექანიზმში სხვადასხვა.

ეწინააღმდეგება რა სამართლის ნორმას, მართლსაწინააღმდეგო ქმედობა ყოველთვის არღვევს ნორმით დადგენილ უფლებას, და არა მოვალეობას.

როგორც აღნიშნული იყო, მოვალეობა უფლების განხორციელების უზრუნველყოფის საშუალებაა. უფლების მიმართ მოვალეობის „დამხმარე" როლი გამორიცხავს ამ უკანასკნელის დარღვევის შესაძლებლობას. შეიძლება ითქვას, რომ იურიდიული მოვალეობა არ შეიძლება დაირღვეს. იგი შეიძლება შესრულდეს, ან არ შესრულდეს, მაგრამ ორივე შემთხვევაში შედეგი უშუალოდ ზემოქმედებს მხოლოდ უფლებაზე და ნიშნავს მის განხორციელებას (როცა მოვალეობა სრულდება) ან დარღვევას (როცა მოვალეობა არ სრულდება). მაშასადამე, ქმედობის სამართლის ნორმასთან წინააღმდეგობის მექანიზმში იურიდიული მოვალეობა ასრულებს „დამხმარე" როლს, მისი შეუსრულებლობა უფლების დარღვევის საშუალებაა, ხერხია. მაგალითად, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 248-ე მუხლით დადგენილი გამყიდველის იურიდიული მოვალეობა — შეინახოს და არ დაუშვას იმ ნივთის ხარისხის გაუარესება, რომელზედაც საკუთრების ან ოპერატიული მმართველობის უფლება მყიდველზე გადადის ნივთის გადაცემამდე, — მყიდ-

---

[11] См. Д. М. Чечот. Указ. соч., с. 24.
[12] См. С. Ф. Кечекьян. Правоотношения в социалистическом обществе. М., 1958, с. 63—64.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველის უფლების განხორციელების უზრუნველყოფის საშუალებაა. გამყიდველს არ შეუძლია მოცემული მოვალეობის დარღვევა. მას შეუძლია მხოლოდ მისი შესრულება ან შეუსრულებლობა. ნივთის არაჯეროვნად შენახვით მყიდველისათვის გადაცემამდე, იგი არღვევს მის საკუთრების უფლებას ნაყიდ ნივთზე. ანალოგიურად, ქვემოქირავნე, თუ კი არ ასრულებს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 318-ე მუხლით დადგენილ მოვალეობას — ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ გაათავისუფლოს საცხოვრებელი სადგომი, არღვევს არა მოვალეობას, არამედ მოვალეობის შეუსრულებლობის საშუალებით გამქირავებლის საკუთრების უფლებას გაქირავებულ საცხოვრებელ ფართობზე.

იურიდიული მოვალეობისაგან განსხვავებით, მართლსაწინააღმდეგო ქმედობა ყოველთვის არღვევს უფლებას. უფლების დარღვევა კი მოვალეობის შეუსრულებლობის შედგია. ამიტომაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამოქალაქო მართლწინააღმდეგობის შინაარსი იურიდიული მოვალეობის შეუსრულებლობით უფლების დარღვევაში მდგომარეობს. ზემოთმოყვანილ მაგალითებში, გამყიდველის მართლსაწინააღმდეგო ქმედობის შინაარსი მდგომარეობს ნივთის ჯეროვნად შენახვის იურიდიული მოვალეობის შეუსრულებლობით გაყიდულ ნივთზე მყიდვალის საკუთრების უფლების დარღვევაში, ხოლო ქვემოქირავნეთა მართლსაწინააღმდეგო ქმედობის შინაარსი მდგომარეობს ნივთის ჯეროვნად შენახვის იურიდიული მოვალეობის შეუსრულებლობით გაყიდულ ნივთზე მყიდველის საკუთრების უფლების დარღვევაში.

უფლების დარღვევა იურიდიული მოვალეობის შეუსრულებლობით წარმოადგენს სამართლის ნორმისადმი ქმედობის წინააღმდეგობის ერთადერთ ფორმას.

პირის ნებისმიერი მოქმედება, თუ ის არ გამოიხატება მოვალეობის შეუსრულებლობით, რაც უფლებას არ არღვევს, არ ეწინააღმდეგება სამართლის ნორმას და მართლზომიერი, ანდა უკიდურეს შემთხვევაში სამართლისათვის ირელევანტური ქმედობაა.[13]

ლიტერატურაში გამოთქმული იყო აზრი, რომლის მიხედვითაც სამართლის ნორმას ეწინააღმდეგება არა მარტო იურიდიული მოვალეობის შეუსრულებლობა, არამედ უფლების განუხორციელებლობაც. მართლსაწინააღმდეგოდ კი ითვლება მხოლოდ ის ქმედობა, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლის ნორმას მხოლოდ იურიდიული მოვალეობის შეუსრულებლობის ფორმით.[14] შესაბამისად, ქმედობები, რომელთა არსიც იურიდიული უფლების გამოუყენებლობაა, თუმცა ეწინააღმდეგება სამართლის ნორმას, მაგრამ მართლზომიერია.

მიგვაჩნია, რომ იურიდიული უფლების გამოუყენებლობა მართლზომიერი ქმედობაა. ამიტომაც არ შეიძლება გავიზიაროთ აზრი სამართლის ნორმისადმი მისი წინააღმდეგობის შესახებ.

---

[13] ჩვენ არ ვეხებით ე. წ. „უფლების ბოროტად გამოყენების“ საკითხს, რომელიც სპეციალური კვლევის საგანია, მაგრამ გამოვდიგართ იქიდან, რომ „უფლების ბოროტად გამოყენების“ შემთხვევაშიც პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედობის შინაარსს წარმოადგენს იურიდიული მოვალეობის შეუსრულებლობით უფლების დარღვევა.

[14] См. Р. О. Халфина. Реценция на книгу О. С. Иоффе. «Ответственность по советскому гражданскому праву». «Советское государство и право», 1956, № 7, с. 136; И. С. Самощенко. Понятие правонарушения по советскому законодательству», М., 1963, с. 70.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირის ქმედობა, რომლის არსი უფლების განუხორციელებლობაშია, არა თუ არ ეწინააღმდეგება სამართლის ნორმას, არამედ პირიქით, შეესაბამება მის დანაწესებს. ამ დასკვნისაკენ მივყავართ უფლების დამახასიათებელ ზოგიერთ ნიშნის ანალიზს.

უფლება **არ** გულისხმობს მისი განხორციელების აუცილებლობას. იგი პირველ რიგში — შესაძლებლობაა.

ეს ერთხმად **არის** აღიარებული იურიდიულ ლიტერატურაში.[15]

ამასთანავე, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ უფლება იურიდიული შესაძლებლობაა, რაც ნიშნავს ამა თუ იმ ქმედობის ნებადართულობას. უფლება, როგორც ნებართვა, უფრო მეტად იმყოფება შესაძლებლობის, ვიდრე სინამდვილის სფეროში. ნებადართულია ის, რაც ჯერ კიდევ არ არსებობს და მხოლოდ მომავალში გადიქცევა სინამდვილედ. ამავე დროს შესაძლებლობა — როგორც უფლების ნიშანი, არ გამორიცხავს მის რეალურ ხასიათს. იგი მხოლოდ მიჯნავს უფლებას მისი რეალიზაციის პროცესისაგან.

რეალური, ფაქტიური მოქმედებები არ შედის უფლების შინაარსში. ისინი უფლების განხორციელების ცალკე ეტაპია და მიეკუთვნება იურიდიული ფაქტების სფეროს.[16]

პირისადმი უფლების მინიჭება ნიშნავს არა მის განხორციელებას, არამედ უფლებამოსილი პირისადმი არჩევანის შესაძლებლობის მიცემას: განახორციელოს ან არ **განახორციელოს ესა თუ ის უფლება.**

რადგანაც **უფლება** ნიშნავს გარკვეული მოქმედების ჩადენის ნებართვას, ამდენად მისი **მიმნიჭებელი** სამართლის ნორმა პოტენციურად გულისხმობს უფლებამოსილი **პირის** ქცევის ორ ვარიანტს: განახორციელოს მინიჭებული **უფლება**, ანდა **უარი თქვას** მის განხორციელებაზე. ამ **წინასწარ** ნებადართული ქცევის **ვარიანტებიდან** ერთ-ერთის განხორციელება არ სცილდება სამართლის **ნორმის** **დანაწესთა** ფარგლებს. **შესაბამისად** იგი არც **ეწინააღმდეგება** **მას.**

შეიძლება დავასკვნათ, რომ უფლების განუხორციელებლობა წარმოადგენს ქმედობის სამართლის ნორმისადმი შესაბამისობის ერთ-ერთ ფორმას.

ეს **დასკვნა** **დასტურდება** **უფლების** **განუხორციელებლობის** **ბუნების** **ანალიზითაც.**

სამართლის ნორმის დანიშნულება საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირებაა. მაგრამ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგება კანონმდებლის თვითმიზანი კი არ არის, არამედ ობიექტური აუცილებლობაა, რომლის საშუალებითაც მიიღწევა საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების დაკმაყოფილება სოციალისტურ საზოგადოებაში. სამართლის ნორმა საზოგა-

---

[15] С. А. Голунский, М. С. Строгович. Теория государства и права. М., 1940,, с. 278; С. Н. Братусь. Указ. соч., с. 11, 12; О. С. Иоффе. М. Д. Шаргородский. Указ. соч., с. 223; «Марксистско-ленинская общая теория государства и права». Социалистическое право. М., 1970, с. 520; Г. В. Мальцев. Социалистическое право и свобода личности. М., 1968. С. 66. «Гражданскоправовое положение личности в СССР», с. 14, 15; Г. Дорнбергер. Г. Клейне. Г. Клингер. М. Пош. Гражданское право Германской Демократической Республики. Общая часть. ИЛ. 1957; с. 157; Любен Василев. Гражданское право Народной Республики Болгарии. Общая часть, М., 1958, с. 153; Имре Сабо. Социалистическое право. М., 1964, с. 325—326.

[16] См. «Марксистско-ленинская общая теория государства и права» Социалистическое право., с. 521.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს ამ ურთიერთობათა მონაწილეთათვის უფლებებისა და იურიდიული მოვალეობების მინიჭებით. შესაბამისად, უფლებებისა და იურიდიული მოვალეობების არსებობის საბოლოო მიზანს საზოგადოებრივი და პიროვნული ინტერესების დაკმაყოფილება წარმოადგენს. უფლება — ეს საშუალებაა, რომლის დახმარებით კმაყოფილდება პირის ესა თუ ის ინტერესი.[17]

პირი იძენს და ახორციელებს უფლებებს თავის ინტერესების შესაბამისად.[18] მართალია, ყველა ინტერესი არაა გამუალედებული უფლებით, მაგრამ ნებისმიერი უფლება გულისხმობს მის საფუძველში ინტერესის არსებობას.

ადგენს რა უფლებას, სახელმწიფო მხედველობაში იღებს ობიექტურ ფაქტორებს — ადმიანთა მოთხოვნილებებს, საზოგადოებაში არსებულ ღირებულებათა სისტემას და ა. შ., რომლებიც საბოლოო ანგარიშით, განაპირობებს პიროვნებათა ინტერესებს. ამასთანავე, სინამდვილის რთული შინაარსი, იწვევს რა ინტერესთა მრავალფეროვნებას, გამორიცხავს მათ ამომწურავ ფიქსაციას და გამუალედებას უფლებებით. გარკვეულ შემთხვევებში მრავალფეროვანი ცხოვრებისეული სიტუაციები და სუბიექტის ინდივიდუალური თავისებურებანი გამორიცხავენ იმ ინტერესთა წარმოშობას, რომელთა დაკმაყოფილების მიზნითაც პირს მინიჭებული აქვს უფლებანი, ანდა ხელს უწყობენ კანონმდებლობის მიერ ნაგულისხმევი საწინააღმდეგო ინტერესების წარმოშობას.

ბუნებრივია, იმ შემთხვევაში, როდესაც უფლების დახმარებით პირს არ შეუძლია დაიკმაყოფილოს თავისი ინტერესი, იგი არ განახორციელებს მას. უფლება, როგორც ინტერესის დაკმაყოფილების საშუალება, მისთვის მოკლებულია ყოველგვარ მნიშვნელობას, რადგანაც მას არ გააჩნია ნაგულისხმევი სოციალური სიკეთით სარგებლობის ინტერესი, ანდა მისი ინტერესი მდგომარეობს სწორედ ამ სოციალური სიკეთის უარყოფაში. სამართლის ნორმა მხოლოდ ინტერესის არსებობის პრეზუმირებას ახდენს, მაგრამ უშვებს მისი არარსებობის, ანდა სხვა ინტერესის არსებობის შესაძლებლობასაც. ამიტომაც იგი, ანიჭებს რა პირს უფლებას, ნებას რთავს, მაგრამ რა ავალდებულებს ჩაიდინოს გარკვეული ქმედება.

საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის I ნაწილი კრედიტორს ანიჭებს მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. ამ ნორმის დანაწესი გულისხმობს როგორც უფლების განხორციელებას (მოსთხოვოს მოვალეს ზარალის ანაზღაურება) ასევე უფლების განხორციელებაზე უარის თქმასაც (არ მოსთხოვოს მოვალეს ზარალის ანაზღაურება). ანიჭებს რა კრედიტორს იურიდიულ უფლებას, კანონმდებელი გულისხმობს, რომ პირს გაჩნია ინტერესი სოციალური სიკეთის — ასანაზღაურებელი ზარლის — დაუფლებაზე და მინიჭებული უფლების დახმარებით იგი დაიკმაყოფილებს მას.

როგორც წესი, ამ უფლების განხორციელების საშუალებით, კრედიტორი იკმაყოფილებს თავის ინტერესს. მაგრამ მოსალოდნელია გამონაკლისიც. ამ მოვალეობის შესრულების შედეგად (შესაბამისად, მოცემული იურიდიუ-

---

[17] См. Н. И. Матузов. Указ. соч.. с. 214. Д. М. Чечот. Указ. соч., с. 35.
[18] «Гражданскоправовое положение личности в СССР», с. 20—22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი უფლების განხორციელების შედეგად) მოვალის ქონებრივი მდგომარეობა უარესდება. კრედიტორს, ქონებრივ ინტერესთან (ზარალის ანაზღაურება) ერთად, კონტრაგენტთან მისი ურთიერთობის სპეციფიკიდან (ნათესაური კავშირი, მოვალის ადრინდელი დახმარება) გამომდინარე, შეიძლება გააჩნდეს არაქონებრივი ინტერესიც — მისწრაფება მოვალისათვის დახმარების აღმოსაჩენად. მითითებულ ინტერესთა კოლიზიის შემთხვევაში არაქონებრივმა ინტერესმა (დახმარების აღმოჩენა), შეიძლება გადასძლიოს ქონებრივს (სარგებლობის მიღება ზარალის ანაზღაურების საშუალებით). ამის შედეგად, კრედიტორმა შეიძლება არ მოითხოვოს მოვალისაგან ზარალის ანაზღაურება, ე. ი. არ განახორციელოს მინიჭებული იურიდიული უფლება. განა შეიძლება ვთქვათ, რომ კრედიტორის ასეთი მოქმედება ეწინააღმდეგება სამართლის ნორმას? ჩვენი აზრით — არა. ანიჭებს რა კრედიტორს უფლებას — მოსთხოვოს მოვალეს ზარალის ანაზღაურება, სამართლის ნორმა გულისხმობს, რომ კრედიტორს გააჩნია ზარალის ანაზღაურების ინტერესი. მაგრამ ეს მხოლოდ ერთ-ერთი „საკანონმდებლო ვერსიაა". ამასთან ერთად, შესაძლებელია სხვა ინტერესის არსებობაც, რომლისთვისაც კანონმდებელს „კარები ღია აქვს დატოვებული". ანიჭებს რა პირს იურიდიულ უფლებას, კანონმდებელი მას ანდობს იმ ინტერესის მნიშვნელობის განსაზღვრას, რომელიც უფლების რეალიზაციით უნდა დაკმაყოფილდეს.

ამავე გზით შეიძლება დასაბუთდეს, რომ უფლების განუხორციელებლობის სხვა შემთხვევებიც შეესაბამებიან ნორმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

როდესაც ვლაპარაკობთ უფლების განუხორციელებლობაზე, როგორც ნორმის შესაბამის ქმედობაზე, მხედველობაში გვაქვს უფლება „წმინდა სახით" ე. ი. როდესაც იგი იმავდროულად არ არის იურიდიული მოვალეობაც.

როდესაც უფლება ერთდროულად მოვალეობაცაა, მისი განუხორციელებლობა ნიშნავს ქმედობის ნორმისადმი წინააღმდეგობას და ამდენად იგი მართლსაწინააღმდეგოა. ეს გასაგებია, რადგანაც ასეთი უფლების განუხორციელებლობა ამავე დროს იურიდიული მოვალეობის შეუსრულებლობაცაა. იურიდიული მოვალეობის შეუსრულებლობა კი სამართლის ნორმის დარღვევის ტიპიურ საშუალებას წარმოადგენს. მაგალითად, მშობლის უფლება ბავშვის აღზრდაზე, ამავე დროს, წარმოადგენს მის იურიდიულ მოვალეობასაც. ამ უფლების განუხორციელებლობა ნიშნავს მშობლების ისეთი იურიდიული მოვალეობების შეუსრულებლობას, როგორიცაა მათი მოვალეობა აღზარდონ ბავშვები კომუნიზმის მშენებლობის მორალური კოდექსის სულისკვეთებით, იზრუნონ მათ ფიზიკურ განვითარებაზე, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისათვის მომზადებაზე. ამიტომაც ასეთი ქმედობა მართლსაწინააღმდეგოა. ანალოგიურად, სოციალისტურ ორგანიზაციათა შორის დაწესებული, სანქციის გადახდის მოთხოვნის უფლება წარმოადგენს ამავე დროს მოვალეობასაც. მისი განუხორციელებლობა, ნიშნავს მოვალეობის შეუსრულებლობას და მართლსაწინააღმდეგოა.

ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: სამოქალაქო მართლწინააღმდეგობის შინაარსი იურიდიული მოვალეობის შეუსრულებლობით პირის უფლების დარღვევაა. იურიდიული უფლების განუხორციელებლობა არ ნიშნავს ქმედობის სამართლის ნორმისადმი წინააღმდეგობას და იგი მართლზომიერი ქმედობაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლშეგნების აღგილი დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის შაქტორთა შორის

თ. ზავგულიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

სადაც მოთხოვნილება არ არის, იქ არც აქტივობა, სადაც არ არის აქტივობა, იქ არც ქცევაა, ხოლო ქცევის გარეშე არ არის დანაშაული. ამიტომ ადამიანი დანაშაულს ამა თუ იმ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სჩადის.

თანამედროვე ცივილიზებულ ადამიანს მოთხოვნილებათა ურთულესი სისტემა გააჩნია, და რომელი მოთხოვნილება შეიძლება იქცეს დანაშაულის წყაროდ, ეს ძნელი განსაჭვრეტია. ადამიანი სოციალური არსებაა და მისი მოთხოვნილებათა სისტემაც სოციალური ხასიათისაა. თვით ვიტალური მოთხოვნილებებიც კი სოციალურ სპექტრშია გარდატეხილი. ნორმალურ ადამიანს არა აქვს თავისთავად დანაშაულის ჩადენის მოთხოვნილება.[1] მრავალ შესაძლებელ ქცევათა შორის, დანაშაული მოთხოვნილების დაკმაყოფილების ერთ-ერთი საშუალებაა. ამიტომ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად შეარჩევს თუ არა ადამიანი დანაშაულებრივ ქცევას, ეს მოთხოვნილებაზე არაა დამოკიდებული. მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზების ძიება მოტივაციის საშუალებით ხდება. სანამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამა თუ იმ ხერხს, ქცევას მიმართავს, ადამიანი მსჯელობს, ეძებს ამ ქცევას. კონკრეტული ქცევის დროის, მიმართულების და ხასიათის ინტელექტუალური ძიების პროცესი, მოტივაციის პროცესია, რომლის შედეგად სუბიექტი მიდის დასკვნამდე თუ მოცემულ სიტუაციაში უამრავ ქცევათა შორის, რომელი ქცევაა მისთვის უფრო ხელსაყრელი. თუ სუბიექტი იმ დასკვნამდე მივა, რომ მოცემულ სიტუაციაში, ვთქვათ, ფულის შოვნის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, სხვადასხვა სოციალურად ღირებულ ქცევათა შორის მისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელია გატეხოს მეზობლის სახლი და მოიპაროს ფული, მას შეუმუშავდება დანაშაულებრივი ქცევის, კერძოდ ქურდობის მოტივი. თუკი ქურდობის მოტივს თან მოჰყვება ქურდობის გადაწყვეტილება, შემდეგ კი ქურდობის განწყობა და მისი რეალიზაცია, ამ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის მიზეზი განწყობა კი არ არის, არამედ განწყობაში რეალიზაცია ჰპოვა ქურდობის მოტივმა, რომელიც მოტივაციის შედეგად იქნა მიღებული. ფულის შოვნის მოთხოვნილებაში[2] მოცემული იყო მხოლოდ მოთხოვნილების ობიექტი (ფული) და არა ის ქცევა ან ქცევათა სისტემა, რომლითაც ფულის შოვნა

---

[1] პრაქტიკაში ზოგჯერ ვხვდებით შემთხვევებს, როცა ადამიანს აქვს თავისთავად დანაშაულებრივი ქცევის ჩადენის მოთხოვნილება და სრულიადაც არ არის დაინტერესებული მისი შედეგებით. ასეთ მოქმედებებს ადგილი აქვს სხვადასხვა ანომალიების (მაგ. სადიზმის) ან ძალზე ღრმად წასული რეციდივული დანაშაულის დროს.

[2] ამ შემთხვევაში ფული მრავალი სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილების ეკვივალენტად ჩეიძლება გამოდგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] მოთხოვნილებაში არ ყოფილა ასახული დანაშაულებრივი ქცევა (ქურდობა). დანაშაულებრივი ქცევა იდეალურად გაჩნდა მოტივაციის პროცესში, ე. ი ინტელექტუალური მსჯელობისას, თუ რა გზით ეშოვა ინდივიდს ფული. დანაშაულებრივი მოტივის საწყისი გამოიკვეთა მოტივაციის პროცესში. სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის პროცესზე განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება.

მოტივაციის პროცესი მოსალოდნელი ქცევის ძიებაა. იგი ამავე დროს მსჯელობაა მის სოციალურ მხარეზე და საბოლოოდ, — მსჯელობაა მოცემულ სიტუაციაში ქცევის ხელსაყრელობაზე. ამგვარ მსჯელობაში მრავალი ფაქტორი მონაწილეობს. სანამ ადამიანს დანაშაულებრივი ქცევის მოტივი გამოუმუშავდება, იგი მრავალ ფაქტორს უწევს ანგარიშს და მხოლოდ ამის შემდეგ ასკვნის, რომ მოცემულ სიტუაციაში მისთვის სწორედ ქურდობაა ხელსაყრელი და სხვა არაფერი.[3]

ქცევის ფსიქოლოგიური სტრუქტურა არ იცვლება მისი სოციალური მნიშვნელობისა თუ ღირებულების შეცვლასთან დაკავშირებით, მაგრამ იმის მიხედვით, თუ რა სოციალურ მიმართულებას იღებს ქცევა, მოტივაციის ფაქტორები სულ სხვადასხვა შეიძლება იყოს. მაგალითად, თუ ადამიანი წყვეტს საკითხს ზაფხულში სად დაისვენოს — ზღვაზე, თუ მთაში, — მოტივაციის ფაქტორთა შორის შეიძლება არ გვექნეს ისეთი სამართლებრივი ხასიათის ფაქტორები, როგორიცაა მართლშეგნება, სამართლებრივი კონტროლი და სხვა. საკმარისია ადამიანი შევიდეს იმის განსჯაში: მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ჩაიდინოს დანაშაული თუ სხვა გზით დაიკმაყოფილოს მოთხოვნილება, მაშინვე ამოქმედდებიან ფაქტორები, რომლებიც სწორედ სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარეობენ.

ამგვარად, სამართლებრივი მნიშვნელობის ქცევის, მათ შორის დანაშაულებრივი ქცევის, მოტივის შემუშავების დროს მოტივაციის პროცესში მონაწილეობენ სპეციფიკური ფაქტორები, რომლებიც მოტივაციის პროცესს სხვა ელფერს, სხვა სოციალურ და სამართლებრივ ღირებულებას აძლევენ. ეს გარემოება, რასაკვირველია, არ ცვლის ქცევის ფსიქოლოგიურ სტრუქტურას, რადგან იგი არ არის დამოკიდებული ქცევის სოციალურ თუ სამართლებრივ ღირებულებაზე.

---

[3] ფსიქოლოგები მოტივაციის ფაქტორებს გარკვეული სისტემით აჯგუფებენ, რათა მათ მწყობრი სახე მისცენ. ყურადსაღებია მოტივაციის ფაქტორთა სისტემა, რომელსაც დ. კიკნაძე იძლევა. იგი ამ ფაქტორებს ჰყოფს ფაქტორთა სუბიექტურ და ობიექტურ მხარედ. სუბიექტური მხარის ფაქტორებად დ. კიკნაძეს მიაჩნია: 1. კონკრეტული საჭიროება, მოთხოვნილება, როგორც სუბიექტის მდგომარეობა; 2. მოთხოვნილების სუბიექტური გარემო, ფონი, მოთხოვნილებათა შინაგანი სისტემა, სხვადასხვა ინტერესები, მისწრაფებები; 3. სუბიექტის განკარგულებაში არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებები, შესაძლებლობები, უნარი; 4. მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და დაკმაყოფილებული მოთხოვნილების ღირებულება, მნიშვნელობა სუბიექტისათვის. ობიექტურ მხარეში ავტორს შეაქვს შემდეგი ფაქტორები: 1. მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტი; 2. მოთხოვნილების დაკმაყოფილების საგნის დაუფლების ობიექტური გარემო და კონკრეტული სიტუაცია, საზოგადოებრივი ურთიერთობები, იურიდიული და მორალური ნორმები და სხვა..., 3. მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტურად და რეალურად არსებული გზები, საშუალებები, შესაძლებლობები; 4. მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და დაკმაყოფილებული მოთხოვნილების ობიექტური საზოგადოებრივი ღირებულება, მნიშვნელობა სუბიექტური შეფასებით (იხ. დ. კიკნაძე). ადამიანის მოქმედების საკითხისათვის, თბ., 1971, გვ. 111.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე ცივილიზებული ადამიანი, სოციალიზაციის კვალობაზე, უშუალო პრაქტიკული გამოცდილებით თუ საზოგადოებაში დაგროვილი ცოდნისა და უამრავი ინფორმაციის მიღებით დიდ ცოდნას იძენს. ეს ცოდნა და მის საფუძველზე შემუშავებული ქცევის შაბლონები ქმნიან ცოდნისა და გამოცდილების ე. წ. პოტენციურ ველს. **ეგი პოტენციურია,** ვინაიდან მისი აქტუალიზაცია ხდება მხოლოდ **მაშინ, და** იმ ზომით, როცა და რა ზომითაც სჭირდება ეს ინდივიდს. მაგალითად, სტუდენტი ხსნის ურთულეს მათემატიკურ ამოცანას, ხდება ცოდნის აქტუალიზაცია მხოლოდ მათემატიკის დარგში. ცოდნის ის სფერო, რომელიც სტუდენტის აქტივობისათვის ამ მომენტში საჭირო არ არის, რჩება პოტენციურ ველში და მისი არსებობა ამ მომენტისათვის არც კი აღიქვება. საკმარისია სტუდენტი მოხვდეს სხვა სიტუაციაში, დავუშვათ დასჭირდა ვენახის შეწამვლა, იმწამსვე მოხდება მისი ცოდნის სულ სხვა სფეროს აქტუალიზაცია. ცოდნა მათემატიკის დარგში უკვე გადაინაცვლებს პოტენციურ ველში.

ცოდნის პოტენციური ველი გულისხმობს არა მხოლოდ საგნების და მოვლენების ფიზიკური და გარეგნული, არამედ მათი შეფასებითი მხარის აღქმასაც. ამ შემთხვევაში საგნების და მოვლენების ფიზიკური და შეფასებითი მხარის აღქმა ერთიანია და იგი დანაწევრებულად არ შეიგრძნობა. ასე მაგალითად, ადამიანმა იცის არა მარტო თოფის არსებობა, არამედ ისიც, რომ იგი ისვრის და რომ თოფით ნადირობა და კაცის მოკვლა შეიძლება. იცის ისიც, რომ ადამიანის მოკვლა დანაშაულია და მკვლელი ისჯება. ამიტომ, სანამ ადამიანი თოფს უყურებს როგორც კურდღელზე სანადირო იარაღს, მასში ხდება თოფის, როგორც სანადირო საშუალების შესახებ ცოდნის აქტუალიზაცია. საკმარისია მან თოფი წარმოიდგინოს როგორც მისი არასასურველი მეზობლის თავიდან მოცილების საშუალება, რომ მაშინვე მასში მოხდება ცოდნის იმ სფეროს აქტუალიზაცია, სადაც ჩანს მისი დამოკიდებულება სოციალური და სამართლებრივი ნორმებისადმი.

მოტივაციის პროცესი ინტელექტუალური პროცესია, სადაც ცნობიერების საშუალებით, სოციალური სიმბოლოების მანიპულაციის გზით, მომავალი ქცევის სურათის წარმოდგენა, მისი გზების გამონახვა ხდება. ეს ხერხდება სწორედ იმ სოციალური სიმბოლოების ცნობიერებაში გადატანით ანუ აქტუალიზაციის გზით, ცოდნის რომელ სფეროშიც იკვლევს გზას მოტივაციის პროცესი.

რა წამსაც მოტივაციის პროცესი აისახება ქცევაში, რომელსაც სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი აქვს, იმწამსვე მათლშეგნების სფეროს აქტუალიზაცია ხდება, ე. ი. იმ სფეროს აქტუალიზაცია, სადაც ვლინდება, თუ რა იცის პირმა სამართლებრივი ნორმების, და საერთოდ სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ, რა დამოკიდებულება აქვს მათთან და როგორი სამართლებრივი მნიშვნელობის ქცევის შაბლონები აქვს შემუშავებული. **ყოველივე ამის გამო დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიურ სტრუქტურაში და მოტივაციის პროცესში მართლშეგნებას, და საერთოდ სოციალურ და სამართლებრივ სიმბოლოებს, გადამწყვეტი ადგილი უჭირავს.**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამართლებრივი მნიშვნელობის ქცევის მოტივაციის პროცესისათვის დამახასიათებელია მოტივაციის ზოგიერთი ისეთი სპეციფიკური ფაქტორის მონაწილეობა, რომელიც სხვა შემთხვევაში შეიძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება არც კი შეინიშნებოდეს. მაგრამ არის მოტივაციის ისეთი ფაქტორები, რომლებიც ყოველგვარი სოციალური ღირებულების ქცევის მოტივაციაში იღებენ მონაწილეობას. ესენია სუბიექტური მხარის ფაქტორები, — მოთხოვნილება და სუბიექტის უნარი და მისი შესაბამისი ობიექტური მხარის ფაქტორები — „მე"—მოთხოვნილების ობიექტი და სიტუაცია. სამართლებრივი მნიშვნელობის ქცევის მოტივაციის დროს ამ ფაქტორებს ემატება სუბიექტური მხარის ფაქტორები: კონცეფცია და მართლშეგნება და მისი შესაბამისი ობიექტური მხარის ფაქტორები: საზოგადოებრივი აზრი — სოციალური კონტროლის სახით და სამართლებრივი ნორმები — სამართლებრივი კონტროლის სახით.

მოტივაციის სუბიექტური მხარის ფაქტორთა ზემოქმედება ადამიანის ემოციურ სფეროზე განიცდება, როგორც „მე მინდა"-ს ფენომენი, ხოლო ობიექტური მხარის ფაქტორთა ზემოქმედება, როგორც „მე უნდას"-ს ფენომენი. დანაშაულებრივი ქცევის მოტივი ყველა ამ ფაქტორთა შეპირისპირების შედეგია. თუ ჩვენ მივიღებთ მოტივაციის ფაქტორთა ასეთ სისტემას, მაშინ დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის პროცესი სქემატურად შემდეგნაირ სახეს მიიღებს (იხ. სქემა № 1).



დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიური სტრუქტურის ნათლად წარმოდგენის მიზნით გავაანალიზოთ ეგი კონკრეტულ მაგალითზე.

ვთქვათ ივანიშვილი ვანიცდის საბინაო გაჭირვებას. მას უჩნდება საბინაო პირობების გაუმჯობესების მოთხოვნილება. თავისთავად მოთხოვნილებამ შეიძლება არც გამოიწვიოს ინდივიდის აქტივობა, თუკი ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების მეტნაკლები პირობები არ გაჩნდება. სწორედ ამგვარი რეალური პირობების გაჩენის შემდეგ ხდება მიზნის დასახვა. ივანიშვილის სამსახურში ჩამოყალიბდა საბინაო კოოპერატიული მშენებლობა და შესაბამისად ივანიშვილს გაუჩნდა საბინაო პირობების გაუმჯობესების მოთხოვნილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის დაკმაყოფილების პირობა, ივანიშვილმა მიზნად დაისახა შევიდეს კოოპერატივის წევრად. მაგრამ ბინის აშენებას საკმაოდ დიდი თანხა სჭირდება, ივანიშვილს კი საკმარისი ფული არა აქვს. მიზნის განხორციელებას წინ აღუდგა ობიექტური სახის წინააღმდეგობა. იწყება მოტივაციის რთული პროცესი. როგორ მოიქცეს ივანიშვილი — ისესხოს ფული, თუ გაემგზავროს შორეულ რაიონებში მძიმე სამუშაოზე, სადაც დიდ ხელფასს მისცემენ და შედარებით მალე დააგროვებს ფულს. ორივე ეს ქცევა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ეს სიძნელეები აიძულებს ივანიშვილს კიდევ სხვა საშუალება გამონახოს. მას ახსენდება, რომ მისმა მეზობელმა სოფელში სახლი გაყიდა და დიდძალი ფული აქვს ბინაში შენახული. ივანიშვილმა იცის სად აქვს მეზობელს ფული. ისიც იცის, თუ როგორ და როდის შეიძლება შევიდეს მეზობლის ბინაში, რომ შეუმჩნევლად მოიპაროს ფული.

მოტივაციის პროცესიდან გამოირიცხა ფულის სესხების ვარიანტი. ივანიშვილმა ვერ გამონახა ისეთი ნაცნობი, ვინც დიდი ხნით ასესხებდა მას ფულს. მოტივაციის სფეროში დარჩა ორი შესაძლებელი ქცევა — შორეულ რაიონში სამუშაოდ წასვლა, ან ფულის მოპარვა. მოტივაციის პროცესი უკვე წარიმართება იქითკენ, თუ რომელი ქცევა შეირჩეს მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. ორივე ეს შესაძლებელი ქცევა აისახება მოტივაციის ფაქტორთა სუბიექტურ და ობიექტურ მხარეში. იწყება მოტივაციის პროცესი, მოტივაციის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთშეპირისპირება. მოტივაციის შედეგად გამომუშავდება იმ ქცევის მოტივი, რომელიც ყველა ფაქტორის შესატყვისი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ივანიშვილი ან გამონახავს სულ სხვა ქცევის ვარიანტს ანდა ამჯერად ხელს აიღებს თავისი მიზნის განხორციელებაზე.

ჩვენს მაგალითში მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ორივე ქცევა გამოდგება[4]. მოთხოვნილების ობიექტიც (ამ შემთხვევაში ფული) ორივე ქცევაშია მოცემული. ივანიშვილს უნარი შესწევს ფიზიკურად განახორციელოს ორივე ქცევა. ივანიშვილმა იცის ბულდოზერის მართვა და ამ სპეციალისტებზე შორეულ რაიონებში დიდი მოთხოვნილებაა. ამავე დროს მას ფიზიკურად შეუძლია განახორციელოს ფულის მოპარვის „ოპერაცია". სიტუაცია, რომელშიც შეიძლება გაიშალოს ორივე ეს ქცევა სახეზეა. ივანიშვილმა წაიკითხა განცხადება, რომ შორეულ რაიონებში სჭირდებათ მებულდოზერეები. ამავე დროს მეზობლის სახლში შენახულია ფული, რომლის მოპარვის ტექნიკური საშუალება ივანიშვილისათვის ცნობილია.

ამგვარად, მოტივაციის ამ ეტაპზე ქცევის არც ერთ ვარიანტს წინააღმდეგობა არ ხვდება, რადგან ამ ეტაპზე არ ხდება ქცევის შეფასება სოციალური და სამართლებრივი ღირებულების ასპექტში. ამგვარ შეფასებას ქცევა იღებს სწორედ მოტივაციის ისეთ ფაქტორებში, როგორიცაა „მე" კონცეფცია, მართლშეგნება, ერთის მხრივ, და სოციალური კონტროლი და სამართლებრივი კონტროლი, მეორეს მხრივ. სწორედ აქ ჩანს პიროვნების მართლშეგნების დონე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირადი პასუხისმგებლობა თვითკონტრო-

---

[4] ქცევის მექანიზმში მოთხოვნილების როლი არ ამოიწურება იმით, რომ იგი ინდივიდის აქტივობის წყაროა. მოთხოვნილება მონაწილეობს მოტივაციის პროცესში, როგორც ერთ-ერთი ფაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის უნარს ედება საფუძვლად. თვითკონტროლი კი ფაქტიურად სოციალური კონტროლია. ადამიანი მის ნამდვილ და მოსალოდნელ ქცევას სხვა ადამიანის თვალით აკონტროლებს, ამიტომ საზოგადოებრივი აზრი ინდივიდისათვის სოციალური კონტროლის წყაროც და მისი უზრუნველყოფის საშუალებაც არის. ამავე დროს თვითკონტროლი, ემყარება „მე"-სახების ფორმირების უნარს. ადამიანს თავის „მე" კონცეფციაში პერსონიფიცირებული აქვს სოციალურ ღირებულებათა მთელი სისტემა, რომლითაც იგი გზას იკვლევს მისთვის სოციალურად ღირებულ ქცევათა რთულ ლაბირინტში. „მე" კონცეფცია ეს ინდივიდისათვის სოციალური სტატუსია, მისთვის უმაღლესი ღირებულებაა, რომლის დონის ამაღლება მისი ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავია. „მე" კონცეფციის დონე, პირის სოციალური სტატუსი კი ძირითადად საზოგადოებრივ აზრზეა დამოკიდებული და ამდენად სოციალური კონტროლის მუდმივი ზემოქმედების ქვეშ იმყოფება. ამიტომ საზოგადოებრივი აზრი, როგორც სოციალური კონტროლის უზრუნველყოფის საშუალება, როგორც მოტივაციის ობიექტური მხარის ფაქტორი, შეპირისპირებულია „მე" კონცეფციასთან, როგორც მოტივაციის სუბიექტური მხარის ფაქტორთან. რას მიიღებს ინდივიდი ამ ორი ფაქტორის შეპირისპირებით, ამაზე ბევრადაა დამოკიდებული, თუ რომელი ქცევის მოტივი გამომუშავდება მოტივაციის პროცესის შედეგად. თუ ივანიშვილს მყარად აქვს პერსონიფიცირებული თავის „მე" კონცეფციაში მხოლოდ სოციალურად მაღალი ღირებულების ქცევათა სისტემა, მაშინ ქურდობა როგორც შესაძლებელი ქცევა გამორიცხება. თუკი ივანიშვილს ადრე უქურდნია, ანდა, მართალია, ქურდობა არ ჩაუდენია, მაგრამ ასეთი მოქმედების წინააღმდეგ მყარი პოზიცია არა აქვს გამომუშავებული, მაშინ ქურდობა არ არის გამორიცხული მისი პერსონისათვის. აქ უკვე ძალაში შედის სოციალური კონტროლი. რას იტყვის ხალხი, რომ გაიგონ ივანიშვილის ქურდობის შესახებ? თუ იმ სოციალურ ჯგუფში, რომელიც ივანიშვილს ეტალონურ ჯგუფად აქვს მიჩნეული, ქურდობას ლოიალურად უყურებენ, მაშინ მისი არამდგრადი დამოკიდებულება ქურდობის მიმართ გაძლიერდება, რაც უბიძგებს მას ქურდობის სასარგებლო მოტივის გამომუშავებისაკენ. და პირიქით, თუკი ივანიშვილის ეტალონურ ჯგუფში ქურდობის წინააღმდეგ ძლიერი საზოგადოებრივი აზრია შექმნილი, მაშინ სოციალური კონტროლი ქურდობის ჩადენის საწინააღმდეგო მოტივის გამომუშავებას შეუწყობს ხელს.

მაშინ როცა სოციალური ღირებულების მქონე შესაძლებელი ქცევა სამართლის ურთიერთობის სფეროში არ შედის, მოტივაციის პროცესი „მე" სახებისა და სოციალური კონტროლის შეპირისპირებით მთავრდება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოტივაციის პროცესში მონაწილეობს მართლშეგნება და სამართლებრივი კონტროლი, როგორც მოტივაციის სუბიექტური და ობიექტური მხარის ფაქტორები.

ჩვენს მაგალითში, თუ ივანიშვილი მაღალი მართლშეგნებისაა, უარყოფით დამოკიდებულებას იჩენს ქურდობისადმი და გამომუშავებული აქვს მზაობა არ ჩაიდინოს ამგვარი მოქმედება, მაშინ მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციიდან ქურდობა წინასწარ იქნებოდა გამორიცხული და მოტივაციის პროცესში ასეთი ქცევის ვარიანტი ან საერთოდ არ აისახებოდა, ან შეაფერხებდა მოტივაციის პროცესს. მაგრამ ხომ შეიძლება ივანიშვილს დაბალი მართლშეგნება ჰქონდეს ე. ი. არ იყოს სოლიდარული კანონთან და არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდეს გამომუშავებული მზაობა შეასრულოს კანონის ეს მოთხოვნა? ასეთ შემთხვევაში მართლშეგნება, როგორც მოტივაციის ფაქტორი არ გადაეღობება ქურდობის მოტივის გამომუშავებას და ამგვარი მოტივი კიდევაც შემუშავდება, თუ სამართლებრივი კონტროლი არ შეაფერხებს მოტივაციის პროცესს.

სამართლებრივი კონტროლის საფუძველი სამართლებრივი ნორმაა, რომელიც სახელმწიფო იძულებითაა უზრუნველყოფილი. ამიტომ სამართლებრივ კონტროლს, როგორც მოტივაციის ობიექტური მხარის ფაქტორს, მართლშეგნებისაგან განსხვავებით, ზემოქმედების სხვა სტრუქტურა აქვს. მართლშეგნება წმინდა სუბიექტური ფენომენია და იგი შინაგანი რწმენაა, მზაობაა შეასრულოს სამართლებრივი ნორმა. სამართლებრივი კონტროლი კი სუბიექტზე მოტივაციის პროცესში ზეგავლენას ახდენს მოსალოდნელი სასჯელის რიდით. ამიტომ ადამიანს შეიძლება დაბალი მართლშეგნება ჰქონდეს, მაგრამ მოტივაციის პროცესში სამართლებრივი კონტროლი დანაშაულებრივი ქცევის მოტივის გამომუშავების საწინააღმდეგო ფაქტორად მოგვევლინოს.

მართლშეგნებასა და სამართლებრივ კონტროლს შორის მართლშეგნებას გაცილებით უფრო ქმედითი როლის შესრულება შეუძლია, რადგან მაღალი მართლშეგნება გამორიცხავს მოტივაციის სფეროდან დანაშაულებრივი ქცევის მოტივის გამომუშავების შესაძლებლობას.

თუკი ივანიშვილის მოტივაციის პროცესზე სამართლებრივი კონტროლი იმოქმედებს, როგორც დანაშაულებრივი ქცევის მოტივის საწინააღმდეგო ფაქტორი, მაშინ მოტივაციის პროცესი ამ მიმართულებით შეწყდება. თუ ივანიშვილი ჩათვლის, რომ მას ვერ გაუგებენ და ამიტომ სასჯელი მას არ მოელის, მაშინ სამართლებრივი კონტროლიც გადალახულია და შეიძლება გამომუშავდეს დანაშაულებრივი ქცევის მოტივი.

რამდენადაც მოტივი ქცევის სუბიექტური ღირებულების შეცნობაა, ამდენად მოტივის შემუშავების შემდეგ მოთხოვნილება უკვე მოტივში აისახება, რაც შეეხება მოტივაციის სუბიექტური მხარის სხვა ფაქტორებს, ისინი იხსნებიან და ქცევის ფსიქოლოგიური განვითარების შემდეგ ეტაპზე გავლენას ვერ ახდენენ. ყველა ეს ფაქტორი „მე მინდას“ განცდას იწვევენ და მოთხოვნილების ემოციურ განცდაში ითქვიფებიან.

იგივე არ ითქმის მოტივაციის ობიექტური მხარის ფაქტორებზე, რომელნიც „მე უნდას“ ემოციური განცდით აღიქვეშიან. მათი, განსაკუთრებით სოციალური და სამართლებრივი კონტროლის ზემოქმედება შეიგრძნობა, როგორც გადაწყვეტილების მიღების, ისე დანაშაულებრივი ქცევის განწყობის აღმოცენების შედეგადაც. საზოგადოებრივი აზრის, განსაკუთრებით კი მოსალოდნელი სასჯელის რიდი, როგორც წესი, საკმაოდ დიდია, და ამიტომ მან დანაშაულებრივი ქცევის განწყობის აღმოცენების შედეგადაც შეიძლება იმოქმედოს, როგორც ობიექტური ხასიათის წინაღობამ. ასეთ შემთხვევაში დანაშაულებრივი ქცევის განწყობის რეალიზაცია შეიძლება შეფერხდეს და სუბიექტმა ხელახალი მოტივაციის პროცესს მიმართოს.

სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა სამართლებრივი კონტროლის ძალით სუბიექტი დანაშაულის ჩადენაზე ხელს იღებს მას შემდეგაც, როდესაც დანაშაულებრივი ქცევის განწყობის რეალიზაცია დაიწყო. კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნონმდებელი ასეთ შემთხვევაში დამნაშავეს „ოქროს ხიდს“ უტოვებს, არ სჯის მას, თუკი იგი დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ხელს აიღებს.[5]

როგორც აღვნიშნეთ, სუბიექტური მხარის ფაქტორებმა მოტივაციის სფეროს გავლის შემდეგ შეიძლება გამოიწვიონ „მე მინდას“ ემოციური განცდა, ხოლო ობიექტური მხარის ფაქტორები „მე უნდას“ ემოციური განცდით ხასიათდება. თუ ობიექტური და სუბიექტური მხარის ფაქტორების შეპირისპირების დროს ადგილი არა აქვს წინააღმდეგობას, მაშინ „მე მინდა“ და „მე უნდა“, როგორც ემოციური განცდა არ აღიქვება და დანაშაულებრივი ქცევის მოტივი შინაგანი დაძაბულობის გარეშე გამომუშავდება. წინააღმდეგ შემთხვევაში „მე მინდას“ უპირისპირდება „მე უნდას“ განცდა. ივანიშვილს სურს მოიპაროს მეზობლის ფული. ამ მხრივ მას სუბიექტური მხარის ფაქტორებს შორის წინაღობა არ შეხვედრია, მაგრამ სოციალური და სამართლებრივი კონტროლი მას საშიშროებას უწინასწარმეტყველებენ. შეიძლება მისზე ეჭვი აიღონ და მაშინ მას მკაცრი სასჯელი და საზოგადოებაში თავის მოჭრა მოელის.

ასეთმა დაპირისპირებამ შეიძლება გამოიწვიოს მოტივაციის ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა ბრძოლა, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „მე მინდას“ და „მე უნდას“ წინააღმდეგობის მწვავე ემოციურ განცდაში გამოვლინდება. ეს განცდა აძნელებს მოტივის გამომუშავებას. მოტივაციის პროცესი კიდევ და კიდევ მეორდება, ფაქტორთა რომელი ჯგუფი გაიმარჯვებს — ჩაიდენს თუ არა ივანიშვილი ქურდობას — ეს ისევ და ისევ მოტივაციის ფაქტორებზეა დამოკიდებული და პირველ რიგში მართლშეგნებაზე, „მე“ სახებაზე და სამართლებრივ და სოციალურ კონტროლზე.

„მე მინდა“-ს განცდა წმინდა სუბიექტური ფენომენია, ხოლო „მე უნდა“-ს განცდა — სუბიექტურ პრიზმაში გარდატეხილი ობიექტური ფენომენი, რომელიც ობიექტურ რეალობად განიცდება, თუმცა მისი შეფასება და მისი განცდაც სუბიექტური ხასიათისაა. სწორედ ამიტომ რომელს დარჩება გამარჯვება, „მე მინდას“ და „მე უნდას“ განცდათა ჭიდილში, ეს მხოლოდ მოტივაციის ფაქტორთა ძალაზე არ არის დამოკიდებული. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ფსიქოლოგიურ კონსტიტუციას, კერძოდ: ხასიათს, ტემპერამენტს და ნიჭიერებას. სუსტი ხასიათი, გადაჭარბებული ტემპერამენტი და ემოციურობა აძლიერებს „მე მინდას“ განცდის ძალას. და პირიქით, ნიჭიერება, ზომიერი ტემპერამენტი და მტკიცე ხასიათი საშუალებას იძლევა უფრო „ცივი გონებით“ განსაჯოს ადამიანმა. ეს თვისებები „მე უნდა“-ს განცდის მოკავშირენი არიან.

ამგვარად, სამართლებრივი მნიშვნელობის ქცევის მოტივაციის პროცესში მონაწილეობას იღებს მრავალი ფაქტორი, რომელთა შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა მართლშეგნებას აქვს. მაღალი მართლშეგნება გამორიცხავს დანაშაულებრივი ქცევის მოტივის არსებობის შესაძლებლობას, ვინაიდან სუბიექტმა არ შეიძლება მისთვის აუცილებელ და საჭირო ქცევად მიიჩნიოს დანაშაულებრივი მოქმედება, თუკი მას ამის საწინააღმდეგო ქცევის მზაობა წინასწარ აქვს შემუშავებული. ამგვარად, **დანაშაულებრივი მოტივის შემუშა-**

---

5 ამ შემთხვევაში სუბიექტი შეიძლება დაისაჯოს, თუკი მან თავისი მოქმედებით უკვე შეასრულა რომელიმე დანაშაულის შემადგენლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვება, ე. ი. მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მრავალი შესაძლებელი ქცევიდან სუბიექტის მიერ დანაშაულის ჩადენის მიზანშეწონილების აღიარება — დაბალი მართლშეგნების შედეგია.

2. განწყობაში ასახულია მისი შესაბამისი ქცევის სიტუაციური გეგმა, დრო და სივრცის კოორდინატები. ზოგჯერ ქცევის დრო იმდენად შორეულ მონაკვეთს მოიცავს, რომ განწყობის შექმნასა და მის რეალიზაციას შორის დიდი ინტერვალია. როგორც წესი, ადამიანი ამ ინტერვალის განმავლობაში არ შეიძლება უმოქმედოდ იყოს. იგი გარკვეულ აქტივობას მიმართავს და შესაბამისად გარკვეულ ქცევებს ახორციელებს, რომლებსაც შესაბამისი განწყობები წარმართავენ. ამ ქცევებს და განწყობებს შეიძლება არაფერი ჰქონდეთ საერთო ადრინდელ განწყობასთან. აქ ორ შემთხვევასთან შეიძლება გვქონდეს საქმე: ერთი, როცა ქცევის შიდა ინტერვალში წინასწარ არაა დაგეგმილი, თუ რა ქცევები უნდა განხორციელდეს, და მეორე, როდესაც ამგვარი გეგმა უკვე პირველი განწყობის აღმოცენების დროს შემუშავებული იყო, როგორც ჩართული ქცევები[6]. პირველ შემთხვევაში „ინდივიდს ამ ქცევის მიმართულებით არაფერი აქვს გასაკეთებელი დროის ამ ინტერვალში. განწყობას მხოლოდ ერთი ამოცანა აქვს. სახელდობრ, იყოს „ფხიზლად", რათა არ გამოეპაროს იმ ქცევის გაგრძელების დადგომა, რომელიც მის საფუძველში არსებული სოციალური გეგმითაა გათვალისწინებული".[7]

მეორე შემთხვევაში ადგილი აქვს ე. წ. გეგმათა ინტეგრაციას, როდესაც რამდენიმე ერთმანეთში ჩართული ქცევის აგეგმვა და განხორციელება ხდება. ასეთ შემთხვევაში „შეიძლება გამომუშავდეს ერთი მთლიანი სიტუაციური გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სად, როდის და რა უნდა გაკეთდეს, რომ ერთი ქცევის განხორციელებისათვის საჭირო რომელიმე მოქმედება და მისი შესატყვისი სიტუაციური ვითარება მეორე ქცევის რეალიზაციის საქმეშიც იქნეს გამოყენებული, და ამ გზით დრო და ენერგია დაიზოგოს".[8]

როგორ სახეს იღებს ამ დროს განწყობა? „განწყობა თავის ძირითად სტრუქტურას ყოველთვის სიტუაციიდან იღებს. ამიტომ როგორიცაა სიტუაციური გეგმა, ისეთივეა განწყობა. ინტეგრირებულ სიტუაციურ გეგმას ერთი მთლიანი აგებულება აქვს: მასში ჩართულ ქცევათა სიტუაციური გარემოებანი ერთმანეთს განაპირობებენ და განსაზღვრავენ; განწყობას, როგორც ასეთი, ერთი მთლიანი სტრუქტურის მქონე გეგმა ედება საფუძვლად. ინტეგრირებული სიტუაციური გეგმის ნიადაგზე აგებული განწყობა ინტეგრირებული ქცევის განწყობაა".[9]

შ. ჩხარტიშვილი მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ერთდროულად მოქმედი რამდენიმე მოთხოვნილების თუ გადაწყვეტილების ნიადაგზე, როცა ობიექტური გარემოებანი ამისათვის საჭირო პირობებს ქმნიან, შესაძლებელია, შემუშავდეს ერთიანი სიტუაციური გეგმა და მის საფუძველზე ისეთი განწყობა აღმოცენდეს, რომელიც ყველა ამ მოთხოვნილების, თუ გადაწყვეტილების

---

6 ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ შ. ჩხარტიშვილი, განწყობა და ცნობიერება, თბ., 1975, გვ. 81-103.

7 იქვე, გვ. 96.

8 იქვე, გვ. 97.

9 იქვე, გვ. 97-98.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესატყვისი მოქმედების ურთიერთჩართვასა და რეალიზაციას უზრუნველყოფს".[10]

ამგვარად, ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში გატარებულია მოსაზრება, რომ განწყობა ყოველთვის ერთი კონკრეტული ქცევის განწყობა არ არის. შეიძლება აღმოცენდეს ე. წ. ინტეგრირებული ქცევის განწყობა, რომელიც რამოდენიმე ქცევას მოიცავს და რომელიც ავსებს უკვე დაწყებული ქცევის ინტერვალს. იბადება კითხვა, როგორი შეიძლება იყოს ეს ინტერვალი? საათი, დღე, თვე, წელი თუ ათეული წლები?

ინტერვალი დროით არ შეიძლება შეიზღუდოს. ადამიანი ხშირად ისახავს ბიზანს, რომლის განხორციელებას წლები, ზოგჯერ სიცოცხლის საკმაოდ დიდი მონაკვეთი სჭირდება. აქედან გამომდინარე შეიძლება შეიქმნას განწყობა, რომლის რეალიზაციას საკმაოდ დიდი ხანი სჭირდება და რომლის ინტერვალში ინდივიდმა უამრავი სხვადასხვა სახის გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი ქცევები შეიძლება განახორციელოს. ქცევათა ნაწილი დაქვემდებარებული იქნება ძირითად მიზანთან, ნაწილს კი არავითარი კავშირი არ ექნება მასთან. ამავე დროს არ შეიძლება ყველა ქცევას ინდივიდისათვის ერთნაირი ღირებულება ჰქონდეს. არის ცხოვრების მთავარი მიზანი, რომელსაც ექვემდებარება დანარჩენი მიზნები. დავუშვათ, ახალგაზრდამ დაისახა მიზნად შექმნას ოჯახი, დაიცვას დისერტაცია და გაიკეთოს კარიერა. სამივე ეს მიზანი ახალგაზრდის ცხოვრების ძირითადი მიზნებია, სამივე ამ მიზნის განხორციელებას სათანადო აქტივობა სჭირდება. სამივე ამ მიზნის შესრულება სწორედ ინტეგრირებული ქცევის განწყობის შექმნას მოითხოვს. მაგრამ ამ სამი ძირითადი მიზნიდან ერთ-ერთი მიზანი უნდა იქცეს გენერალურ მიზნად, რომელსაც დაექვემდებარება ორი დანარჩენი ძირითადი მიზანი და ცხოვრების სხვა მრავალი მიზნები. რომელი მიზანი იქცევა ინდივიდისათვის გენერალურ მიზნად, ამას ერთგვარად მოთხოვნილების სიძლიერე განაპირობებს, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოტივაციის პროცესი გადაწყვეტს. მოტივაციის პროცესის მეშვეობით გამომუშავდება გენერალური ქცევის მოტივი, გენერალური ქცევის გადაწყვეტილება და გენერალური ქცევის განწყობა[11].

მას შემდეგ, რაც ადამიანს გამოუმუშავდება გენერალური ქცევის განწყობა, ის უკვე ისეა მოდიფიცირებული, რომ ყველა დანარჩენი ქცევა უნდა

---

[10] იქვე.

[11] უახლეს საბჭოთა ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში უკვე გაჩნდა ე. წ. ზოგადი მოტივის ცნება. კ. კიკნაძის აზრით „არსებობენ ისეთი მოტივებიც, რომლებიც იქმნება ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე, პრაქტიკის საფუძველზე და ერთი რომელიმე კონკრეტული მოქმედების მოტივს კი არ წარმოადგენენ, არამედ მრავალ გარეგნულად განსხვავებულ მოქმედებას განაპირობებს. ასეთ მოტივს ჩვენ ზოგად მოტივს ვუწოდებთ. მისი სუბიექტური ფაქტორები ყალიბდება ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე კონკრეტული მოტივების გაერთიანების შედეგად (დ. კიკნაძე, დას. ნაშრომი, გვ. 142). ზოგადი მოტივის დამახასიათებელ ნიშნად დ. კიკნაძეს ის მიაჩნია, რომ „ზოგადი მოტივი მოტივაციის ეტაპის ხელახალი გავლის გარეშე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უშუალოდ, თითქოს გადაწყვეტილების აქტის გარეშე იწვევს მოქმედებას. მაგრამ გადაწყვეტილება აქ მოხსნილი სახით არსებობს... ზოგადი მოტივის ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც გარკვეულ სფეროში ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე უმუშავდება. ცალკეული მოქმედებები ხშირ შემთხვევაში ამ ზოგადი მოტივითაა განპირობებული" (იქვე). დ. კიკნაძეს არ განუვითარებია თავისი მოსაზრება, თორემ ლოგიკურად მივიდოდა ზოგადი მიზნის, ზოგადი განწყობის და ზოგადი ქცევის აღიარებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაექვემდებაროს გენერალური ქცევის განწყობას. გენერალური განწყობის შექმნა — ეს უკვე მზაობაა განხორციელო მრავალი ქცევა, რომელიც ერთი გენერალური მიზნის განხორციელებას ემსახურება. ამის შემდეგ რომელიმე სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოტივაციის პროცესში გენერალური მოტივი უკვე მოქმედებს, როგორც მოტივაციის უძლიერესი ფაქტორი. მისი ზემოქმედება იმაში გამოიხატება, რომ იგი აფერხებს ისეთი ქცევის მოტივის გამომუშავებას, რომელიც ეწინააღმდეგება გენერალურ მოტივს. სანამ გენერალური განწყობა სახეზეა, იგი გამორიცხავს მისი საწინააღმდეგო განწყობის წარმოშობას. იმისათვის, რომ გენერალური განწყობის საწინააღმდეგო განწყობა წარმოიშვას, ჯერ უნდა მოიხსნას გენერალური განწყობა. ადამიანი ყოველთვის ვერ ანხორციელებს თავის მიზნებს და მათ შორის გენერალურ მიზანს. შეფერხებას შეიძლება ჰქონდეს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ხასიათი. ინდივიდი ასეთ შემთხვევაში ანახლებს გენერალური ქცევის მოტივაციის პროცესს, რის შედეგადაც შეიძლება გამოუმუშავდეს ახალი გენერალური ქცევის მოტივი, ან უარყოფილი იქნეს ძველი და ახალი აღარ შემუშავდეს. მაგრამ, სანამ გენერალური მოტივი ძალაშია, ყველა დანარჩენი ქცევის მოტივები უნდა შეთანხმებული იყოს მასთან, ყოველ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მას.

არაფერი ისე არ წარმოაჩენს ინდივიდის სოციალურ და სამართლებრივ ღირებულებას, როგორც მისი გენერალური ქცევის მიზანი, მოტივი და განწყობა. სწორედ ამ ელემენტებში სჩანს სოციალურ და სამართლებრივ ღირებულებათა მთელი სისტემა, რომელიც ძირითადად განსაზღვრავს ინდივიდის სოციალურ და სამართლებრივ სახეს.

ჩვენს მიერ მოტანილ მაგალითში, თუ ახალგაზრდამ თავის გენერალურ მიზნად კარიერა დაისახა, მაშინ მისი ცხოვრების სხვა ძირითადი მიზნები ამ გენერალურ მიზანს და ქცევის გენერალურ განწყობას დაემორჩილება. ისეთ, თითქოსდა სუბიექტური მნიშვნელობის ქცევის მოტივაციის პროცესშიც კი, როგორიც ცოლის შერთვაა, უძლიერეს მოტივად მოგვევლინება გენერალური მოტივი და ახალგაზრდამ საცოლე შეიძლება შეარჩიოს სწორედ იმ წრიდან და ოჯახიდან, რომელიც მის კარიერას ხელს შეუწყობს. ახალგაზრდა მისი ცხოვრების მეორე მიზნის — დისერტაციის დაცვაზეც იმდენად იზრუნებს, რამდენადაც იგი გამოადგება კარიერისათვის, თუკი ამგვარი მუშაობა მას რაიმე მოსაზრებით ხელს შეუშლის სამსახურებრივ ზეაღსვლაში, ახალგაზრდა განაახლებს დისერტაციის დაცვის მოტივაციის პროცესს, სადაც მოტივაციის ძირითად ფაქტორად ისევ მოგვევლინება გენერალური მოტივი. ამ მოტივმა შეიძლება იმგვარი ზემოქმედება მოახდინოს მოტივაციის პროცესზე, რომ გამომუშავდეს დისერტაციაზე მუშაობის ხელის აღების მოტივი.

ჩაიდენს თუ არა ინდივიდი დანაშაულს, ამისთვის სხვა ფაქტორებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორია ინდივიდის გენერალური მოტივი და გენერალური ქცევის განწყობა. მას, ვისაც თავისი ცხოვრების გენერალურ მოტივად გამდიდრება დაუსახავს, რასაკვირველია, უფრო ადვილად შეუმუშავდება ქრთამის აღების, თუ სახელმწიფო ქონების მითვისების მოტივი და შესაბამისად უფრო ადვილად შეექმნება დანაშაულებრივი განწყობა. პირიქით, ვისაც ცხოვრების გენერალურ მიზნად ხალხის სამსახური, კეთილსინდისიერი შრომა და მეცნიერების მწვერვალების დაპყრობა დაუსახავს, შემუშავებული აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაბამისი გენერალური მოტივი და გენერალური ქცევის განწყობა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთ პირს თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო ქონების დატაცების მოტივი გამოუმუშავდეს.

ამგვარი მოტივის გამომუშავებას წინ გადაეღობება გენერალური მოტივი, ხოლო გენერალური განწყობა არ დაუთმობს ადგილს დანაშაულებრივი ქცევის განწყობის წარმოშობას.

მოქალაქის სამართლებრივი აღზრდა სწორედ სამართლის ნორმების მოთხოვნათა შესრულებას, გენერალური მიზნის, მოტივის და გენერალური განწყობის შემუშავებას გულისხმობს. ასეთი განწყობის შემუშავება კანონის მოთხოვნათა შესრულების წინასწარი მზაობაა, პირის იმგვარი მოდიფიკაციაა, როდესაც მართლსაწინააღმდეგო ქცევის ჩადენა წინასწარაა გამორიცხული. ასეთი გენერალური მოტივი მართლსაწინააღმდეგო ქცევის მოტივის გამომუშავების საწინააღმდეგო ძლიერი ფაქტორია.

ქცევის მოტივაციის პროცესში გარდა გენერალური მოტივისა, როგორც მოტივაციის ობიექტური მხარის ფაქტორისა, მონაწილეობს გენერალური ქცევა, რომელსაც ადამიანი განიხილავს, როგორც ობიექტურად არსებულ, მისთვის მისაღწევ მიჯნას. გენერალური ქცევა, რომელიც ადრე მოტივაციის შედეგად მიღებული იდეალური ფენომენი იყო, შემდეგში იქცევა გენერალური მოთხოვნილების ობიექტად, რომელიც ინდივიდზე უკვე ობიექტური რეალობის მაგვარი ზემოქმედი ფაქტორია.

თუკი მართლზომიერი ქცევის გენერალური მოტივის და შესაბამისი განწყობის გამომუშავება — სამართლებრივი ნორმების შესრულების წინასწარი მზაობაა, მაშინ მართლშეგნების ამაღლება სწორედ მართლზომიერი ქცევის გენერალური მოტივისა და განწყობის გამომუშავებას გულისხმობს. მართლშეგნების ამაღლება მართლზომიერ ქცევათა გენერალური მოტივისა და განწყობის გამომუშავების პირდაპირ პროპორციულია.

ყოველივე იმის მხედველობაში მიღებით, რაც დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის ფაქტორთა თაობაზე ითქვა, დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიურმა სტრუქტურამ უნდა მიიღოს შემდეგი სახე[12]. (იხ. სქემა № 2).

---

[12] მართლშეგნება, როგორც მოტივაციის ფაქტორი მონაწილეობას იღებს დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის პროცესში. ეს აიხსნება იმით, რომ არ არსებობს ნორმალური ადამიანი, რომელსაც საერთოდ არ გააჩნია მართლშეგნება. მექრთამე დანაშაულს იდენს და ამით თავის დაბალ მართლშეგნებას ამჟღავნებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი, თუგინდ დიდი საზღაურისათვის, აუცილებლად კაცის მკვლელი ან ჯიბის ქურდი გახდება. იგივე შეიძლება ითქვას ქურდის მიმართ. ჩვენს მაგალითში ივანიშვილმა გამოიმუშავა თავისი მეზობლის გაქურდვის მოტივი, მაგრამ, თუ შემდგომში მას შეცვლილი სიტუაცია უკარნახებს, რომ მეზობლის ფულის დაუფლებისათვის მისი მოკვლაა საჭირო, მან შეიძლება საერთოდ უარი თქვას ასეთი დანაშაულის ჩადენაზე და ეს იმიტომ, რომ მას კაცის მოკვლის წინააღმდეგ ისეთი ქცევის მზაობაა აქვს გამომუშავებული, რაც არა აქვს ქურდობის წინააღმდეგ. იგივე ითქმის გენერალური მოტივის შესახებაც. მაღალი მართლშეგნების ადამიანს გამომუშავებული აქვს გენერალური მოტივი საერთოდ ყოველგვარი დანაშაულის ჩადენის წინააღმდეგ, მაგრამ დაბალი მართლშეგნების ადამიანს შეიძლება ჰქონდეს გამომუშავებული ასეთი გენერალური მოტივი დანაშაულთა დიდი ჯგუფის წინააღმდეგ და, პირიქით, უშვებდეს, მაგალითად, მხოლოდ ქრთამის აღებას და სახელმწიფო ქონების დატაცებას. ასეთ შემთხვევაში სუბიექტი თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ადვილად ჩაიდენს მექრთამეობას და სახელმწიფოებრივი ქონების დატაცებას, მაგრამ თავს შეიკავებს ხულიგნობისაგან, გაუპატიურებისაგან, თაღლითობისაგან და სხვ.



ამგვარად, ჩაიდენს თუ არა ინდივიდი დანაშაულს, მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია იმაზე, გამოუმუშავდა თუ არა მას დანაშაულებრივი ქცევის მოტივი. აქ კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოტივაციის ფაქტორთა ურთიერთშეპირისპირებას. ამ შემთხვევაში მოტივაციის ფაქტორებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი მართლშეგნებაა.

მართლშეგნება ძირითადად სამართლის ცოდნაა, მასთან სოლიდარობა და სამართლის ნორმათა მოთხოვნის შესრულების მზაობის გამომუშავებაა. აქედან გამომდინარე მართლშეგნება უკვე უზრუნველყოფს იმას, რომ სამართლის ნორმას მოტივაციის პროცესში სამართლებრივი კონტროლის ძალა მიეცეს. მაღალი მართლშეგნება უზრუნველყოფს სამართლებრივი ნორმის სასარგებლო გენერალური მოტივისა და გენერალური განწყობის აღმოცენებას. მაღალი მართლშეგნება უზრუნველყოფს იმას, რომ სამართლებრივ ნორმას ადამიანისათვის დამოუკიდებელი სოციალური ღირებულება ჰქონდეს და იგი „მე“ კონცეფციაში პერსონიფიცირებული იყოს, როგორც თავისთავადი სოციალური ღირებულების ფენომენი. ეს კი განაპირობებს იმას, რომ ინდივიდისათვის ეტალონურ ჯგუფად მიჩნეული იქნეს ისეთი სოციალური ჯგუფი, სადაც სამართლებრივი ნორმის სოლიდარული აზრია გამეფებული. ამგვარი საზოგადოებრივი აზრი ინდივიდზე სოციალური კონტროლის როლს ასრულებს. მაღალი მართლშეგნების პირობებში მოტივაციის სუბიექტურ ფაქტორთაგან სამი ფაქტორი: მართლშეგნება, „მე“ სახება, გენერალური მოტივი და მათი შესაბამისი ობიექტური მხარის ფაქტორები მოტივაციის პროცესს მისცემენ ისეთ მიმართულებას, რომ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად [illegible] გამოიძებნება მართლზომიერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგამოძიებო ექსპერიმენტისა და ჩვენების ადგილზე შემოწმების ზოგიერთი პროცესუალური და ფაქტიკური საკითხი

შ. ფაფიაშვილი,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში დიდი ხანია წარმოებს დავა საგამოძიებო ექსპერიმენტისა და ჩვენების ადგილზე შემოწმების ცნებისა და არსის შესახებ. ამ დავას აქვს არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც დანაშაულის გახსნისა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის.

საგამოძიებო ექსპერიმენტი ადრე მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული არ იყო, მაგრამ კრიმინალისტთა ერთ ჯგუფს მაინც იგი თავიდანვე სწორად მიაჩნდა დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად.[1] მაგრამ ამ მოსაზრების საწინააღმდეგო აზრს ავითარებდნენ მეორე ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც საგამოძიებო ექსპერიმენტს განიხილავდნენ, როგორც გამოძიების განსაკუთრებულ ტაქტიკურ ხერხს ან საგამოძიებო დათვალიერების ნაირსახეობას.[2] უფრო მეტიც, ახალი კანონმდებლობის მიღების შემდეგაც, როცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით საგამოძიებო ექსპერიმენტი უკვე აღიარებულ იქნა დამოუკიდებელ საგამოძიებო მოქმედებად, ზოგიერთი პროცესუალისტი გამომდინარეობდა რა ძველი პოზიციებიდან, საგამოძიებო ექსპერიმენტს კვლავ განიხილავს როგორც საგამოძიებო დათვალიერების ნაირსახეობად.[3] აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის (უკრაინის სსრ, უზბეკეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ და სომხეთის სსრ) სისხლის სამართლის საპრროცესო კოდექსებში იგი კვლავ გამოკვეთილად არ არის გამოყოფილი დამოუკიდებელ საგამოძიებო მოქმედებად. იგი მოხსენებულია როგორც „შემთხვევის გარემოებისა და ვითარების აღდგენა“, რაც ჩვენი აზრით არა სწორია, რადგან ვერ ასახავს საგამოძიებო ექსპერიმენტის ნამდვილ არსსა და ბუნებას.

ლიტერატურაში აზრთა ერთიანობა არ არის, აგრეთვე საგამოძიებო ექს-

---

[1] **В. П. Колмаков, Л. Е. Ароцкер,** Следственный эксперимент на предварительном следствии. Харьков, 1949; **А. А. Пионтковский,** К вопросу о теоретических основах советской криминалистики. «Советская криминалистика на службе следствия», вып. 6, М., 1955; **Г. М. Минковский,** Пределы доказывания в советском уголовном процессе. М., 1956; **Н. И. Гуковская,** Следственный эксперимент. М. 1958; **Р. С. Белкин,** Теория и практика следственного эксперимента, М., 1959 и др.

[2] Настольная книга следователя. М., 1949, стр. 368; **М. А. Чельцов,** Советский уголовный процесс, М., 1951, стр. 271; Криминалистика. Часть I, М., 1950, стр. 243; Криминалистика, вып. 2, М., 1950, стр. 115; **М. С. Строгович,** Курс советского уголовного процесса. М., 1958, стр. 328 и др.

[3] **И. М. Гуткин, Ю. Н. Белозеров, Л. А. Мариупольский,** Советский уголовный процесс. М., 1962, стр. 193.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერიმენტის ცნებისა და მიზნის შესახებ. ასე მაგალითად, კრიმინალისტთა უმრავლესობა საგამოძიებო ექსპერიმენტში ხედავენ საქმის მონაცემების შემოწმებისა და დაზუსტების მიზნით შემთხვევის გარემოებისა და ვითარების აღდგენას.[4] ერთ ნაწილს კი საგამოძიებო ექსპერიმენტი მიაჩნია ახალ მტკიცებულებათა მიღების საშუალებად.[5]

აღსანიშნავია, რომ პირველმა შეხედულებამ ასახვა ჰპოვა სისხლის სამართლის კოდექსებით გათვალისწინებულ საგამოძიებო ექსპერიმენტის მომცველ მუხლებშიც. ასე მაგალითად, საქართველოს სსრ სსსკ 183-ე მუხლის თანახმად, საგამოძიებო ექსპერიმენტის მიზანია „შეამოწმოს და დააზუსტოს დათვალიერების, შემოწმების, დაკითხვის, ამოსაცნობად წარდგენის და სხვა საგამოძიებო მოქმედებათა დროს მიღებული მონაცემები“... ამ განმარტებაში საგამოძიებო ექსპერიმენტის არსი და მიზანი სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი.

ჯერ ერთი, თუ კანონის ტექსტის მიხედვით საგამოძიებო ექსპერიმენტის მიზანია მარტოოდენ „დათვალიერების, შემოწმების, დაკითხვის, ამოსაცნობად წარდგენისა და სხვა საგამოძიებო მოქმედებათა დროს მიღებული მონაცემების“ შემოწმება და დაზუსტება, როგორც ეს კანონშია მითითებული, მაშინ ამით იგი ერთგვარად ეწინააღმდეგება დამამტკიცებელი საბუთების იმ ცნებას, რომელიც მოცემულია საქართველოს სსსკ 61-ე მუხლში. დამამტკიცებელ საბუთთა შორის მოხსენებულია აგრეთვე „საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ოქმებიც“. იგი ეწინააღმდეგება აგრეთვე საქართველოს სსრ სსსკ 78-ე მუხლის მოთხოვნასაც, რომლის თანახმად საგამოძიებო მოქმედებათა „ოქმები, რომლებიც ადასტურებენ გარემოებებსა და ფაქტებს, რაც დადგენილია დათვალიერების, შემოწმების, ამოღების, ჩხრეკის, დაკავების, ამოსაცნობად წარდგენის და აგრეთვე საგამოძიებო ექსპერიმენტის წარმოების დროს, წარმოადგენენ მტკიცებას სისხლის სამართლის საქმეზე“. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტის მიზანია არა მარტო „საგამოძიებო მოქმედებათა დროს მიღებული მონაცემების“ უბრალო შემოწმება და დაზუსტება, არამედ ახალ მტკიცებულებათა მიღებაც.

მეორე, ასევე არასწორია საგამოძიებო ექსპერიმენტის ცნებაში იმის მითითება, რომ იგი ტარდება „გარემოებისა და გარკვეული შემთხვევის ვითარების აღდგენის“ მიზნით. მაგალითად, ამა თუ იმ საგნის გადაადგილების შესაძლებლობის შესახებ ჩატარებული საგმოძიებო ექსპერიმენტისათვის სრულიადაც არაა საჭირო „გარემოებისა და გარკვეული შემთხვევის ვითარების აღდგენა“. ამასთან, საგამოძიებო ექსპერიმენტით ახდენენ არა მარტო „დათვალიერების, შემოწმების, დაკითხვის, ამოსაცნობად წარდგენისა და სხვა საგა-

---

[4] **С. П. Митричев**, К вопросу о научных основах советской криминалистики. «Советская криминалистика на службе следствия», вып. 7. М., 1956, стр. 10, Советская криминалистика. М., 1958, стр. 301—302; Криминалистика, М., 1959, стр. 266; М. А. Чельцов. Советский уголовный процесс. М. 1962; стр. 299; Криминалистика, МГУ, 1963, стр. 339—340; ბ. ზ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი. თბილისი, 1963, გვ. 300-301 და სხვ.

[5] **М. М. Гродзинский**, О способах получения доказательств в советском уголовном процессе. «Советская юстиция». 1958, № 6; Р. С. Белкин. Эксперимент в следственной, судебной и экспертной практике. М., 1964; Н. В. Жогин. Ф. Н. Фаткуллин, Предварительное следствие. М., 1965, стр. 145—146; Криминалистика. М., 1968, стр. 350; Уголовный процесс. М., 1972, стр. 279 и др.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძიებო მოქმედბათა დროს მიღებული მონაცემების" შემოწმებასა და დაზუსტებას, არამედ აგრეთვე საქმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა გარემოების გამოკვლევას და ფაქტიური მონაცემების დადგენასაც. მაგალითად, თუ საგამოძიებო ექსპერიმენტით დაგინდება, რომ მატერიალურ ფასეულობათა საწყობის კედლის გამონგრეული ხვრელიდან შეუძლებელი იყო ამა თუ იმ მოცულობის გატაცებული ქონების გატანა, ამით დასტურდება, რომ საწყობიდან ქონება გატაცებულია არა კედლის გამონგრეული ხვრელიდან, არამედ სხვა გზით. ე. ი. მოცემული საგამოძიებო ექსპერიმენტით დასტურდება გამოძიებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელსაც საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად გარკვეული მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს.

ამრიგად, საგამოძიებო ექსპერიმენტით მიღებული შედეგები, რაც ფიქსირებულია ოქმში, უდაოდ ახალი მტკიცებულებაა. ამიტომ ეს გარემოებაც უნდა აისახოს ექსპერიმენტის ცნებაში, ან იქიდან საერთოდ ამოვიღოთ მიზანზე მითითება. ამავე დროს, საგამოძიებო ექსპერიმენტის ცნების დახვეწისა და სრულყოფის მიზნით საჭიროა ექსპერიმენტის განმარტებიდან ამოღებული იქნეს საგამოძიებო მოქმედებათა ჩამოთვლა, აგრეთვე მასში მიეთითოს სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებასა და თვით ექსპერიმენტის ბუნებაზე.

ყოველივე აქედან გამომდინარე, კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით, საჭიროა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლში შეტანილი იქნეს ცვლილება იმ მიმართებით, რომ მას მიეცეს ცნებისათვის დამახასიათებელი სახე, მასში აისახოს ექსპერიმენტის ბუნება, გამოსაკვლევი გარემოებანი, გამოსაყენებელი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებანი და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი **რედაქციით:**

„ საქმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და ფაქტიური მონაცემების დადგენისათვის გამომძიებელი ატარებს საგამოძიებო ექსპერიმენტს სპეციალური ცდების სახით, რა დროსაც იგი ადგენს საქმეებსა და გეგმებს, აწარმოებს გაზომვებს, ფოტო და კინოგადაღებებს, იყენებს ხმის ჩამწერ საშუალებებს მაგნიტოფონსა და დიქტოფონს.

საგამოძიებო ექსპერიმენტი არ უნდა ამცირებდეს მასში მონაწილეთა და გარშემო მყოფ პირთა ღირსებას და საშიში არ უნდა იყოს მათი ჯანმრთელობისათვის.

საგამოძიებო ექსპერიმენტს უნდა ესწრებოდნენ თანამოწმენი. თუ საჭიროა მასში მონაწილეობის მისაღებად დაბარებულნი უნდა იქნენ აგრეთვე მოწმეები, დაზარალებული, ეჭვმიტანილი, ბრალდებული და სპეციალისტი.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ შედგება ოქმი ამ კოდექსის 96-ე მუხლით გათვალისწინებული წესების დაცვით".

საპროცესო კანონმდებლობა აწესრიგებს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ზოგად წესს. მაგრამ მასში არაფერია ნათქვამი საგამოძიებო ექსპერიმენტის სახეებზე, მისი ჩატარების ტაქტიკურ ხერხებსა და საშუალებებზე.

საგმოძიებო ექსპერიმენტთა მრავალსახეობის მიუხედავად ზოგიერთი ავტორი შეეცადა მოეცა საგამოძიებო ექსპერიმენტის კლასიფიკაცია. ასე მაგა-

ლითად, ვ. პ. კოლმაკოვი საგამოძიებო ექსპერიმენტის სახეებს განიხილავს ექსპერიმენტის მიზნებისა და შესამოწმებელ გარემოებათა მიხედვით.[6]

ვ. ი. კოლდინი საგამოძიებო ექსპერიმენტის სახეებს ყოფს სამ ჯგუფად: პირველს მიაკუთვნებს გარკვეულ პირობებში ხილვადობისა და სმენადობის შესამოწმებლად ჩასატარებელ ექსპერიმენტებს; **მეორეს** — ისეთი მოქმედების შესრულების შესაძლებლობის შემოწმებას, რომელიც მოითხოვს სპეციალურ ცოდნას (მაგალითად, მანქანის მართვა, თარგმნა და სხვ); **მესამე** ჯგუფს უკავშირებს ამა თუ იმ სახის მოქმედების შესრულების შესაძლებლობის შემოწმებას.[7]

საგამოძიებო ექსპერიმენტის სახეების უფრო სრულყოფილ და მრავალმხრივ კლასიფიკაციას გვაძლევს პროფ. რ. ს. ბელკინი, რომელიც ექსპერიმენტის ყველა სახეს ყოფს ხუთ ჯგუფად. ექსპერიმენტი ჩატარებულია:

1) რაიმე ფაქტის, მოვლენის, აღქმის ან დაკვირვების შესაძლებლობის, 2) რაიმე მოქმედების ჩადენის შესაძლებლობის დადგენის მიზნით; 3) რაიმე მოვლენის არსებობის დადგენის შესაძლებლობის, 4) შემთხვევის მექანიზმის ცალკეული დეტალების დადგენისა და 5) კვალთა აღმოცენების პროცესის დადგენის მიზნით.[8]

საგამოძიებო ექსპერიმენტის სწორად, მაღალხარისხოვნად ჩასატარებლად საჭიროა გამომძიებელმა (ან ექსპერიმენტის ჩამტარებელმა სხვა პირმა) დაიცვას საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული წესი და გამოიყენოს კრმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული ტაქტიკური ხერხები.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისათვის რეკომენდირებულ ყველა ტაქტიკურ ხერხს პროფ. რ. ს. ბელკინი ყოფს ოთხ ჯგუფად: **პირველს** მიაკუთვნებს საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილე პირთა განსაზღვრას; **მეორეს** — საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებას მაქსიმალურად მსგავს პირობებში; **მესამეს** — ერთგვაროვანი ცდების მრავალჯეროვან ჩატარებას; **მეოთხეს** — ცდების ჩატარებას რამდენიმე ეტაპად.[9]

ამ კლასიფიკაციაში გაერთიანებულია როგორც საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩასატარებლად მოსამზადებელი, ისე მისი ჩატრების პროცესში გამოსაყენებელი ტაქტიკური ხერხები. ჩვენი აზრით, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, უფრო მიზანშეწონილია თუ საგმოძიებო ექსპერიმენტის ჩასატარებლად რეკომენდირებულ ხერხებს დავყოფთ ექსპერიმენტის ჩატარების პროცესის განვითარების მიხედვით.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების მომზადება თავის მხრივ შეიძლება დავყოთ ორ საფეხურად: მოსამზადებელი ღონისძიებანი საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ადგილზე მისვლამდე და ადგილზე მის უშუალო დაწყებამდე.

ექსპერიმენტის ჩატარების ადგილზე მისვლამდე რეკომენდებულია გამომძიებელმა განსაზღვროს ექსპერიმენტის მიზანი, შინაარსი, ჩატარების პირობები, დრო, ადგილი, სავარაუდო ცდები, მასში მონაწილეობის მისაღებ პი-

---

[6] Советская криминалистика. Часть I., М., 1958, стр. 303—305.
[7] Криминалистика, МГУ, 1963, стр. 340.
[8] **Р. С. Белкин**, Эксперимент в следственной, судебной и экспертной практике. М., 1964, стр. 58.
[9] **Криминалистика**, ВЮЗИ, М., 1966, стр. 330.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთა წრე, შეარჩიოს და მოამზადოს სათანადო სამეცნიერო-ტექნიკური, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვ.

ექსპერიმენტი, რეკომენდებულია ჩატარდეს დღეღამის იმავე საათებში, რა დროსაც ჰქონდა ადგილი შესამოწმებელ ფაქტს და სხვ. მაგრამ, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს აუცილებელია ყველა საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩატარდეს დღეღამის იმავე მონაკვეთში, რა დროსაც მოხდა ექსპერიმენტით შესამოწმებელი ფაქტი. მაგალითად, ისეთი ექსპერიმენტის ჩასატარებლად, როცა საჭიროა გაირკვეს, კედლის გამონგრეული ხვრელიდან შეიძლებოდა თუ არა გაეტანათ გარკვეული მოცულობის დატაცებული ქონება. მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როდის (დღისით თუ ღამით) ჩავატარებთ ექსპერიმენტს. მაგრამ ზოგჯერ ექსპერიმენტის ჩატარებას დღეღამის იმავე მონაკვეთში და იმავე პირობებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ხილვადობის დასადგენად და სხვ. უფრო მეტიც, ასეთი ექსპერიმენტი არც შეიძლება ჩატარდეს ამ პირობების დაუცველად. ასევე სმენადობის შესამოწმებლად ექსპერიმენტის ჩატარება საჭიროა ვაწარმოოთ იმავე ადგილზე და მაქსიმალურად მსგავს პირობებში, გათვალისწინებული უნდა იქნეს ამინდი, ქარის მიმართულება, ხმაური და მთელი რიგი სხვა გარემოებანი.

ასე მაგალითად, ჟ-ეს გაუპატიურების საქმესთან დაკავშირებით დ-ემ დაკითხვის დროს უჩვენა, რომ 25 აგვისტოს დაახლოებით საღამოს 7 საათზე, როდესაც იგი მინდორში თივას აგროვებდა, გაიგონა ქალის ხმამაღალი ყვირილი, რომელშიც გაარჩია სიტყვები „გამიშვი!... პეტრე არ გაპატიებ“... საქმის გამოძიების პროცესში ამ ჩვენების შესამოწმებლად საჭირო გახდა ექსპერიმენტის ჩატარება. გამომძიებელმა საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩაატარა ამინდის მეტეოროლოგიური პირობების გაუთვალისწინებლად, რის გამოც ექსპერიმენტით არ დადასტურდა დ-ეს ჩვენება. შემდეგ შესწავლილი იქნა თუ როგორი მეტეოროლოგიური პირობები იყო მომხდარი ფაქტის დროს და მისი გათვალისწინებით განმეორებით ჩატარდა ექსპერიმენტი. დადგინდა, რომ დ-ეს მართლა შეეძლო მითითებულ ადგილზე ყოფნისას გაეგონა ქალის ყვირილი და მასში გაერჩია ზემოაღნიშნული სიტყვები. პირველსა და მეორე ექსპერიმენტის შედეგებს შორის ასეთი დიდი სხვაობა გამოწვეული იყო იმით, რომ პირველად საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს იმ ადგილზე ქარი საწინააღმდეგო მიმართულებით ქროდა, რაც გათვალისწინებული არ იქნა ექსპერიმენტის ჩატარებისას.

ექსპერიმენტის ჩატარების ადგილზე მისვლისას, მის უშუალო დაწყებამდე, გამომძიებელმა უნდა შეამოწმოს შეესაბამება თუ არა შესამოწმებელი ფაქტის ადგილმდებარეობასა და პირობებს, ხომ არაა საჭირო დამატებითი რეკონსტრუქცია და სხვ. ამასთან საჭიროა ექსპერიმენტში მონაწილე პირებს ჩაუტაროს სათანადო ინსტრუქტაჟი იმის თაობაზე, თუ სად იმყოფებიან ისინი, რა მოქმედებები უნდა შეასრულონ და რა საშუალებებით; როგორი უნდა იყოს მათი ურთიერთგანლაგება და მათ შორის კავშირი; გააფრთხილოს ექსპერიმენტში მონაწილე პირები, რომ არ გაახმაურონ ექსპერიმენტით მიღებული შედეგები, დაიცვას საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ადგილი გარეშე პირთა ხელყოფისაგან და სხვ. შემდეგ იგი აყენებს ექსპერიმენტში მონაწილე პირებს მათთვის განკუთვნილ ადგილებზე და აძლევს სიგნალს საგამოძიებო ექსპერიმენტის დაწყების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პროცესში, ექსპერიმენტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, გამომძიებელი ახდენს ერთგვაროვანი ცდების გამეორებას. ზოგჯერ ასეთი ცდები შეიძლება ჩატარდეს ეტაპების მიხედვითაც.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებასთან დაკავშირებით კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში, ჯერ კიდევ ადრე, გამოითქვა აზრი, რომ გამომძიებელმა ექსპერიმენტის ჩატარებისათვის საჭიროა გამოიტანოს მოტივირებული დადგენილება.[10] შემდეგ ეს აზრი გაზიარებულ იქნა კრიმინალისტიკის ზოგიერთ სახელმძღვანელოსა[11] და საპროცესო კანონმდებლობაში. ასე მაგალითად, ყაზახეთის სსრ სსკ 132-ე მუხლის თანახმად საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩასატარებლად გამომძიებელმა უნდა გამოიტანოს „მოტივირებული დადგენილება“.

პროფ. რ. ს. ბელკინი იზიარებს რა ამ მოსაზრებას, მიზანშეწონილად თვლის, რომ დადგენილების გამოტანა საჭიროა მხოლოდ განმეორებით საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისას. მისი აზრით, საჭიროა განმეორებით ექსპერიმენტის ჩატარება გამომძიებელმა დაასაბუთოს მოტივირებული დადგენილებით, რათა სასამართლოსათვის ნათელი გახდეს თუ რატომ მიიჩნია აუცილებად მისი განმეორებით ჩატარება.[12]

ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება არასწორია და იგი არაფერს მატებს საგამოძიებო პრაქტიკას. პირიქით იგი უფრო ართულებს მას. ამასთან ერთად ბუნებრივად იბადება კითხვა განა გამომძიებელს წინასწარი გამოძიების პროცესში ზოგჯერ არ უხდება დათვალიერების განმეორებით ჩატარება? ანდა მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის დამატებითი დაკითხვა ან განა განმეორებით საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება ისეთ იძულებით ხასიათის ღონისძიებად იქცევა როგორიცაა ჩხრეკა? ცხადია, არა. თუ ეს ასეა და აქ საჭირო არაა მოტივირებული დადგენილების გამოტანა, მაშინ რატომღა უნდა გამოიტანოს გამომძიებელმა ასეთი დასაბუთებული დადგენილება საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისათვის? ვფიქრობთ, სრულიად ზედმეტია საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისათვის გამომძიებლის მიერ ეგრეთწოდებული მოტივირებული „დასაბუთებული დადგენილების გამოტანა“.

საგამოძიებო ექსპერიმენტის აღმოცენებისა და განვითარების მსგავსი გზა განვლო დამამტკიცებელი საბუთების სისწორის შემოწმების და ახალ მტკიცებულებათა მიღების ისეთმა საშუალებამ როგორიცაა: მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ჩვენების ადგილზე შემოწმება, რომელიც პირველად ორი ათეული წლის წინ აღმოცენდა და საგამოძიებო ექსპერიმენტის მსგავსად პრაქტიკაში დაინერგა, როგორც შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკური ხერხი.

ჩვენების ადგილზე შემოწმება თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა სახელწოდებით გვევლინება, მაგრამ მისი მიზანი ყოველთვის იყო და არის მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ჩვენე-

---

[10] В. П. Колмаков, Л. Е. Ароцкер, Следственный эксперимент на предварительном следствии. Харьков, 1949, стр. 24—25.

[11] Криминалистика, М., 1959, стр. 267.

[12] Р. С. Белкин, Эксперимент в следственной, судебной и экспертной практике. М., 1964, стр. 70.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შემოწმების ადგილზე ფაქტიურ გარემოებასთან შეპირისპირებით და ამით ახალ მტკიცებულებათა მიღება. მართალია, ჩვენების ადგილზე შემოწმება ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის და მათ შორის საქართველოს სსრ სსს კოდექსით ჯერ კიდევ არ ითვლება, დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან პრაქტიკაში აღიარება ჰპოვა, მის ჩატარებას ხშირად მიმართავენ ისეთი კატეგორიის საქმეების გამოძიების დროს როგორიცაა: მკვლელობა, გაუპატიურება, გაძარცვა, ყაჩაღობა, მექრთამეობა, ბოროტი ხულიგნობა და სხვ. მაგრამ ვინაიდან საპროცესო კანონმდებლობით იგი გათვალისწინებული არაა დამოუკიდებელ საგამოძიებო მოქმედებად მის შესახებ ადგენენ დათვალიერების, საგამოძიებო ექსპერიმენტის ან შემთხვევის ადგილზე გაყვანის, ჩვენების ადგილზე შემოწმების და სხვა სახის ოქმებს. რაც ცხადია, არასწორია, რადგან ჯერ ერთი, კანონმდებელი არ ითვალისწინებს შემთხვევის ადგილზე გაყვანასა და ჩვენების ადგილზე შემოწმებას დამოუკიდებელ საგამოძიებო მოქმედებად, და მეორეც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, იგი არსებითად განსხვავდება როგორც შემთხვევის ადგილის დათვალიერების, ისე საგამოძიებო ექსპერიმენტისა და სხვა საგამოძიებო მოქმედებისაგან.

კრიმინალისტთა და პროცესუალისტთა ერთი ნაწილი ჩვენების ადგილზე შემოწმების პრაქტიკაში დანერგვას თავიდანვე არასწორედ შეხვდა და მოითხოვა საგამოძიებო პრაქტიკიდან მისი აღმოფხვრა. რადგან მათი აზრით იგი არის შემთხვევის ადგილის განმეორებით დათვალიერება,[13] მისი ნაირსახეობა ან დათვალიერების, ექსპერიმენტისა და ჩხრეკის ჩატარების ტაქტიკური ხერხი.[14] ექსპერიმენტის ნაირსახეობა ამოცნობა, შემთხვევის ადგილზე ბრალდებულის განმეორებით დაკითხვა,[15] და სხვ.

ზოგიერთი კრიმინალისტი კი ჩვენების ადგილზე შემოწმებას მართებულად მიიჩნევს დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად.[16]

ჩვენების ადგილზე შემოწმება, როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს შეიძლება ჩატარდეს მაშინ, როცა აუცილებელია ადრე დაკითხულ პირთა (მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის) ჩვენების სისწორის შემოწმება ადგილზე ფაქტიურ გარემოებასთან შეპირისპირებით. მისი არსი იმაშია, რომ გამომძიებელს თანამოწმეთა დასწრებით შემთხვევის

---

[13] **М. С. Строгович, Г. Александров**, Неправильная практика. «Социалическая законность, «1960, № 3, стр. 20—27; Б. В. Харазишвили. Вопросы мотива поведения преступника в советском праве. Тбилиси, 1963, стр. 270.

[14] ბ. ხარაზიშვილი, კრიმინალისტიკა, თბილისი 1969, გვ. 219.

[15] Настольная книга следователя. М., 1949, стр. 370—395; В. Колмаков. Способы собирания и закрепления судебных доказательств. «Социалистическая законность», 1955, № 4, стр. 34; Р. С. Белкин, К вопросу о природе, тактических целях и разновидностях следственного эксперимента. «Советское государство и право», 1958; № 1, стр. 119; М. М. Гродзинский, Советский уголовный процесс и криминалистика. «Вопросы криминалистики», № 1—2, М., 1961, стр. 17—20; Н. Жогин, Ф. Фаткуллин, Предварительное следствие, М., 1965, стр. 148—152 и др.

[16] **А. Н. Васильев, С. С. Степичев**, Воспроизведение показаний на месте, при расследовании преступлений. М., 1959; И. Быховский, А. Ратинов,. Проверка показаний на месте. «Вопросы криминалистики». М., 1962, вып. № 5, стр. 186—193; С. С. Степичев, Проверка показаний на месте. «Социалистическая законность», 1964, № 3, стр. 64—66; Его же, Еще раз о «выходе на месте». «Вопросы криминалистики», М., 1964, № 12, стр. 32—38 и др.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილზე გაჰყავს ბრალდებული ან სხვა პირი, რომლის ჩვენებაც მოწმდება ადგილზე ფაქტიურ გარემოებასთან შეპირისპირებით. ამ დროსაც ხდება არა მარტო უბრალო თხრობა, ადრე მოცემული ჩვენების უბრალო გამეორება, არამედ ეს პირები ხსნიან და უჩვენებენ კიდეც საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებას. მაგალითად, ბრალდებული არა მარტო განმარტავს თუ სად და როგორ ჩაიდინა დანაშაული, არამედ მიუთითებს კიდეც იმ ადგილზე სადაც იგი შეხვდა დაზარალებულს და ხსნის დანაშაულის ჩადენის განვითარების მთელ პროცესს. აქვე იგი უჩვენებს მის მიერ დამალულ დანაშაულის ჩადენის იარაღებს, დანაშაულის კვალებს და სხვ.

ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებამდე საჭიროა გამომძიებელი დეტალურად გაეცნოს შესაბამოწმებელ პირთა ჩვენებებს, განსაზღვროს ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების მიზანი, დრო, მასში მონაწილე პირთა წრე; შეარჩიოს ოპერატიული ჯგუფი, მოამზადოს სატრანსპორტო და სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები და სხვ.

ჩვენების ადგილზე შემოწმება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი არ ამცირებს მასში მონაწილეთა და გარშემო მყოფ პირთა ღირსებას და არ არის საშიში მათი ჯანმრთელობისათვის.

იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა რამდენიმე მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ჩვენების ადგილზე შემოწმება, ან როცა ერთი და იმავე გარემოების ან ფაქტის შესახებ მიღებული ჩვენების შემოწმებას ვატარებთ, რეკომენდებულია, მათი ჩვენების შემოწმება მოხდეს ცალ-ცალკე და მასში მონაწილეობის მისაღებად თანამოწმეებად მოწვეულ იქნენ სხვადასხვა პირები. ამავე დროს, ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების პროცესში საჭიროა გამოყენებულ იქნას სასამართლო-ოპერატიული ფოტოგრაფიაში შემუშავებული ფოტო და კინოგადაღების ხერხები და ხმის ჩამწერი საშუალებანი.

ჩვენების ადგილზე შემოწმებას მართალია აქვს სხვა მომიჯნავე საგამოძიებო მოქმედების (ექსპერიმენტისა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების) დამახასიათებელი ზოგიერთი საერთო ნიშნები, მაგრამ მათ შორის უფრო მეტი სხვაობაა, ვიდრე მსგავსება.

ჩვენების ადგილზე შემოწმება ხდება შემთხვევის ადგილზე გაყვანილ პირთა ჩვენებების უბრალო თხრობით, ადგილზე მის ფაქტიურ გარემოებასთან შეპირისპირებით, ყოველგვარი ცდებისა და შემთხვევის გარემოებათა ვითარების აღუდგენლად, ისევე, როგორც საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისას, ჩვენების ადგილზე შემოწმების დროსაც გამომძიებელი ამ მოქმედების ხელმძღვანელი და ორგანიზატორია. მაგრამ ჩვენების ადგილზე შემოწმებაში გამომძიებლის აქტიური როლი, შეიძლება ითქვას, მისი ჩატარების პირველსავე მოსამზადებელ ეტაპზე ამოიწურება. უშუალოდ მისი ჩატარების პროცესში კი იგი უფრო პასიურია და უბრალო მაყურებლის როლში გვევლინება და ახდენს ყოველგვარი ცდების, ანალიზისა და სინთეზის გარეშე ოქმში ფიქსირებას.

ჩვენების ადგილზე შემოწმებასა და საგამოძიებო ექსპერიმენტს შორის არსებული ძირითადი სხვაობა იმაშია, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტს, როგორც წესი, ატარებენ გარკვეულ პირობებსა და გარემოებებში ამა თუ იმ ფაქტის ან შემთხვევის არსებობის შესაძლებლობის ან შეუძლებლობის დასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენად. ჩვენების ადგილზე შემოწმებას კი იმის გასარკვევად, თუ როგორ, რა გარემოებაში და სად მოხდა გამოსაძიებელი შემთხვევა ან საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა დასადგენი გარემოება და შეესაბამება თუ არა დაკითხული პირის ჩვენება ადგილზე არსებულ ფაქტიურ მონაცემებს. ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგამოძიებო ექსპერიმენტისათვის დამახასიათებელია და ბევრჯერ აუცილებელია მომხდარი ფაქტის ან გარემოების პირველადი სახით აღდგენა ცდების საშუალებით. ჩვენების ადგილზე შემოწმებისათვის კი ეს დამახასიათებელი არაა. იგი ტარდება ადგილზე ობიექტურად არსებულ მონაცემებთან (ადრე მიღებული ჩვენების) უბრალო შეპირისპირებით, გარემო — ვითარების აღდგენის გარეშე. ამავე დროს, საგამოძიებო ექსპერიმენტით — როგორც ეს თვით კანონშია მითითებული, — შეიძლება შემოწმდეს დათვალიერების, დაკითხვის, ამოსაცნობად წარდგენის და სხვა საგამოძიებო მოქმედებათა დროს მიღებული მონაცემები. ჩვენების ადგილზე შემოწმებით კი შეიძლება დაზუსტდეს და შემოწმდეს მხოლოდ მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ჩვენება მათი უშუალო მონაწილეობით და სხვ.

ჩვენების ადგილზე შემოწმება არსებითად განსხვავდება აგრეთვე შემთხვევის ადგილის დათვალიერებისაგან ჩატარების ტაქტიკური ხერხებით. ჩვენების ადგილზე შემოწმებისათვის სრულიად უცხოა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების სტადიები და ის, თუ საიდან მოხდეს დათვალიერების დაწყება ცენტრიდან თუ პერიფერიიდან, დასათვალიერებელი ადგილმდებარეობის საზღვრების განსაზღვრა და სხვ. გარდა ამისა, ჩვენების ადგილზე შემოწმება ტარდება მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულისაგან მიღებული ჩვენებების შემოწმების მიზნით, მათი უშუალო მონაწილეობითა და თხრობით ადგილზე ობიექტურად არსებულ მონაცემებთან შეპირისპირებით. შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს კი მათი მონაწილეობა და თხრობა აუცილებელი არაა. ამავე დროს შემთხვევის ადგილის დათვალიერება წარმოუდგენელია დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის ან უშუალოდ დანაშაულის ჩადენის ადგილის გარეშე. ჩვენების ადგილზე შემოწმება კი შეიძლება ჩატარდეს არა უშუალოდ დანაშაულის ჩადენის ან დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის ადგილზე (მაგალითად, დაზარალებულისა და ბრალდებულის ურთიერთ შეხვედრისა და გაცნობის ადგილზე).

საგამოძიებო ექსპერიმენტისა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების განმასხვავებელი თავისებურებანი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ ჩვენების ადგილზე შემოწმება არის დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ამავე დროს არსებითად განსხვავდება საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სხვა სახის საგამოძიებო მოქმედებისაგან. ამიტომ, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, ლატვიის, ლიტვიისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საპროცესო კანონმდებლობის მსგავსად აუცილებლად მიგვაჩნია, რომ იგი გათვალისწინებულ იქნას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 183[1]-ე მუხლით, როგორც დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედება, შემდეგი რედაქციით:

„მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის დასწრებით გამომძიებელი ახდენს მათი ჩვენების შემოწმებას ადგილზე ფაქტიურ გარემოებასთან შეპირისპირებით, რა დროსაც იგი ადგენს სქემებსა და გეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებს, აწარმოებს გაზომვებს, ფოტო და კინოგადაღებებს, იყენებს ხმის ჩამწერ საშუალებებს მაგნიტოფონსა და დიქტოფონს.

ჩვენების ადგილზე შემოწმება შეიძლება ჩატარდეს თუ იგი არ ამცირებს მასში მონაწილეთა და იქ დამსწრე პირთა ღირსებას და საშიში არ არის მათი ჯანმრთელობისათვის.

ჩვენების ადგილზე შემოწმებას აუცილებლად უნდა დაესწრონ თანამოწმენი. საჭიროების შემთხვევაში მასში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეულ იქნეს აგრეთვე სპეციალისტი.

ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების შესახებ შედგება ოქმი ამ კოდექსის 96-ე მუხლით გათვალისწინებული წესების დაცვით".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსაგზაო შემთხვევების გამომწვევი მიზეზები

ხისლის სამართლის დანაშაულთა შორის საგზაო შემთხვევებს თავისებურებები ახასიათებთ. ამ დანაშაულის გამოძიებას ძირითადად შინაგან საქმეთა საგამოძიებო ქვედანაყოფები აწარმოებენ. ხისლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლს ოთხი ნაწილი აქვს. მათგან ორი უკანასკნელი არც თუ პატარა სასჯელს ითვალისწინებს (მესამე — ორიდან ათ წლამდე, მეოთხე — სამიდან თხუთმეტ წლამდე).

ისმება საკითხი, რატომ მიიღო კანონმდებელმა ასეთი დიდი სასჯელი ავტოტრანსპორტზე მომხდარი დანაშაულისათვის, რომელიც გაუფრთხილებელ დანაშაულს ეკუთვნის.

დღეს ავტოსაგზაო შემთხვევა საშიშ და სერიოზულ მუქარად იქცა საზოგადოებისათვის და პლანეტის მოურჩენელ ავადმყოფობის სახელით მოინათლა. ტრანსპორტზე დაღუპულ პირთა რაოდენობა უკვე აჭარბებს ყველა ავადმყოფობათა მსხვერპლის რიცხვს. ამიტომ გასაგებია, რომ ხისლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაზრდა ამ დანაშაულის საშიშროების შესაბამისია და კანონმდებელი სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა.

ავტოტრანსპორტის აუცილებლობა თანამედროვე პირობებში დავას არ იწვევს. ხოლო მისი არაწესიერი გამოყენება, რომ უბედურების მომტანია, არც ეს არის რთული გასაგები. როცა ავტოსაგზაო შემთხვევაზე ვმსჯელობთ, უპირველეს ყოვლისა მხედველობაში გვაქვს:

1. მძღოლი და ავტომობილი.
2. გზა და ფეხით მოსიარულე.

ყოველივე გასაგები რომ იყოს, განვიხილოთ თვითეული მათგანი ცალცალკე:

1. მძღოლი უნდა იყოს: ა) საკმაოდ დაუფლებული საჭის მართვას, ჰქონდეს გამომუშავებული სათანადო ჩვევები: ბ) ყურადღებიანი მანქანის მსვლელობისა და გაჩერების დროს; გ) ფხიზელი და ჯანსაღი; დ) მოძრაობის წესების მცოდნე, წესების ყველა მოთხოვნის შემსრულებელი.

2. ავტომობილის ექსპლოატაციისათვის აუცილებელია, რომ იგი იყოს: ა) დინამიური, ტექნიკურად ვარგისი; ბ) გამართული ჰქონდეს ყველა სანათი და ელექტრო ხელსაწყო. ადვილად იკითხებოდეს სახელმწიფო ნიშნები და სანოგრო წარწერები.

3. ფეხით მოსიარულეს უნდა ახსოვდეს, რომ: ა) ქალაქებში საჭიროა იმოძრაოს ტროტუარზე. გადავიდეს გადასასვლელ ბილიკებზე ან სპეციალურ შემაერთებელი გვირაბებით; ბ) სავალი ნაწილის გადაჭრისას დაიცვას მოძრაობის უშიშროების წესები, რაც მდგომარეობს იმაში, რომ წინ არ გაუაროს მოახლოებულ ტრანსპორტს.

გ) ქალაქგარეთ საავტომობილო გზებზე იაროს გზის გვერდულაზე, მოძრაობის მარცხენა მხარეს, რომ ადვილად შეამჩნიოს მომავალი ტრანსპორტის ნორმალური თუ არა წესიერი მოძრაობა, რათა საჭიროების შემთხვევაში თავის გადარჩენისათვის დროულად მიიღოს ზომები.

4. გ ზ ე ბ ი: ა) ქალაქებში, მშენებარე ობიექტები შემოკავებული უნდა იყოს, სათანადო საგზაო ნიშნების მოწყობით. ასეთი ობიექტები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ღამით დაუცველი.

ხისტემატიურად უნდა გაისინჯოს და წესრიგში მოიყვანონ გზის ქვეშ გამავალი საკანალიზაციო ზედა საფარის სახურავები. ზამთრის პირობებში მოყინული ადგილები, სადაც მოსალოდნელია ავტომობილის მოცურება აუცილებელია დაიფაროს მისი საწინააღმდეგო ინერტული მასალით.

იქ, სადაც მოძრაობის ხასიათი გვირაბების გაყვანას მოითხოვს, დროულად უნდა მოხდეს შესატყვისი მშენებლობის დწყება და დამთავრება. თანახმად მოძრაობის ახალი წესებისა, რომელიც ძალაშია 1973 წლის 1 იანვრიდან საჭიროა დაიდგას მოძრაობის მომწესრიგებელი ნიშნები განსაკუთრებით გავლის უპირატესობის მქონე ქუჩებზე. შეიქმნას ქუჩებში მოსახერხებელ ადგილებში ავტომობილების შეჩერების ან გაჩერების მოძრაობისათვის უშიშროების ადგილები. მოწესრიგდეს გზაჯვარედინები, ელექტრო ავტომატური მომწესრიგებლებით და სხვა.

ქალაქგარეთ საავტომობილო ტრასებზე აუცილებელია დაიდგას მოძრაობის მომწესრიგებელი ნიშნები. აქაც მშენებარე ობიექტებზე უნდა უზრუნველყოფილი იქნას უშიშროების ღონისძიებები.

ზემოთ ჩამოთვლილი ცალკეული საგზაო დებულებების მნიშვნელობის საილუსტრაციოდ მოვიტანთ მაგალითებს პრაქტიკიდან.

თბილისი — ხაშურის საავტომობილო ტრასის ერთერთ მონაკვეთში, დეკემბერში მოყინულ გზაზე, დაბა აგარის მახლობლად ერთმანეთს დაეჯახა ორი სატვირთო ავტომობილი, რის შედეგადაც დაიღუპა ქუთაისიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავალი სამი მგზავრი.

ექსპერტიზით დადგინდა, რომ ხაშურის მიმართულებით მიმავალი მძიმე ტვირთიანი ავტომობილის მძღოლმა, არა ფიზიზელ მდგომარეობაში მყოფმა, მიუხედავად იმისა, რომ მის სავალ ნაწილზე დაბრკოლება იყო, გზა არ დაუთმო მოპირდაპირე გამვლელ ავტომობილს და მუხრუჭი მხოლოდ მაშინ იხმარა, როდესაც ავტომობილები ერთმანეთს უშუალოდ მიუახლოვდნენ. მუხრუჭის მკვეთრმა და უადგილოდ ხმარებამ ავტომობილი მოაცურა და სავალ ნაწილზე ისე შემოაბრუნა, რომ გზა მთელ სიგანეზე ჩაიკეტა, ამის შემდეგ გასაგებია თუ რა მოხდა... ერთ დღეს სოფელში, დზარალებულთა ოჯახიდან სამი ცხედარი გამოასვენეს.

ჭიათურა — ზესტაფონის საავტომობილო გზაზე მოძრაობდა ავტობუსი, ქ. ზესტაფონის შემომავალ დაღმართში დაქანდა, დიდი სიჩქარე განავითარა, რკინიგზის ვაკისზე ხერგილის გადატეხით შევიდა. მას მატარებლის შემადგენლობამ მიუსწრო და დაეჯახა. დაჯახების შედეგად დაიღუპნენ მგზავრები, გარდა ამისა ავტობუსმა ლიანდაგზე შესვლამდე, გზაზე მდგარი „მოსკვიჩი“ დაამტვრია ისე, რომ მასში მჯდომი ათი წლის ბავშვი მძღოლს (მამას) ხელში ჩააკვდა. ექსპერტიზამ დაადგინა, ავტობუსი ტექნიკურად გაუმართავი იყო, უკანა ხიდი თვეების მანძილზე არ შეზეთილა, რამაც გამოიწვია მბრუნავი დეტალების გადახურება და სამუხრუჭე სისტემის მწყობრიდან გამოსვლა.

ამჯერად მძღოლთან ერთად ავტოსაწარმოო კანტორის მომსახურე პერსონალიც არის დამნაშავე, რომლებმაც უგულველყვეს პროფილაქტიკა, ყურადღება არ მიაქციეს განრიგის დროულად მოყვანას სისრულეში და შედეგმაც არ დააყოვნა.

ქ. თბილისის მარჯვენა სანაპიროზე ერთერთმა საამშენებლო სამმართველომ საკმაო სიღრმის და სიგანის გათხრილი გზა დაუცველი დატოვა და გამაფრთხილებელი ნიშნები არ გააკეთა. ეს დაბრკოლება ღამით არ ჩანდა. დიდი სისწრაფით მიმავალი სატვირთო ავტომობილი სიჩქარის შეუნელებლად გადავიდა მასზე, გათხრილმა ადგილმა მიმართულება შეუცვალა ავტომანქანას, იგი საწინააღმდეგო მარცხენა მხარეზე გადავიდა და იქ თავის სავალ ნაწილზე მოძრავ „ვოლგის“ მარკის ავტომანქანას დაეჯახა. ავარიის შედეგად დაიღუპა მსუბუქი ავტომობილის მძღოლი.

ექსპერტიზით დადგინდა, რომ გარდა იმისა, რომ გზა უყურადღებოდ იყო მიტოვებული გაუფრთხილებლობა გამოიჩინა სატვირთო ავტომანქანის მძღოლმა და დაზარალებულმაც, რომელსაც დამუხრუჭებით შეეძლო თავიდან აეცილებინა ავარია.

რუსთავში კიროვის ქუჩაზე ავტობუსი დაეჯახა ფეხით მიმავალ ქალს. დაზარალებული ადგილზევე გარდაიცვალა.

ექსპერტიზის დასკვნით და გამოძიებით მძღოლი გამართლდა, რადგან ფეხით მოსიარულემ, რომელიც ავტობუსის მსვლელობის მარცხენა მხარეს იდგა, მოახლოებულ ტრანსპორტს გზა მაშინ გადაუჭრა, როცა მძღოლს დამუხრუჭების საშუალება აღარ ჰქონდა.

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს ზემოთ დასახელებული ოთხი კომპონენტის ჰარმონიული შერწყმა აუცილებელია ავტოსაგზაო შემთხვევების პროფილაქტიკისა და მისი შემცირებისათვის.

ეს ორი უკანასკნელი საკითხი უნდა მოგვარდეს და რაც შეიძლება ჩქარა.

პროფილაქტიკა ავტოტრანსპორტს ექსპლოატაციამდე უნდა გაეწიოს ყოველმხრივი მომსახურებით ტექნიკურად გამართვისათვის. აუცილებელია გულდასმით დათვალიერდეს ავტომობილის ყველა ნაწილი, შეკეთდეს და შეიცვალოს უწესივრო დეტალები, დღეს ტექნიკისათვის წვრილმანის უარყოფაც კი დაუშვებელი დარღვევაა, რადგან როგორც გამოცდილება გვიჩვენებს უმნიშვნელო ტექნიკური ხარვეზიც კი ხშირად საბედისწეროა.

საგზაო შემთხვევების შემცირება მოითხოვს: 1. პროპაგანდისა და აგიტაციის გაძლიერებას. ამისათვის შესაბამისი ორგანოების მუშაკები (პროკურატურა, მილიცია, სასამართლოს ორგანოები) ხშირად უნდა გამოდიოდენ მოსახლეობის წინაშე ლექცია-მოხსენებებით. 2. ამ თემაზე როგორც დოკუმენტური ისე მხატვრული ფილმების გადაღებასა და ფართოდ დემონსტრირებას. 3. ხშირად მოეწყოს გამოსვლები ტელევიზიით, რომელსაც მსმენელთა და მაყურებელთა ფართო აუდიტორია ჰყავს, სადაც საუბრის დროს განიხილება კონკრეტული შემთხვევების არსი და მიზეზი.

ავტო საგზაო შემთხვევების საკმაო რაოდენობა ფეხით მოსიარულეზე მოდის. ამის მიზეზია ამ უკანასკნელთა მიერ მოძრაობის წესების უხეში დარღვევა. ისინი დაუდევრად მოძრაობენ მანქანის სავალ ნაწილზე და არ უფიქრდებიან, რომ მათი ყოველი ასეთი ნაბიჯი შესაძლებელია უბედურების საბაბი გახდეს. ბევრმა არც იცის, რომ მძღოლს ავტომობილი მისი სურვილისა და მიხედვით არ შეუძლია გაიჩეროს გზის ყველა მონაკვეთში. ეს რომ კარგად წარმოვიდგინოთ განვიხილოთ რამდენიმე თეორიული საკითხი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ნებისმიერი სიჩქარით მოძრავი ავტომობილის ადამიანზე დაჯახება სიცოცხლისათვის სახიფათოა. გავიხსენოთ ფიზიკის ცნობილი ფორმულა $W=\frac{m\cdot v^2}{2}$, რომელიც ცოცხალ ძალას გამოსახავს და მასში ჩავსვათ ყველაზე მსუბუქი ავტომობილის „ზაპოროჟეცის" მასა-წონა. პირობით დაუშვათ, რომ იგი ქალაქის პირობებში მოძრაობს დასაშვები სიჩქარით, 60 კმ საათში, მაშინ

$$W=\frac{\frac{1110}{981}\cdot\left(\frac{60}{3,6}\right)^2}{2}=\frac{111\cdot 289}{2}=16039\text{კგ.ძ.}$$

აქედან — „ზაპოროჟეცის" წონა დატვირთულ მდგომარეობაში 1110 კმ უდრის. მისი მასა იქნება $\frac{P\text{კგ.}}{\text{გმ/წმ}^2}$ ე. ი. $\frac{1110\ \text{კგ}}{9,81\ \text{მ/წმ}^2}=111$ 97 ერთეულს

v — დასაშვები სიჩქარეა 60 კმ საათში 9,81 = 16,6 მ/წ. ამგვარად ისეთ მიკროლიტრაჟიან ავტომობილს, როგორიც არის „ზაპოროჟეცი" დასაშვებ სიჩქარეზე (60 კმ. საათში) დარტყმის პოტენციური ძალა 16039 კილოგრამ ძალის ტოლი აქვს, რაც ზოგიერთი საარტილერიო ჭურვის დარტყმის სიმძლავრეს უდრის. ამდენად გასაგებია თუ რატომ ითვლება იურისპოდენციაში ავტომობილი მომეტებული საფრთხის წყაროდ.

ფეხით მოხიარულენი ამას ხშირად უგულვებელყოფენ, არ იციან, რომ დაუკვირვებელ და მოუფიქრებელ მოქმედებას რა შეიძლება მოყვეს შედეგად, ან და იციან და შემთხვევამდე შედეგზე არ ფიქრობენ.

საჭიროა ყველამ იცოდეს, რომ მძღოლი მოძრავ ავტომობილს ადგილზევე ვერ აჩერებს. ავტომობილის გაჩერება დამოკიდებულია გარემოზე. ეს საკითხი უფრო ნათლად, რომ ავხსნათ მივმართოთ ისევ ფიზიკას.

წარმოვიდგინოთ ავტომანქანის დინამიკისა თუ სტატიკის ბუნებრივად აუცილებელი ხასიათი, საჭირო გარდუვალი დრო და მისი შესაბამისი მანძილი.

ავტომობილი სახიფათოა იმ პოტენციური ძალით, რაც შეიძლება მოცემულ სიჩქარეზე დაჯახების დროს განვითარდეს. ამიტომ მძღოლი ყოველთვის ცდილობს დაბრკოლების დროს შეაჩეროს სვლა, ნულამდე დაიყვანოს სიჩქარე. მას შექმნილ სიტუაციაში ზოგჯერ ამის საშუალება არ აქვს და დგება უბედურება. მერე ხშირად ამბობენ, რი[illegible]ადამიანი დაიღუპა და მძღოლი გარეთ რატომ დადისო. ანალიზს არ უწევენ, რომ მძღოლს არ შეეძლო ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილება და ამდენად იგი უდანაშაულოა.

ზემოთ ჩვენ ვწერდით, რომ მოძრავი ავტომობილი პოტენციურად არის საშიში, მის გაჩერებას დრო და მანძილი სჭირდება და ფორმულით ასე გამოითქმის:

$$T\text{ə}=t_1+t_2+t_3$$

აქედან t_1 — მძღოლის რეაქციას შეადგენს, რაც 0,8 წამის ტოლია.

t_2 — სამუხრუჭე სისტემის მოქმედებაში შესვლის დრო 0,2 წამი.

t_3 — განვითარებული სიჩქარის ინერციული ძალების ნულამდე შემცირება, ე. ი. სამუხრუჭე დრო.

სტატიის დასაწყისში ვთქვით, რომ ავტოსაგზაო დანაშაული თავისებურებით ხასიათდება. როგორც ვხედავთ ასეც ყოფილა, რადგან თუ მოუვანილ ფორმულას სიტყვიერადაც ალვწერთ საქმე გვაქვს:

1. t_1 — ე. ი. ადამიანთან.

2. t_2 — ე. ი. ავტომობილების კონსტრუქციასთან, რადგან სხვადასხვა ტიპის ავტომობილს სხვადასხვა მოქმედების მუხრუჭები გაჩნიათ.

3. t^3 — ეს მონაცემები კი რთულია. მათი პარამეტრების გაგებისათვის საჭიროა საბუნებისმეტყველო რიგი მეცნიერება, კერძოდ: მათემატიკა, ფიზიკა, მასალათა გამძლეობა, ლითონთა ტექნოლოგია, დრეკადობის თეორია და სხვა.

დაუშვათ გარკვეული სიჩქარით ქუჩაზე მოძრაობდა ავტომობილი „ვოლგა".

v — 40 კმ/საათში.

მაშინ მთლიანი გაჩერების დრო, დროისა და სიჩქარის კორდინანტთა დერძების დახმარებით ასე გამოისახება:



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ფორმულიდან მესამე კომპონენტში შემავალი სიდიდეები ბევრისათვის ცნობილია. გარდა ერთისა, რომელიც „u“ გამოსახულებით აღინიშნება .ამ სიდიდეს საბურავების გზას ჩაჭიდების გამოსახულებასთან ჩაჭიდების კოეფიციენტად თვლიან. იგი ამინდის ცვალებადობის მიხედვით სხვადასხვაა. ზედაპირის სისველისას მისი სიმცირე სამუხრუჭე კვალსა და დროს ადიდებს, სიმშრალეკი პირიქით.

t_1 ადამიანის ფსიქიურ ნერვულ სისტემასთან მჭიდრო კავშირშია და იგი ორი ძირითადი არსისაგან შესდგება:

ა) ადამიანის (მძღოლის) მხედველობამ რომ დაბრკოლება შეამჩნიოს და საერთოდ აღიქვას, ფიზიოლოგიაში ცნობილი გამოთქმა რა მოხდა? საჭიროა 0,4 წამი.

ბ) აღქმის შემდეგ მძღოლი ავტომობილის მუხრუჭებს მიმართავს, რათა მანქანის სვლა შეანელოს და მერე გაჩეროს. ამას კიდევ 0,4 წამი სჭირდება, ე. ი. ორივე ერთად 0,8 წამს შეადგენს, ეს ის სიდიდე მივიღეთ, რომელიც მოყვანილ ფორმულაში უკვე გამოვთქვით t_1 სახით. შემდეგ როგორც ვხედავთ t_2 პარამეტრია 0,2 წამის ტოლი, ე. ი. ორივე ერთად ერთ წამს შეადგენს. ეს დრო ტექნიკური რეაქციის პერიოდით არის ცნობილი ჩვევების შესაბამისად რაც ადამიანში ავტომატურად მიმდინარეობს, შემდეგ იწყება დამუხრუჭების პროცესი და სიჩქარე ნოლისაკენ ვარდნას იწყებს. დიაგრამაზე ეს ყოველივე ნათლად არის გამოსახული ე. ი. სარეაქციო დრო, დროის კორდინაციის პარალელურია, მერე კი მუხრუჭების მოქმედება შედის ძალაში და 40 კმ საათში სიჩქარე ნულისაკენ ვარდება. ავტომობილი ჩერდება მაშინ, როცა ვარდნილი სიჩქარის პირობითი ხაზი დროის ღერძს გადაკვეთს.

ეხლა თუ დავუკვირდებით შევამჩნევთ, რომ 40 კმ/საათში მოძრავი ავტომობილის სრული გაჩერებას სჭირდება 3 წამამდე.

ამგვარად:

1. თუ ფეხით მოსიარულე სავალ ნაწილზე გადმოვიდა და მძღოლის მხედველობის არეში 2 წამი იმოძრავა, დამდგარი, უბედური შემთხვევის თავიდან აცილება ასეთ პირობებში მძღოლს არ შეეძლო და იგი თავისუფლდება პასუხისგებიდან.

2. თუ კი ფეხით მოსიარულე შესწავლილი მასალების მიხედვით დიაგრამის ხაზის იქით მოხვდა, ე. ი. მან სავალ ნაწილზე 3 წამზე მეტი დრო დაჰყო მოძრაობით, მაშინ მძღოლს ჰქონდა საშუალება თავიდან აეცილებინა დამდგარი შედეგი. მაშასადამე მან დაარღვია მოძრაობის წესების 73-ე მუხლის მოთხოვნები და იგი სსკ 241 მუხ. შესაბამის ნაწილით პასუხს აგებს.

როგორც ვხედავთ, მძღოლს ბევრი სიძნელე აქვს დასაძლევი. იგივე მოძრაობის წესების მე-20 მუხლის შესაბამისად, ნორმატული აქტი ფეხით მოსიარულეს სასტიკად უკრძალავს სავალ ნაწილზე მოახლოებული ტრანსპორტის გზის მოულოდნელად გადაჭრას. თუ იგი არ ასრულებს ამ მოთხოვნას კანონი მძღოლს მიუხედავად შედეგისა მთლიანად ანთავისუფლებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან. ამიტომ ლაპარაკი, რომ ადამიანი დაიღუპა და მძღოლი რატომ არ არის პასუხისგებაში მიცემული, უსაფუძვლოა.

ავტომობილების რაოდენობა დღითიდღე იზრდება. ამიტომ მისი გამოყენება გონივრულად უნდა მოხდეს, რათა მან ადამიანს სიკეთე მოუტანოს, მინიმუმამდე დავიდეს ავტოსაგზაო შემთხვევები და უბედურება, რაც მას თან სდევს. როგორც ვხედავთ ავტომობილს სარგებლობის გარდა დიდი უბედურების მოტანაც შეუძლია. ბოლოხანს ავტომობილსა და ადამიანის ურთიერთობის საკითხი პრობლემად იქცა, რომელზეც ბევრი კვლევითი დაწესებულება ინტენსიურად მუშაობს, მათ შორის საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კვლევით — სამეცნიერო სასამართლო ლაბორატორიაც — სათაურით „ფიზიოლოგია-ფსიქოლოგია და ავტომობილზე მომხდარი დანაშაული“.

შ. ალავიძე

ოფიციალური მასალა

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ წიაღის კოდექსი და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1977 წლის 1 მარტიდან.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესი და საქართველოს სსრ კანონმდებლობა შეუსაბამოს ამ კოდექსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი 1976 წლის 29 ნოემბერი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წიაღის კოდექსი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად ჩვენს ქვეყანაში მიწის წიაღი ნაციონალიზებულ იქნა და ხალხის კუთვნილება გახდა.

სსრ კავშირში, რომლის შემადგენლობაში სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ნებაყოფლობითი გაერთიანებისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე შედის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, სამთო ურთიერთობათა, ესე იგი, წიაღის გამოყენებისა და დაცვის დარგში საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძველია წიაღის სახელმწიფო საკუთრება. ეს ქმნის წიაღით გეგმიანი, რაციონალური, კომპლექსური სარგებლობის პირობებს, უზრუნველყოფს ქვეყნის საწარმოო ძალების სწორ განლაგებასა და სახალხო მეურნეობის განვითარების მაღალ ტემპს, წარმოადგენს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

სსრ კავშირს სასარგებლო წიაღისეულის დიდი მარაგი აქვს. ამასთანავე, სახალხო მეურნეობაში მინერალური ნედლეულის მოხმარების განუწყვეტელი ზრდა ამაღლებს სასარგებლო წიაღისეულის მეცნიერულად დასაბუთებული, ეფექტიანი გამოყენების მნიშვნელობას, ყველა საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულებისა და მოქალაქისაგან მოითხოვს წიაღის სიმდიდრეებისადმი მზრუნველ დამოკიდებულებას.

საბჭოთა სახელმწიფო ზრუნავს არა მარტო იმისათვის, რომ უზრუნველყოს ქვეყნის სულ უფრო მზარდი მოთხოვნები მინერალურ ნედლეულზე და დაკმაყოფილოს წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სახალხო მეურნეობის სხვა საჭიროებანი, არამედ იმისთვისაც, რომ მომავალ თაობებს შეუნარჩუნოს ბუნებრივი სიმდიდრეები.

საბჭოთა წიაღის კანონმდებლობა მოწოდებულია აქტიურად შეუწყოს ხელი წიაღის ყველაზე რაციონალურ გამოყენებასა და დაცვას.

კარი I

ზოგადი დებულებანი

თავი I

ძირითადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის ამოცანები

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წიაღის კოდექსის ამოცანებია სამთო ურთიერთობათა მოწესრიგება მინერალურ ნედლეულზე მოთხოვნილებათა და სა-

ხალხო მეურნეობის სხვა საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის, წიაღის რაციონალური, კომპლექსური გამოყენების, წიაღის დაცვის, წიაღით სარგებლობისას სამუშაოთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის მიზნით, აგრეთვე საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა უფლებების დაცვა, ამ დარგში კანონიერების განმტკიცება.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ წიაღის კანონმდებლობა

საქართველოს სს რესპუბლიკაში სამთო ურთიერთობებს აწესრიგებენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლები და მათ შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის წიაღის კანონმდებლობის სხვა აქტები, საქართველოს სსრ წიაღის კოდექსი და საქართველოს სსრ წიაღის კანონმდებლობის სხვა აქტები.

მუხლი 3. საადგილმამულო, საწყლო და სატყეო ურთიერთობების მოწესრიგება

საადგილმამულო, საწყლო და სატყეო ურთიერთობებს აწესრიგებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შესაბამისი კანონმდებლობა.

მუხლი 4. წიაღის სახელმწიფო საკუთრება

სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად წიაღი წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, ანუ საერთო-სახალხო კუთვნილებას.

წიაღი მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაა და იგი გაიცემა მარტოოდენ სარგებლობისათვის. აკრძალულია ყოველგვარი მოქმედება, რომელიც პირდაპირი თუ ფარული ფორმით არღვევს წიაღის სახელმწიფო საკუთრების უფლებას.

მუხლი 5. წიაღის ერთიანი სახელმწიფო ფონდი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირში წიაღი შეადგენს წიაღის ერთიან სახელმწიფო ფონდს, რომელშიც შედის წიაღის როგორც გამოყენებული ისე გამოუყენებელი ნაწილები.

მუხლი 6. სსრ კავშირის კომპეტენცია სამთო ურთიერთობათა მოწესრიგების დარგში

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სამთო ურთიერთობათა მოწესრიგების დარგში სსრ კავშირის გამგებლობას განეკუთვნება:

1) წიაღის ერთიანი სახელმწიფო ფონდის განკარგვა იმ ფარგლებში, რომლებიც აუცილებელია სსრ კავშირის უფლებამოსილების განხორციელებისათვის სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად;

2) წიაღის გამოყენებისა და დაცვის დარგში ძირითადი დებულებების დადგენა და ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განსაზღვრა;

3) წიაღის დაცვისა და მინერალური რესურსების რაციონალური გამოყენების საერთო-საკავშირო გეგმების დადგენა;

4) წიაღის გამოყენებისა და დაცვისადმი, წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოებისადმი სახელმწიფო ზედამხედველობა და კონტროლი და ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელების წესის დადგენა;

5) წიაღის გამოყენებისა და დაცვის დარგში სხვა საკითხების მოწესრიგება სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად.

მუხლი 7. საქართველოს სსრ კომპეტენცია სამთო ურთიერთობათა მოწესრიგების დარგში

სსრ კავშირის კომპეტენციის ფარგლებს გარეთ სამთო ურთიერთობათა მოწესრიგების დარგში საქართველოს სს რესპუბლიკის გამგებლობას განეკუთვნება: რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში წიაღის ერთიანი სახელმწიფო ფონდის განკარგვა; წიაღით სარგებლობისა და დაცვის წესის დადგენა; წიაღის დაცვისა და მინერალური რესურსების რაციონალური გამოყენების რესპუბლიკური გეგმების დადგენა; წიაღის გამოყენებისა და დაცვისადმი და წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოებისადმი სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება, აგრეთვე წიაღის გამოყენებისა და დაცვის დარგში სხვა საკითხების მოწესრიგება, თუ ისინი არ განეკუთვნებიან სსრ კავშირის კომპეტენციას.

მუხლი 8. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კომპეტენცია სამთო ურთიერთობათა მოწესრიგების დარგში

საქართველოს სსრ კომპეტენციის ფარგლებს გარეთ სამთო ურთიერთობათა მოწესრიგების დარგში აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ გამგებლობას განეკუთვნება: ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში წიაღის ერთიანი სახელმწიფო ფონდის განკარგვა; წიაღის გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, აგრეთვე სამთო ურთიერთობათა სხვა საკითხების მოწესრიგება სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 9. სახელმწიფო მართვა წიაღის გამოყენებისა და დაცვის დარგში

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად წიაღის გამოყენებისა და დაცვის დარგში სახელმწიფო მართვას საქართველოს სს რესპუბლიკაში ახორციელებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე ამისათვის სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს სს რესპუბლიკაში წიაღის გამოყენებისა და დაცვის დარგში სახელმწიფო მართვის სპეციალურად რწმუნებულ სახელმწიფო ორგანოებს წარმოადგენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისადმი ზედამხედველობის და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტი და საქართველოს საწარმოო გეოლოგიური სამმართველო მათი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 10. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომპეტენცია სახელმწიფო მართვის ხაზით წიაღის გამოყენებისა და დაცვის დარგში

სახელმწიფო მართვის ხაზით წიაღის გამოყენებისა და დაცვის დარგში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობას განეკუთვნება: წიაღის გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება; მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის განსაზღვრა, რომელსაც უფლება აქვა მიუზომოს სამთო ნაკვეთები საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოების დამუშავებისათვის, რომლებიც განლაგებულია ორი ან მეტი რაიონის (ქალაქის) ფარგლებში, აგრეთვე წიაღის გამოყენებისა და დაცვის სხვა იმ საკითხების გადაწყვეტა. რომლებიც კანონმდებლობით მის კომპეტენციას განეკუთვნება.

მუხლი 11. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების კომტენცია სახელმწიფო მართვის ხაზით წიაღის გამოყენებისა და დაცვის დარგში

სახელმწიფო მართვის ხაზით წიაღის გამოყენებისა და დაცვის დარგში მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გამგებლობას განეკუთვნება: წიაღის გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება; საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების მიზომვა; წიაღით თვითნებურად სარგებლობისა და საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ფართობის თვითნებურად განაშენიანების შეწყვეტა; წიაღით სარგებლობის საკითხებზე დავის გადაწყვეტა, აგრეთვე წიაღის გამოყენებისა და დაცვის სხვა იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც კანონმდებლობით მათ კომპეტენციას განეკუთვნება.

მუხლი 12. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების კომპეტენცია სახელმწიფო მართვის ხაზით წიაღის გამოყენებისა და დაცვის დარგში

სახელმწიფო მართვის ხაზით წიაღის გამოყენებისა და დაცვის დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გამგებლობას განეკუთვნება: საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის და ტორფის სწორად დამუშავებისადმი მეთვალყურეობა; საყოველთოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულისა და ტორფის დამატებითი რესურსების გამოვლენა; საჭირო შემთხვევაში ზემდგომ ორგანოებში წინადადების შეტანა მათი გამოყენების თაობაზე, აგრეთვე სხვა იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც კანონმდებლობით მათ კომპეტენციას განეკუთვნება.

თავი II.

წიაღით სარგებლობა

მუხლი 13. წიაღით მოსარგებლენი

საქართველოს სს რესპუბლიკაში წიაღით მოსარგებლენი შეიძლება იყვნენ სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, აგრეთვე სსრ კავშირის მოქალაქენი.

სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში წიაღი სარგებლობისათვის შეიძლება გადაეცეს სხვა ორგანიზაციებსა და პირებსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 14. წიაღით სარგებლობის სახეობანი

წიაღი სარგებლობისთვის გადაეცემა:

გეოლოგიური შესწავლისათვის;

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისათვის;

იმ მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, მათ შორის ნავთობის, გაზისა და სხვა ნივთიერებებისა და მასალების მიწისქვეშ შესანახად განკუთვნილ ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის, მავნე ნივთიერებათა და წარმოების ნარჩენების ჩასამარხად, ჩამდინარე წყლების ჩასაშვებად;

სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის.

მუხლი 15. წიაღით უსასყიდლოდ სარგებლობა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად წიაღი სარგებლობისათვის გაიცემა უსასყიდლოდ, გარდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი შემთხვევებისა.

მუხლი16. წიაღის გაცემა გეოლოგიური შესწავლისათვის

გეოლოგიური შესწავლისათვის, ესე იგი წიაღის გეოლოგიური აგებულების, მასში მიმდინარე პროცესების შესახებ მონაცემების მიღებისათვის, სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა გამოვლენისა და შეფასებისათვის, მათი ჩამოყალიბებისა და განლაგების კანონზომიერებათა შესწავლისათვის, სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების სამთო-ტექნიკური და სხვა პირობების დადგენისა და წიაღის იმ მიზნით გამოყენებისათვის, რომელიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, წიაღის გაცემა სარგებლობისათვის ხდება სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით ამისათვის სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

მუხლი 17. წიაღის გაცემა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისათვის

წიაღის გაცემა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისათვის ხდება სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი აქტის საფუძველზე.

მუხლი 18. სამთო ნაკვეთის ფარგლებს გარეთ განლაგებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების აკრძალვა

აკრძალულია სასარგებლო წიაღისეულის იმ საბადოთა დამუშავება, რომლებიც განლაგებულია სამთო ნაკვეთის ფარგლებს გარეთ.

მუხლი 19. სამთო ნაკვეთის გაცემა სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის (გარდა საყოველთაოდ გავრცელებულისა)

სამთო ნაკვეთებს სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის (საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთის გარდა) გასცემენ სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოები სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 20. სასარგებლო წიაღისეულის საყოველთაოდ გავრცელებული წიაღისეულისათვის მიკუთვნება

სასარგებლო წიაღისეულის საყოველთაოდ გავრცელებული წიაღისეულისათვის მიკუთვნება ხდება სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოების მიერ სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 21. სამთო ნაკვეთის გაცემა საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის

სამთო ნაკვეთებს საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის გასცემენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და რეგისტრირებულ უნდა იქნენ სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოებში.

საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების მიზომვის წესს და სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი აქტის ფორმას ხდენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის მიზომილი სამთო ნაკვეთის საზღვრების შეცვლა წარმოებს წესით, რომელიც დადგენილია ახალი სამთო ნაკვეთის მისაღებად.

მუხლი 22. საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის ცალკეულ სახეობათა დამუშავების განსაკუთრებული პირობები და მათი მოპოვების შეზღუდვა

წიაღისა და ბუნებრივი გარემოს სხვა ობიექტების დაცვის ინტერესების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიძლება დააწესოს საყოველთაოდ გავრცელებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი სასარგებლო წიაღისეულის ცალკეულ სახეობათა დამუშავების განსაკუთრებული პირობები, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში — ნაწილობრივ ან მთლიანად აკრძალოს მათი მოპოვება.

მუხლი 23. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მოვალეობანი საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთის მიზომვის დროს

საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთის მიზომვის თაობაზე საკითხის გადაწყვეტისას მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა უზრუნველყონ:

საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა და მათი განლაგების ფართობების სახალხო მეურნეობისათვის ყველაზე მეტად მომგები გამოყენება;

სამთო ნაკვეთების საზღვრებისა და სიდიდის სწორი დადგენა;

სამთო ნაკვეთების მიზომვა იმ საბადოების დასამუშავებლად, რომელთა მიხედვით დამტკიცებულია საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგი;

საბადოთა კომპლექსური დამუშავება;

მოსახლეობის უსაფრთხოება, წიაღისა და ბუნებრივი გარემოს სხვა ობიექტების, შენობებისა და ნაგებობათა დაცვა.

მუხლი 24. სამთო ნაკვეთის გაცემის პირობები საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის

სამთო ნაკვეთები საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის გადაეცემა მხოლოდ იმ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომელთა ამოცანას მათი წესდებების, დებულებების ან კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილებების შესაბამისად შეადგენს მათი საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება.

სამთო ნაკვეთი გადაეცემა საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას, როგორც წესი საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის მთელი საბადოს დამუშავებისათვის. ცალკეულ შემთხვევებში სამთო ნაკვეთი ერთი საბადოს ფარგლებში შეიძლება მიეზომოს რამდენიმე საწარმოს, ორგანიზაციას ან დაწესებულებას იმ პირობით, თუ ურთიერთშეთანხმებული იქნება სამთომომპოვებელი საწარმოების მშენებლობის პროექტები და სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმები.

მუხლი 25. სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა, აგრეთვე ტორფის საბადოთა და მიწისქვეშა მტკნარი წყლების საცდელ-სამრეწველო დამუშავების წესი

სასარგებლო წიაღისეულის საბადოს ან მისი ნაწილის საცდელ-სამრეწველო დამუშავება, აგრეთვე ტორფის საბადოთა და მიწისქვეშა მტკნარი წყლების დამუშავება ხორციელდება სამთო ნაკვეთის მიუზომლად, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 26. საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მოქალაქეთა უფლება ისარგებლონ წიაღით მათთვის მიზომილი მიწის ნაკვეთის ფარგლებში საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის, ტორფისა და მიწისქვეშა მტკნარი წყლების მოპოვების მიზნით

საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებასა და მოქალაქეს უფლება აქვს ისარგებლოს წიაღით მისთვის მიზომილი მიწის ნაკვეთის ფარგლებში იმ მიზნით, რომ თავისი სამეურნეო და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის მოიპოვოს საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეული, ტორფი და მიწისქვეშა მტკნარი წყლები, სამთო ნაკვეთის მიუზომლად. საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის და ტორფის მოპოვება წარმოებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული წესით, ხოლო მიწისქვეშა მტკნარი წყლებისა — საქართველოს სსრ წყლის კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 27. წიაღის გაცემა ისეთი მიზნისათვის, რომელიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან

მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის, ექსპლუატაციის და სხვა მიზნებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, წიაღი სარგებლობისათვის გაიცემა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით. წიაღის გაცემა მავნე ნივთიერებათა და წარმოების ნარჩენების ჩასამარხად, ჩამდინარე წყლების ჩასაშვებად შეიძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში და სპეციალური მოთხოვნებისა და პირობების დაცვით.

მუხლი 28. საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მოქალაქეთა უფლება ისარგებლონ წიაღით მათთვის მიზომილი მიწის ნაკვეთის ფარგლებში სამეურნეო და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის, რომელიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან

საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებასა და მოქალაქეს უფლება აქვს ისარგებლოს წიაღით მისთვის მიზომილი მიწის ნაკვეთის ფარგლებში თავისი სამეურნეო და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის, რომელიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 29. წიაღით სარგებლობის ვადები

წიაღით სარგებლობა შეიძლება იყოს უვადო ან დროებითი.

წიაღით სარგებლობა ჩაითვლება უვადოდ (მუდმივად), თუ წინასწარ არ არის დადგენილი სარგებლობის ვადა.

წიაღი დროებითი სარგებლობისათვის გაიცემა არა უმეტეს 10 წლის ვადით. საჭიროების შემთხვევაში დროებითი სარგებლობის ვადა შეიძლება გაგრძელდეს. წიაღით დროებითი სარგებლობის ვადას გაავრძელებს ორგანო, რომელმაც გასცა სამთო ნაკვეთი ან წიაღით სარგებლობის ნებართვა, წიაღით მოსარგებლის შუამდგომლობით.

საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის წიაღით სარგებლობის ვადა იანგარიშება სამთო მინაზომის სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოებში რეგისტრაციის დღიდან.

თავი III

წიაღით მოსარგებლეთა უფლებები და მოვალეობები

მუხლი 30. წიაღით დანიშნულებისამებრ სარგებლობა

წიაღით მოსარგებლეებს უფლება აქვთ და ვალდებული არიან წიაღით ისარგებლონ იმ მიზნების შესაბამისად, რომლებისთვისაც ის აქვთ გადაცემული.

მუხლი 31. წიაღით მოსარგებლეთა უფლებების შეზღუდვა

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში წიაღით მოსარგებლეთა უფლებები შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფო ინტერესების, აგრეთვე სხვა წიაღით მოსარგებლეთა ინტერესების შესაბამისად.

მუხლი 32. წიაღით მოსარგებლეთა მოვალეობები

წიაღით მოსარგებლენი ვალდებული არიან უზრუნველყონ:

1) წიაღის სრული გეოლოგიური შესწავლა, მისი რაციონალური, კომპლექსური გამოყენება და დაცვა;

2) მუშაკებისა და მოსახლეობისათვის წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოება;

3) ატმოსფერული ჰაერის, მიწის, ტყის, წყლისა და ბუნებრივი გარემოს სხვა ობიექტების, აგრეთვე შენობებისა და ნაგებობების დაცვა წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მავნე გავლენისაგან;

4) ნაკრძალების, ბუნებისა და კულტურის ძეგლების დაცვა წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მავნე გავლენისაგან.

5) წიაღით სარგებლობის შედეგად დარღვეული მიწის ნაკვეთის უსაფრთხო მდგომარეობაში, აგრეთვე სახალხო მეურნეობისათვის გამოსადეგ მდგომარეობაში მოყვანა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 33. წიაღით მოსარგებლეთა უფლებების დაცვა

წიაღით მოსარგებლეთა უფლებები დაცულია კანონით.

წიაღით მოსარგებლის დარღვეული უფლებები აღდგენილ უნდა იქნეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

თავი IV

წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტა

მუხლი 34. წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები

წიაღით სარგებლობის უფლება შეწყდება მთლიანად ან ნაწილობრივ იმ შემთხვევებში, თუ:

1) განვლო წიაღით სარგებლობის საჭიროებამ;

2) გავიდა წიაღით სარგებლობის დადგენილი ვადა;

3) წარმოიშვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის წიაღის ნაკვეთის ჩამორთმევის აუცილებლობა;

4) მოხდა იმ საწარმოს, ორგანიზაციის ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესებულების ლიკვიდაცია, რომელსაც წიაღი გადაცემული ჰქონდა სარგებლობისათვის.

5) წარმოიშვა აშკარა საფრთხე მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის.

წიაღით სარგებლობის უფლება შეწყდეს, თუ მოსარგებლემ:

ორი წლის განმავლობაში არ დაიწყო წიაღით სარგებლობა;

წიაღი გამოიყენა არა იმ მიზნით, რისთვისაც ის იყო გაცემული;

არ ასრულებს ამ კოდექსის 32-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

დაარღვია წიაღით სარგებლობისა და მისი დაცვის სხვა წესები.

საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას და მოქალაქეს შეიძლება ჩამოერთვას მისთვის მიზომილ მიწის ნაკვეთზე საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის, ტორფისა და მიწისქვეშა მტკნარი წყლების მოპოვების უფლება, თუ დაარღვია მოპოვების წესი და პირობები.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის სხვა საფუძველიც.

მუხლი 35. წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის წესი

ამ კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის 1-ლი, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით და მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში წიაღით სარგებლობის უფლებას წყვეტენ შესაბამისი ორგანოები გაცემული სამთო ნაკვეთის მიზომვის აქტის ან ნებართვის გაუქმების გზით.

საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს მათთვის მიზომილი მიწის ნაკვეთების ფარგლებში საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის და ტორფის მოპოვების უფლებას ჩამოართმევენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, ხოლო მიწისქვეშა მტკნარი წყლების მოპოვების უფლების ჩამორთმევა ხდება საქართველოს სსრ წყლის კოდექსით გათვალისწინებული წესით.

კარი II

წიაღის გეოლოგიური შესწავლა

მუხლი 36. ძირითადი მოთხოვნები წიაღის გეოლოგიური შესწავლისადმი

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ წიაღის გეოლოგიურ შესწავლას, მოვალენი არიან უზრუნველყონ:

1) წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოების რაციონალური, მეცნიერულად დასაბუთებული მიმართულება და ეფექტიანობა;

2) წიაღის გეოლოგიური აგებულების, დაზვერილი საბადოების სამთოტექნიკური, ჰიდროგეოლოგიური და დამუშავების სხვა პირობების, იმ მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლოატაციის პირობების სრული შესწავლა, რომლებიც დაკავშირებული არ არიან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან;

3) ძირითადი და მასთან ერთად განლაგებული სასარგებლო წიაღისეულისა და მასში შემავალი კომპონენტების მარაგის რაოდენობისა და ხარისხის განსაზღვრის უტყუარობა; სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა გეოლოგიურ-ეკონომიური შეფასება;

4) წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოება იმ მეთოდებითა და ხერხებით, რომელთა გამოყენებას არ მოჰყვება სასარგებლო წიაღისეულის გაუმართლებელი დანაკარგები და ხარისხის გაუარესება.

5) წიაღიდან ამოღებული მთის ქანებისა და სასარგებლო წიაღისეულის ისეთი განლაგება, რომელიც გამორიცხავს მათ მავნე გავლენის გარემოზე;

6) იმ სადაზვერვო სამთო გამონამუშევრებისა და ჭაბურღილების დაცვა, რომელთა გამოყენება შეიძლება საბადოების დამუშავებისას და სხვა სახალხო-სამეურნეო მიზნებისათვის და გამოუყენებელი გამონამუშევრებისა და ჭაბურღილების ლიკვიდაცია დადგენილი წესით;

7) გეოლოგიური და საშემსრულებლო-ტექნიკური დოკუმენტაციის, ქანებისა და მადნის ნიმუშების, კერნის, სასარგებლო წიაღისეულის სინჯების დუბლიკატების დაცვა, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს წიაღის შემდგომი შესწავლის, სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დაზვერვისა და დამუშავების დროს, აგრეთვე წიაღით იმ მიზნისათვის სარგებლობისას, რომელიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან.

მუხლი 37. წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა სახელმწიფო რეგისტრაცია და სახელმწიფო აღრიცხვა

წიაღის შესწავლის შედეგების განზოგადებისა და მაქსიმალური გამოყენების, აგრეთვე აღნიშნულ სამუშაოთა დუბლირების თავიდან აცილების მიზნით წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოები ექვემდებარება სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფო რეგისტრაციას და სახელმწიფო აღრიცხვას.

წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა სახელმწიფო რეგისტრაცია და სახელმწიფო აღრიცხვა წარმოებს სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკრძალულია წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოება, თუ არ მოხდა მათი სახელმწიფო რეგისტრაცია.

მუხლი 38. მინერალური ნედლეულის კონდიციები

საბადოების სამრეწველო ღირებულების განსაზღვრისა და მათში სასარგებლო წიაღისეულის მარაგის გამოანგარიშებისათვის თითოეული საბადოს მიხედვით, წესდება მინერალური ნედლეულის კონდიციები, რომლებიც სასარგებლო წიაღისეულის ხარისხის და რაოდენობის, საბადოს დამუშავების სამთოგეოლოგიური და სხვა პირობებისადმი ეკონომიურად დასაბუთებულ მოთხოვნათა ერთობლიობას წარმოადგენენ.

მინერალური ნედლეულის კონდიციები შემუშავდება ძირითადი და მასთან ერთად განლაგებული სასარგებლო წიაღისეულის, აგრეთვე მასში შემავალი ძვირფასი კომპონენტების გამოყენების გათვალისწინებით და დამტკიცდება სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 39. სასარგებლო წიაღისეულის გამოკვლეულ საბადოთა გადაცემა სამრეწველო ათვისებისათვის

გამოკვლეული საბადოები ან მათი უბნები, რომელთა მიხედვით დამტკიცებულია სასარგებლო წიაღისეულის მარაგი, სამრეწველო ათვისებისათვის გადაეცემათ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებას.

მუხლი 40. სასარგებლო წიაღისეულის გამოკვლეულ საბადოთა სამრეწველო ათვისებისათვის გადაცემის წესი

სამრეწველო ათვისებისათვის სასარგებლო წიაღისეულის გამოკვლეული საბადოების (საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა გარდა) გადაცემის წესს ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

მუხლი 41. საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის გამოკვლეულ საბადოთა სამრეწველო ათვისებისათვის გადაცემის წესი

სამრეწველო ათვისებისათვის საყოველთაოდ გავრცელებული წიაღისეულის გამოკვლეული საბადოების გადაცემის წესს ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუხლი 42. სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა პირველადმომჩენნი

პირები, რომლებიც აღმოაჩენენ სამრეწველო ღირებულების წინათ უცნობ საბადოს, აგრეთვე გამოავლენენ სასარგებლო წიაღისეულის დამატებით მარაგს ან წინათ ცნობილ საბადოში ახალ მინერალურ ნედლეულს, რაც არსებითად ზრდის მის სამრეწველო ღირებულებას, ჩაითვლებიან პირველადმომჩენებად.

მუხლი 43. პირველადმომჩენთა უფლებები

პირველადმომჩენთ აქვთ გასამრჯელოს მიღების უფლება.

პირველადმომჩენთა უფლებებსა და მათთვის გასამრჯელოს გადახდის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

კარი III

სამთომომპოვებელ საწარმოთა, აგრეთვე იმ მიწისქვეშა ნაგებობათა დაპროექტების თავისებურებანი, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან

მუხლი 44. სამთომომპოვებელ საწარმოთა, აგრეთვე იმ მიწისქვეშა ნაგებობათა დაპროექტების თავისებურებანი, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან

სამთომომპოვებელ საწარმოთა და აგრეთვე მიწისქვეშა იმ ნაგებობათა დაპროექტება, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, წარმოებს სავარაუდო მშენებლობის უბანზე წიაღის გეოლოგიური და სხვა შესწავლის საფუძველზე, ეკონომიური რაიონის კომპლექსური განვითარების გათვალისწინებით.

სამთომომპოვებელ საწარმოთა დაპროექტება წარმოებს მხოლოდ სასარგებლო წიაღისეულის მარაგის დამტკიცების და საბადოს სამრეწველო ათვისებისათვის გადაცემის შემდეგ. გამონაკლის შემთხვევებში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვით, სამთომომპოვებელ საწარმოთა დაპროექტება შეიძლება სასარგებლო წიაღისეულის მარაგის დამტკიცებამდეც.

სამთომომპოვებელი საწარმოების ან იმ მიწისქვეშა ნაგებობების განლაგების ადგილებს, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპროექტო სამუშაოთა დაწყებამდე უთანხმებენ მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოებს, სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოებსა და სხვა დაინტერესებულ ორგანოებს.

მუხლი 45. ძირითადი მოთხოვნები სამთომომპოვებელ საწარმოთა, აგრეთვე იმ მიწისქვეშა ნაგებობათა დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემისადმი, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან

სამთომომპოვებელ საწარმოთა პროექტებში გათვალისწინებული უნდა იყოს:

1) სასარგებლო წიაღისეულის საბადოებში სამთომომპოვებელ საწარმოთა მიწისქვეშა და მიწისზედა ნაგებობათა ისეთი განლაგება, რაც უზრუნველყოფს სასარგებლო წიაღისეულის მარაგის ყველაზე რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებას;

2) სასარგებლო წიაღისეულის საბადოების გადახსნის ხერხები და მათი დამუშავების სისტემები და მინერალური ნედლეულის გადამუშავების (მომზადების) ტექნოლოგიური სქემები, რომლებიც უზრუნველყოფენ წიაღიდან ძირითადი და მასთან ერთად განლაგებული სასარგებლო წიაღისეულის ყველაზე სრულ, კომპლექსურ და ეკონომიურად მიზანშეწონილ ამოღებას, აგრეთვე მათში შემავალი კომპონენტების გამოყენებას, რომლებსაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვთ;

3) სასარგებლო წიაღისეულის საბადოების დამუშავების დროს გადახსნილი ქანების რაციონალური გამოყენება;

4) გზადაგზა მოპოვებული დროებით გამოუყენებელი სასარგებლო წიაღისეულის, აგრეთვე სასარგებლო კომპონენტების შემცველი წარმოების ნარჩენების დაწყობა და შენახვა;

5) სამთომომპოვებელ საწარმოთა მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში გადახსნილი წიაღის გეოლოგიური შესწავლა, *გეოლოგიური და მარშეიდერული დოკუმენტაციის შედგენა;*

6) მოსახლეობის უსაფრთხოების, წიაღისა და ბუნებრივი გარემოს სხვა ობიექტების, შენობებისა და ნაგებობების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

სამთომომპოვებელ საწარმოთა დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნეს აგრეთვე ამ კოდექსის 30-ე — 32-ე მუხლებში აღნიშნული მოთხოვნების შესრულება.

იმ მიწისქვეშა ნაგებობათა დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის დროს, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, უნდა შესრულდეს ამ მუხლის მე-3 — მე-6 პუნქტებში და შესაბამისად ამ კოდექსის 32-ე მუხლის 1-5-ე პუნქტებში აღნიშნული მოთხოვნები.

მუხლი 46. სამთომომპოვებელ საწარმოთა, აგრეთვე მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და საექსპლოატაციად გადაცემის აკრძალვის პირობები

სამთომომპოვებელ საწარმოთა, აგრეთვე იმ მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობა, რეკონსტრუქცია და საექსპლოატაციოდ გადაცემა, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან აკრძალულია, თუ მათი დაპროექტების დროს დაცული არ იყო ამ კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები.

კარი IV

წიაღით სარგებლობა სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის და იმ მიზნით, რომელიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან

მუხლი 47. სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების წესი

სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავება წარმოებს სამთომომპოვებელ საწარმოთა დამტკიცებული პროექტების, სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმების, ნავთობის, გაზის საბადოების და მიწისქვეშა წყლების დამუშავების პროექტებისა და სქემების და ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესაბამისად.

სამთომომპოვებელ საწარმოთა ტექნიკური ექსპლოატაციის წესებს, ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავების წესებს და სამთო სამუშაოების განვითარების გეგმებს ამ*ტკიცებენ შესაბამისი ორგანოები სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოებთან შე*თანხმებით.

მუხლი 48. ძირითადი მოთხოვნები სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისადმი

სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

1) როგორც ძირითადი, ისე მასთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

განლაგებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ყველაზე რაციონალური, ეფექტიანი მეთოდების გამოყენება და მის შემადგენლობაში შემავალი სამრეწველო მნიშვნელობის კომპონენტების ამოღება, სასარგებლო წიაღისეულის ზენორმატიული დანაკარგების და ზენორმატიული გაღარიბების, აგრეთვე დაუშვებლობა საბადოთა მდიდარი ნაკვეთების შერჩევითი დამუშავებისა, რასაც სასარგებლო წიაღისეულის საბალანსო მარაგის დაუბრუნებელი დანაკარგები მოსდევს;

2) სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა ხელახალი დაზვერვისა და სხვა გეოლოგიურ სამუშაოთა განხორციელება, მარკშეიდერულ სამუშაოთა შესრულება, აგრეთვე გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოება;

3) სასარგებლო წიაღისეულის მარაგის მდგომარეობისა და მოძრაობის დანაკარგებისა და გაღარიბების აღრიცხვა;

4) სამთო სამუშაოთა წარმოების შედეგად სასარგებლო წიაღისეულის დასამუშავებელი და მეზობელ საბადოთა გაფუჭების დაუშვებლობა, აგრეთვე წიაღში დაკონსერვებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგის შენარჩუნება;

5) გზადაგზა მოპოვებული დროებით გამოუყენებელი სასარგებლო წიაღისეულის, აგრეთვე სასარგებლო კომპონენტების შემცველი წარმოების ნარჩენების შენახვა და აღრიცხვა;

6) გადახსნილი ქანებისა და წარმოების ნარჩენების რაციონალური გამოყენება, აგრეთვე მათი სწორი განლაგება ;

7) მუშაკთა და მოსახლეობის უსაფრთხოება, წიაღისა და ბუნებრივი გარემოს სხვა ობიექტების, შენობებისა და ნაგებობების დაცვა; ავარიების ლიკვიდაციის გეგმების შემუშავება-დამტკიცება.

მუხლი 49. დამატებითი მოთხოვნები ტორფის საბადოთა დამუშავებისადმი

ტორფის საბადოთა დამუშავება უნდა წარმოებდეს, როგორც წესი, კომპლექსურად სოფლის მეურნეობის საჭიროებებისათვის, ტორფის მექანიკური, ქიმიური და ბიოქიმიური გადამუშავების პროდუქტების, აგრეთვე საწვავის მისაღებად.

ტორფის მცირე საბადოთა დამუშავება უნდა წარმოებდეს პირველ რიგში მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა და სოფლის მეურნეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ტორფის საბადოთა დამუშავების დროს, ამ კოდექსის 48-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვის გარდა, დასამუშავებელ ფართობებზე უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ფსკერზედა (დაცვითი) ფენის შენარჩუნება ნორმატივების შესაბამისად.

ტორფის საბადოთა დამუშავება უნდა წარმოებდეს ისეთი ხერხებით, რომლებიც უზრუნველყოფენ დამუშავებული ფართობების გამოყენების შესაძლებლობას სოფლის, ტყის ან თევზის მეურნეობაში. აკრძალულია ტორფის მოპოვება კარიერული ხერხით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წარმოებს ტორფის ნაჭრებად ამოღება მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის.

მუხლი 50. სამთომომპოვებელ საწარმოთა ლიკვიდაცია და კონსერვაცია

სასარგებლო წიაღისეულის მარაგის დამუშავების დამთავრების შემდეგ, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როცა ტექნიკურ-ეკონომიურ გაანგარიშებათა და სხვა დასაბუთებათა გამო საბადოს ან მისი ნაწილის შემდგომი დამუშავება მიზანშეწონილი აღარ არის ან შეუძლებელია, საბადოს დამმუშავებელი სამთომომპოვებელი საწარმო, ან ამ საწარმოს შესაბამისი ნაწილი უნდა გაუქმდეს, ანდა მოხდეს მისი კონსერვაცია.

სამთომომპოვებელი საწარმოს სრული ან ნაწილობრივი ლიკვიდაციის ან კონსერვაციის დროს სამთოგამონამუშევრები და ჭაბურღილები მოყვანილ უნდა იქნეს ისეთ მდგომარეობაში, რომ უზრუნველყოფდეს მოსახლეობის უსაფრთხოებას, ბუნებრივი გარემოს, შენობათა და ნაგებობათა დაცვას, ხოლო კონსერვაციის დროს კი — საბადოს, სამთოგამონამუშევრებისა და ჭაბურღილების დაცვას კონსერვაციის მთელ პერიოდში, სამთომომპოვებელი საწარმოს ლიკვიდაციის დროს უნდა გადაწყდეს აგრეთვე საკითხი, შეიძლება თუ არა სამთოგამონამუშევრებისა და ჭაბურღილების გამოყენება სახალხო მეურნეობის სხვა მიზნებისათვის.

სამთომომპოვებელი საწარმოს ან მისი ნაწილის ლიკვიდაციისა და კონსერვაციის დროს მისი გეოლოგიური და მარკშეიდერული დოკუმენტაცია ივსება სამთო სამუშაოთა დამთავრების მომენტისათვის და დადგენილი წესით ბარდება შესანახად.

სამთომომპოვებელ საწარმოებში, რომლებიც სალიკვიდაციო ან საკონსერვაციო საწარმოებს ემიჯნება, უნდა განხორციელდეს სამთო სამუშაოთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისიძებები.

სამთომომპოვებელი საწარმოს ან მისი ნაწილის ლიკვიდაცია და კონსერვაცია ხდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოებთან და სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმებით.

მუხლი 51. მოხალისეთა მიერ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება

სასარგებლო წიაღისეულის საბადოებში ან მათს უბნებზე, რომელთა დამუშავება სამთომომპოვებელ საწარმოთა მიერ მიზანშეუწონელია, დაშვებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება მოხალისეთა პირადი შრომით.

მოხალისეთა არტელებს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება შეუძლიათ სამთომომპოვებელ საწარმოებთან დადებული ხელშეკრულებით მათთვის გამოყოფილი სამთო ნაკვეთების ფარგლებში, ხოლო ცალკეულ მოქალაქეებს — სამთომომპოვებელი საწარმოების მიერ გაცემული ნებართვის მოწმობით. კონტროლი მოხალისეთა მიერ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისადმი ეკისრებათ სამთომომპოვებელ საწარმოებს.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად იმ სასარგებლო წიაღისეულის ნუსხა, რომლის მოპოვება ნებადართული აქვთ მოხალისეებს და მოხალისეთა არტელის ტიპობრივი წესდება მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 52. წიაღის იმ მიზნით გამოყენების წესი, რომელიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან

წიაღის გამოყენება მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის და სხვა მიზნებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, წარმოებს სპეციალური პროექტებით, რომლებიც მტკიცდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროექტებით გათვალისწინებული უნდა იყოს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისად ჩამდინარე წყლების, მავნე ნივთიერებების, წარმოების ნარჩენებისა და სხვა ნივთიერებათა და მასალათა გაუვნებლობას ან ზუსტად დადგენილ საზღვრებში მათს ლოკალიზაციას და მთის გამონამუშევრებში, დედამიწის ზედაპირზე და წყლის ობიექტებში მათი შეღწევის თავიდან აცილებას.

ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევებში წიაღში ჩამდინარე წყლების ჩაშვება, მავნე ნივთიერებებისა და წარმოების ნარჩენების ჩამარხვა, ნივთიერებებისა და მასალების მიწისქვეშა შენახვა უნდა შეზღუდონ, შეაჩერონ ან აკრძალონ სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოებმა ან ამისათვის სპეციალურად უფლებამოსილმა სხვა სახელმწიფო ორგანოებმა.

კარი V

წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხოება

მუხლი 53. წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების უზრუნველყოფა

სამთომომპოვებელი საწარმოების, აგრეთვე იმ მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის დროს, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, ასევე გეოლოგიურ-სადაზვერვო და წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოების შესრულებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მუშაკებისა და მოსახლეობის უსაფრთხოება.

წიაღით მოსარგებლე საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში პასუხისმგებლობა უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვის უზრუნველყოფისათვის ეკისრებათ მათს ხელმძღვანელებს; ისინი განსაზღვრავენ იმ პირთა წრეს, რომლებიც კონტროლს უწევენ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სტრუქტურულ ქვედანაყოფებში უსაფრთხოების აღნიშნული წესებისა და ნორმების დაცვას.

მუხლი 54. წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების უზრუნველყოფის ძირითადი მოთხოვნები

წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა წარმოების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

1) მუშაკთა მიერ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების წესებისა და ნორმების შესწავლა და შესრულება, აგრეთვე ავარიების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელება;

2) სამუშაოთა შეჩერება მუშაკთა სიცოცხლისათვის საშიშროების შექმნის შემთხვევაში, ადამიანთა გამოყვანა უსაფრთხო ადგილზე და საფრთხის ლიკვიდაციისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელება;

3) მანქანების, მოწყობილობისა და მასა-

ლების გამოყენება, რომლებიც აკმაყოფილებენ უსაფრთხოების წესებისა და ნორმების და სანიტარული ნორმების მოთხოვნებს;

4) ფეთქებად ნივთიერებათა და ასაფეთქებელ საშუალებათა აღრიცხვა, სათანადო შენახვა და ხარჯვა, აგრეთვე მათი სწორი და უსაფრთხო გამოყენება;

5) უსაფრთხოების წესებით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაციის, მათ შორის სამთო სამუშაოთა გეგმების დროულად შევსება მონაცემებით, რომლებიც აზუსტებენ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების ზონის საზღვრებს და ავარიების ლიკვიდაციის გეგმებს.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად დისციპლინის წესდებას განსაკუთრებით საშიშ მიწისქვეშა პირობებში მომუშავე პირთათვის ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

მუხლი 55. სამთო სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების საგანგებო მოთხოვნები

სამინისტროები, უწყებები და მათი დაქვემდებარებული საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც სამთო სამუშაოებს აწარმოებენ, მოვალენი არიან მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით შეიმუშაონ და განახორციელონ სპეციალური კომპლექსური ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებენ მაღაროს ატმოსფეროს შედგენილობის გაუმჯობესებას, სამთო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიისა და კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სრულყოფას და პროფესიული დაავადებებისა და საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან აცილებას.

სამთო სამუშაოებზე დასაქმებული მუშებისა და მოსამსახურეების ნორმალური ცხოველმოქმედებისა და უსაფრთხოების ყველაზე ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფის მიზნით სამინისტროები და უწყებები, აგრეთვე სხვა დაინტერესებული ორგანოები მოვალენი არიან სისტემატურად სრულყოფდნენ უსაფრთხოების წესებსა და ნორმებს, სანიტარიულ წესებსა და ნორმებს.

აკრძალულია სამთო სამუშაოთა წარმოება, თუ მოქმედი სამთოგამონამუშევრების მაღაროს ატმოსფეროში ჟანგბადის, მავნე და ფეთქებადი გაზებისა და მტვრის შემცველობა, აგრეთვე ჰაერის ტემპერატურა არ შეესაბამება უსაფრთხოების წესებისა და ნორმების, სანიტარული წესებისა და ნორმების მოთხოვნებს.

სამთო და ასაფეთქებელ სამუშაოთა ხელმძღვანელობისათვის დაიშვებიან პირები, რომლებსაც აქვთ სათანადო სპეციალური განათლება. ასაფეთქებელ სამუშაოებზე დაიშვებიან მხოლოდ ის პირები, რომლებსაც აქვთ ასეთ სამუშაოთა წარმოების უფლება.

მუხლი 56. სამთო სამუშაოებზე დასაქმებულ პირთა მოვალეობები უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვის საქმეში

სამთო სამუშაოებზე დასაქმებული პირები მოვალენი არიან:

1) შეასრულონ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების წესებისა და ნორმების მოთხოვნები;

2) სისტემატურად შეამოწმონ სამუშაო ადგილები და მოწყობილობები და მიიღონ ზომები უსაფრთხოების წესებისა და ნორმების გამოვლენილ დარღვევათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრისათვის;

3) სამუშაოებზე ყოფნისას ეცვათ სპეციალური ტანსაცმელი და ისარგებლონ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;

4) სამუშაოთა წარმოებისას არ გამოიყენონ ხერხები, რომლებმაც შეიძლება ავარიის ან უბედური შემთხვევის საფრთხე შექმნან;

5) ავარიის საშიშროების შექმნისთანავე შეწყვიტონ სამუშაოები, დაუყოვნებლივ აცნობონ ეს სამუშაოთა ხელმძღვანელს და იმოქმედონ ზუსტად ავარიის ლიკვიდაციის გეგმის შესაბამისად.

მუხლი 57. სამთო-მაშველი სამსახური

საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც სამთო სამუშაოებს აწარმოებენ, დადგენილი წესით ემსახურებიან სამთო-მაშველი ნაწილები, ხოლო საბურღ სამუშაოთა მწარმოებლებს ნავთობისა და გაზის საბადოების დაზვერვა-დამუშავების დროს — გაზისა და ნავთობის ღია შადრევნების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის სამსახურები. ამ ნაწილებისა და სამსახურების დისლოკაციას განსაზღვრავენ შესაბამისი სამინისტროები და უწყებები სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად დებულებები სამთო-მაშველი ნაწილებისა და გაზისა და ნავთობისა ღია შადრევნების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის სამსახურის შესახებ მტკიცდება სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები. მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, მოვალენი არიან სამთო-მომპოვებელ საწარმოებში ავარიების დროს გამოყონ სატრანსპორტო საშუალებები, მასალები და მოწყობილობები, კავშირგაბმულობის საშუალებები და მედიკამენტები და გაუწიონ სხვა სახის დახმარება ავარიის ლიკვიდაციაში.

კარი V

წიაღის დაცვა

მუხლი 58. ძირითადი მოთხოვნები წიაღის დაცვის დარგში

სსრ კავშირში მთელი წიაღი დაცული უნდა იქნეს.

წიაღის დაცვის დარგში ძირითადი მოთხოვნებია:

წიაღის სრული და კომპლექსური გეოლოგიური შესწავლის უზრუნველყოფა;

სარგებლობისათვის წიაღის გაცემის დადგენილი წესის შესრულება და წიაღით თვითნებური სარგებლობის დაუშვებლობა;

წიაღიდან ძირითადი და მასთან ერთად განლაგებული სასარგებლო წიაღისეულისა და მათში შემავალი კომპონენტების მარაგის რაც შეიძლება სრულად ამოღება და რაციონალურად გამოყენება;

სასარგებლო წიაღისეულთა მარაგის შენარჩუნებაზე წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მავნე გავლენის დაუშვებლობა;

სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დაცვა დატბორვისაგან, გაწყლიერებისაგან, ხანძრისა და სხვა ფაქტორებისაგან, რომლებიც აუარესებენ სასარგებლო წიაღისეულის ხარისხსა და საბადოს სამრეწველო ღირებულებას ან ართულებენ მის დამუშავებას;

სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ფართობების დაუსაბუთებელი და თვითნებური განაშენიანების აღკვეთა და ამ ფართობების სხვა მიზნებისათვის გამოყენების დადგენილი წესის შესრულება;

ექსპლუატაციასა და კონსერვაციაში მყოფი სამთო გამონამუშევრებისა და ჭაბურღილების, აგრეთვე მიწისქვეშა ნაგებობების დაცულობა წიაღის გამოყენებასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მავნე გავლენის თავიდან აცილება;

წიაღის გაჭუჭყიანების თავიდან აცილება ნავთობის, გაზის და სხვა ნივთიერებებისა და მასალების მიწისქვეშა შენახვის, მავნე ნივთიერებებისა და წარმოების ნარჩენების ჩამარხვის, ჩამდინარე წყლების ჩაშვების დროს.

მუხლი 59. წიაღით სარგებლობის შეზღუდვა, შეჩერება ან აკრძალვა

ამ კოდექსის 58-ე მუხლის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოებს ან სხვა ამისათვის სპეციალურად უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს შეუძლიათ წიაღით სარგებლობა შეზღუდონ, შეაჩერონ ან აკრძალონ სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 60. წიაღით მოსარგებლეთა წახალისების ღონისძიებანი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლების, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს წიაღით მოსარგებლეთა მატერიალური და მორალური წახალისების ღონისძიებანი, რომლებიც სტიმულს მისცემენ წიაღით სარგებლობის გაუმჯობესებისა და მისი დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა განხორციელებას.

მუხლი 61. სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ფართობების განაშენიანების პირობები

აკრძალულია დასახლებული პუნქტების, სამრეწველო კომპლექსებისა და სახალხო მეურნეობის სხვა ობიექტების დაპროექტება და მშენებლობა შესაბამისი ტერიტორიული გეოლოგიური ორგანიზაციისაგან მონაცემების მიღებამდე იმის შესახებ, რომ მომავალი განაშენიანების უბანში არ არის სასარგებლო წიაღისეული.

გამონაკლის შემთხვევაში სასარგებლო წიაღისეულის (გარდა საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულისა) განლაგების ფართობების განაშენიანება, აგრეთვე მათი განლაგების ადგილებში მიწისქვეშა ნაგებობების მოთავსება, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით. ამასთან გათვალისწინებულ და განხორციელებულ უნდა იქნეს სამშენებლო და სხვა ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ წიაღიდან სასარგებლო წიაღისეულის ამოღების შესაძლებლობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 62. საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ფართობების განაშენიანების წესი

საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ფართობების განაშენიანება, აგრეთვე მათი განლაგების ადგილებში ისეთი მიწისქვეშა ნაგებობების მოთავსება, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, დაიშვებამ ხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 63. განსაკუთრებული მეცნიერული ან კულტურული მნიშვნელობის მქონე წიაღის უბნების დაცვა

იშვიათი გეოლოგიური გაშიშვლებები, მინერალოგიური წარმონაქმნები. პალეონტოლოგიური ობიექტები და წიაღის სხვა უბნები, რომლებსაც განსაკუთრებული მეცნიერული ან კულტურული მნიშვნელობა აქვთ, შეიძლება დადგენილი წესით ნაკრძალებად ან ბუნებისა თუ კულტურის ძეგლებად გამოცხადდეს. ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც ხელს უშლის აღნიშნული ნაკრძალების და ძეგლების დაცვას, აკრძალულია.

თუ წიაღით სარგებლობის დროს აღმოჩნდა იშვიათი გეოლოგიური გაშიშვლებები და მინერალოგიური წარმონაქმნები, მეტეორიტები, პალეონტოლოგიური, არქეოლოგიური და სხვა ობიექტები, რომლებიც საინტერესოა მეცნიერებისა და კულტურისათვის, წიაღით მოსარგებლენი მოვალენი არიან შეაჩერონ სამუშაოები შესაბამის უბანზე და ეს აცნობონ დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანოებს.

მუხლი 64. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა მონაწილეობა წიაღის დაცვისა და მისი რაციონალურად გამოყენებისღონისძიებათა განხორციელებაში

პროფესიული კავშირები, ახალგაზრდობის ორგანიზაციები, ბუნების დაცვის საზოგადოება, სამეცნიერო საზოგადოებები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე მოქალაქეები ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანოებს წიაღის დაცვისა და მისი რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ საქმიანობაში, რომლის მიზანია წიაღის დაცვისა და მისი რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფა, მათი წესდებების (დებულებების), სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

სახელმწიფო ორგანოებს წიაღის დაცვისა და მისი რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში ხელს უწყობენ მოქალაქეები აუცილებელ სამუშაოებში უშუალო მონაწილეობით, წიაღის დაცვისა და მისი რაციონალურად გამოყენების გაუმჯობესების შესახებ წინადადებების შეტანით და წიაღის დაცვისა და გამოყენების წესების მათთვის ცნობილ დარღვევათა შეტყობინებით.

სახელმწიფო ორგანოები მოვალენი არიან ყოველმხრივ გაითვალისწინონ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა წინადადებები წიღის დაცვისა და მისი რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა განხორციელების დროს.

კარი VII

სასარგებლო წიაღისეულის მარაგისა და საბადოების, აგრეთვე ისეთი სარგებლობათვის გადაცემული წიაღის უბნების სახელმწიფო აღრიცხვა, რომელიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან

მუხლი 65. სასარგებლო წიაღისეულის მარაგისა და საბადოების სახელმწიფო აღრიცხვა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სასარგებლო წიაღისეულის მარაგი და საბადოები, აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულის გამოვლინება ექვემდებარება სახელმწიფო აღრიცხვას სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემებით.

წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოების დაგეგმვისა და სამთომომპოვებელი მრეწველობის საწარმოების განლაგების უზრუნველყოფის, სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა რაციონალური, კომპლექსური გამოყენების მიზნით, აგრეთვე სხვა სახალხოსამეურნეო ამოცანათა გადასაწყვეტად აწარმოებენ სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა სახელმწიფო კადასტრს და ადგენენ სასარგებლო წიაღისეულის მარაგის სახელმწიფო ბალანსებს.

მუხლი 66. სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა სახელმწიფო კადასტრი

სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა სახელმწიფო კადასტრი უნდა შეიცავდეს ცნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებს თითოეული საბადოს შესახებ, რომლებიც ახასიათებს ძირითადი და მასთან ერთად განლაგებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგის და მასში შემავალი კომპონენტების რაოდენობასა და ხარისხს, საბადოს დამუშავების სამთო-ტექნიკურ, ჰიდროგეოლოგიურ და სხვა პირობებს და იძლევა მის გეოლოგიურ-ეკონომიურ შეფასებას. კადასტრი უნდა შეიცავდეს აგრეთვე ცნობებს სასარგებლო წიაღისეულის თითოეული გამოვლინების შესახებ.

მუხლი 67. სასარგებლო წიაღისეულის მარაგის სახელმწიფო ბალანსები

სასარგებლო წიაღისეულის მარაგის სახელმწიფო ბალანსები უნდა შეიცავდეს ცნობებს სამრეწველო მნიშვნელობის მქონე საბადოებში სასარგებლო წიაღისეულის მარაგის რაოდენობის, ხარისხისა და შესწავლის დონის, მისი განლაგების, სამრეწველო ათვისების დონის, მოპოვების, დანაკარგებისა და სასარგებლო წიაღისეულის გამოკვლეული მარაგით მრეწველობის უზრუნველყოფის შესახებ.

მუხლი 68. სასარგებლო წიაღისეულის მარაგის დამტკიცება

გამოკვლეული საბადოების სასარგებლო წიაღისეულის მარაგს, აგრეთვე საბადოთა დამუშავების პროცესში დამატებით გამოკვლეული სასარგებლო წიაღისეულის მარაგს ამტკიცებენ ამისათვის სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მარაგის დამტკიცებისას ირკვევა სასარგებლო წიაღისეულის გამოკვლეული მარაგის უტყუარობა, რაოდენობა და ხარისხი, საბადოს განლაგების პირობები, შესწავლის დონე, სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა და სამრეწველო ათვისებისათვის მზადყოფნა.

მუხლი 69. სასარგებლო წიაღისეულის საბალანსო მარაგის ჩამოწერა

მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული, აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულის მარაგი, რომელმაც დაკარგა სამრეწველო მნიშვნელობა, გაიბნა მოპოვების პროცესში, არ დადასტურდა შემდგომი გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოებისა ან საბადოს დამუშავების დროს, უნდა ჩამოიწეროს სასარგებლო წიაღისეულის სახელმწიფო ბალანსიდან სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამთომომპოვებელი საწარმოს აღრიცხვიდან იმ სასარგებლო წიაღისეულის საბალანსო მარაგის ჩამოწერა, რომელმაც დაკარგა სამრეწველო მნიშვნელობა, გაიბნა მოპოვების პროცესში ან არ დადასტურდა შემდგომი გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოების ჩატარებისას ან საბადოს დამუშავების დროს, წარმოებს სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით.

მუხლი 70. ისეთი სარგებლობისათვის გადაცემული წიაღის უბნების სახელმწიფო აღრიცხვა, რომელიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან

წიაღის უბნები, რომლებიც გადაცემულია მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის და სხვა ისეთი მიზნებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, ექვემდებარება სახელმწიფო აღრიცხვას სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემებით.

კარი VIII

ზედამხედველობა და კონტროლი წიაღის გამოყენებისა და დაცვისადმი და წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოებისადმი

მუხლი 71. წიაღის გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის ამოცანები

წიაღის გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის ამოცანაა უზრუნველყოს ყველა სამინისტროს, უწყების, საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულებისა და მოქალაქის მიერ წიაღით სარგებლობის დადგენილი წესის დაცვა, წიაღის დაცვის, წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების, მოსახლეობაზე, ბუნებრივ გარემოზე, შენობებსა და ნაგებობებზე მათი მავნე გავლენის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის მოვალეობათა შესრულება, სასარგებლო წიაღისეულის მარაგისა და საბადოების სახელმწიფო აღრიცხვის წარმოების წესების, აგრეთვე წიაღის კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესებისა და ნორმების დაცვა.

მუხლი 72. წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოებისადმი სახელმწიფო კონტროლის ამოცანები

წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოებისადმი სახელმწიფო კონტროლის ამოცანაა უზრუნველყოს გეოლოგიური აგეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მვის წარმოების, საძიებო, სადაზვერვო, ჰიდროგეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური, გეოფიზიკური, გეოქიმიური და წიაღის გეოლოგიური შესწავლის სხვა სამუშაოების წარმოების დადგენილი წესის დაცვა და ეფექტიანობა, რომლებსაც ასრულებენ საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, მათი საუწყებო დაქვემდებარების მიუხედავად.

მუხლი 73. ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლს წიაღის გამოყენებისა და დაცვისადმი და წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოებისადმი

წიაღის გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო ზედამხედველობას (სახელმწიფო სამთო ზედამხედველობას) და წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოებისადმი სახელმწიფო კონტროლს (სახელმწიფო გეოლოგიურ კონტროლს) ახორციელებენ ამისათვის სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოები და მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები წიაღის გამოყენებისა და დაცვის დარგში სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 74. წიაღის გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება

სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოები ამოწმებენ:

1) სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების სისწორეს და წიაღის დაცვის მოთხოვნათა შესრულებას;

2) სამთომომპოვებელ საწარმოთა მიერ სასარგებლო წიაღისეულის მარაგის აღრიცხვის დადგენილი წესის დაცვას, მისი ჩამოწერის სისწორეს და დროულობას;

3) წიაღით სარგებლობის დროს სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების წესებისა და ნორმების დაცვას;

4) იმ ღონისძიებათა განხორციელების სისწორესა და დროულობას, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის უსაფრთხოებას, ბუნებრივი გარემოს, შენობებისა და ნაგებობების, მოქმედი და დაკონსერვებულ სამთო გამონამუშევრებისა და ჭაბურღილების დაცვას წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მავნე გავლენისაგან;

5) სამთო გამონამუშევრებში, მიწის ზედაპირზე და წყლის ობიექტებში ნავთობის, გაზისა და მიწისქვეშა დასაცავად შენახულ სხვა ნივთიერებებისა და მასალების, წიაღში ჩაშვებული ჩამდინარე წყლების, წიაღში ჩამარხული მავნე ნივთიერებებისა და წარმოების ნარჩენების გაჟონვის თავიდან აცილების მოთხოვნათა დაცვას;

6) სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების დროს გეოლოგიურ და მარკშეიდერულ სამუშაოთა წარმოების წესების დაცვას.

სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოებს შეიძლება დაეკისროთ წიაღის გამოყენებისა და დაცვისადმი ზედამხედველობის სხვა ფუნქციებიც.

მუხლი 75. სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოების უფლებები

სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოებს უფლება აქვთ:

შეაჩერონ წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სამუშაოები იმ შემთხვევებში, თუ დარღვეულია სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების წესები და ნორმები და წიაღის დაცვის წესები;

შეწყვიტონ წიაღით თვითნებური სარგებლობა და სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ფართობზე თვითნებური მშენებლობა;

წიაღით მოსარგებლე საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს მისცენ შესრულებისათვის სავალდებულო მითითებები სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისა და წიაღის დაცვის წესებისა და ნორმების დარღვევების აღმოსაფხვრელად;

დადგენილი წესით გამოიძიონ წიაღით სარგებლობის დროს ავარიების და საწარმოო ტრავმატიზმის შემთხვევების გარემოებები და მიზეზები და გამოძიების შედეგების მიხედვით მიიღონ გადაწყვეტილებები, რომელთა შესრულება სავალდებულოა შესაბამის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებისათვის.

სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოებს შეიძლება მიენიჭოთ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისა და წიაღის დაცვის წესებისა და ნორმების დარღვევების აღკვეთისა და თავიდან აცილების სხვა უფლებებიც.

მუხლი 76. წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოებისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება

სახელმწიფო გეოლოგიური კონტროლის ორგანოები ამოწმებენ წიაღის გეოლგიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესწავლის სამუშაოთა მიმართულებას, მეთოდიკას, კომპლექსურობასა და ხარისხს.

მუხლი 77. სახელმწიფო გეოლოგიური კონტროლის ორგანოების უფლებები

სახელმწიფო გეოლოგიური კონტროლის ორგანოებს უფლება აქვთ:

მისცენ შესასრულებლად სავალდებულო მითითებები წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოების დროს ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ;

შეაჩერონ წიაღის გეოლოგიური შესწავლისათვის წარმოებული სამუშაოები, თუ ისინი არ შეესაბამება დამტკიცებულ პროექტებს ან ხორციელდება სახელმწიფო რეგისტრაციაში გაუტარებლად, აგრეთვე ამ სამუშაოთა წარმოების განმსაზღვრელი წესებისა და ნორმების დარღვევის შემთხვევაში.

სახელმწიფო გეოლოგიური კონტროლის ორგანოებს შეიძლება მიენიჭოთ წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოების წესებისა და ნორმების დარღვევათა აღკვეთისა და თავიდან აცილების სხვა უფლებებიც.

მუხლი 78. საუწყებო კონტროლი წიაღის გამოყენებასა და დაცვისადმი

წიაღით სარგებლობის დადგენილი წესის დაცვას, წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოებას, წიაღის დაცვის მოთხოვნათა შესრულებას, ძირითადი და მასთან ერთად განლაგებული სასარგებლო წიაღისეულისა და მასში შემავალი კომპონენტების სრული ამოღების უზრუნველყოფას, მათ შორის მინერალური ნედლეულის გამდიდრებისა და გადამუშავების დროს, წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების მოთხოვნათა შესრულებას, მოსახლეობის უსაფრთხოების, ბუნებრივი გარემოს, შენობებისა და ნაგებობების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებას, სასარგებლო წიაღისეულის მარაგისა და საბადოების აღრიცხვის წესების, აგრეთვე წიაღის კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესებისა და ნორმების დაცვას საუწყებო კონტროლს უწევენ ორგანოები, რომელთა გამგებლობაშია წიაღით მოსარგებლე საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები.

კონტროლს სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა სწორად გადამუშავებისადმი ახორციელებენ სამარკშეიდერო, გეოლოგიური და სხვა სამსახურები.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძველების შესაბამისად ტიპობრივ დებულებებს სამარკშეიდერო და გეოლოგიური სამსახურების შესახებ ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

კარი IX

წიაღით სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტის წესი

მუხლი 79. დავის გადაწყვეტის წესი

საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა შორის დავას წიაღით სარგებლობის საკითხებზე შესაბამისად წყვეტენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოები, სახელმწიფო გეოლოგიური კონტროლის ორგანოები და ამისათვის უფლებამოსილი სხვა სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირის კანონმდებლობით, ამ კოდექსით და საქართველოს სსრ სხვა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 80. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების კომპეტენცია წიაღით სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტისას

მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გამგებლობას განეკუთვნება საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულისა და ტორფის მოპოვებასთან დაკავშირებით საწარმოებსა, ორგანიზაციებსა, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს შორის წიაღით სარგებლობის საკითხებზე, აგრეთვე ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე წამოჭრილი დავის გადაწყვეტა.

დავას იმ მხარეთა შორის, რომლებიც იმყოფებიან ორ ან მეტ რაიონში (ქალაქში) სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე ან საქართველოს სსრ იმ ტერიტორიაზე, რომელიც არ შედის ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში, წყვეტს ერთ-ერთი რაიონის (ქალაქის) მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შესაბამისად სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით. დავას იმ მხარეთა შორის, რომელთაგან ერთი ავტონომიური ოლქის ან ავტონომიური რესპუბლიკის ტერი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორიაზე იმყოფება, ხოლო მეორე საქართველოს სსრ იმ ტერიტორიაზე, რომელიც არ შედის ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში, წყვეტს ერთ-ერთი რაიონის (ქალაქის) მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით.

მუხლი 81. სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოთა კომპეტენცია წიაღით სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტისას

სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოთა გამგებლობას განეკუთვნება საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის დავის გადაწყვეტა სასარგებლო წიაღეულის გარდა საყოველთაოდ გავრცელებული წიაღისეულისა) მოპოვებასთან დაკავშირებით წიაღით სარგებლობის საკითხებზე, აგრეთვე წიაღით იმ მიზნებით სარგებლობის საკითხებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან.

მუხლი 82. სახელმწიფო გეოლოგიური კონტროლის ორგანოების კომპეტენცია წიაღით სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტის საქმეში

სახელმწიფო გეოლოგიური კონტროლის ორგანოების გამგებლობას განეკუთვნება წიაღის გეოლოგიურ შესწავლასთან დაკავშირებით წიაღით სარგებლობის საკითხებზე საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დწესებულებებს შორის წამოჭრილი დავის გადაწყვეტა.

მუხლი 83. წიაღით სარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული დავის განხილვის წესი

წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული დავა განიხილება ერთ-ერთი მხარის განცხადებით ან იმ ორგანოს ინიციატივით, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს დავა.

დავის გადასაწყვეტად მასალების მომზადების მიზნით მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ საჭირო შემთხვევაში შექმნან კომისიები მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების დეპუტატებისაგან, დავაში მონაწილე საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წარმომადგენელთა, აგრეთვე წიაღის გამოყენებისა და დაცვის დარგის სპეციალისტებისაგან.

დავის განხილვის შედეგების გამო მიღებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილება, რომელიც გაითვალისწინებს მისი შესრულების წესს და წიაღით მოსარგებლის დარღვეული უფლების აღდგენის ღონისძიებებს.

მუხლი 84. წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული ქონებრივი დავის განხილვის წესი

წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული ქონებრივი დავის განხილვა ხდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კარი X

პასუხისმგებლობა წიაღის კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 85. წიაღის სახელმწიფო საკუთრების უფლების დამრღვევ გარიგებათა ბათილობა

გარიგებანი, რომლებიც აშკარა თუ ფარული ფორმით არღვევენ წიაღის სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ბათილია.

მუხლი 86. პასუხისმგებლობა წიაღის კანონმდებლობის დარღვევისათვის

იმ პირთ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით იმაში, რომ დადეს ამ კოდექსის 85-ე მუხლში აღნიშნული გარიგებები, აგრეთვე:

თვითნებურად გამოიყენეს წიაღი;

დაარღვიეს წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოების წესები და მოთხოვნები, რასაც მოჰყვა სასარგებლო წიაღისეულის გამოკვლეული მარაგისა ან სამთომომპოვებელ საწარმოთა, აგრეთვე იმ მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების მცდარი შეფასება, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან;

შერჩევით დაამუშავეს საბადოთა მდიდარი უბნები, რასაც მოჰყვა სასარგებლო წიაღისეულის საბალანსო მარაგის უსაფუძვლო დანაკარგები; დაუშვეს ზენორმატული დანაკარგები და ზენორმატული გაღარიბება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას, სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა გაფუჭება და სასარგებლო წიაღისეულის მარაგის რაციონალური გამოყენების მოთხოვნათა სხვა დარღვევები;

თვითნებურად გაანაშენიანეს სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ფართობები;

დაარღვიეს წიაღის სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების წესები და ნორმები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეასრულეს წიაღის დაცვის წესები, აგრეთვე წიაღის სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მავნე გავლენისაგან ბუნებრივი გარემოს, შენობებისა და ნაგებობების დაცვის მოთხოვნები;

მოსპეს ან დააზიანეს მიწისქვეშა წყლებზე დაკვირვების სარეჟიმო ჭაბურღილები, აგრეთვე მარკშეიდერული და გეოდეზიური ნიშნები;

დაკარგეს მარკშეიდერული ან გეოლოგიური დოკუმენტაცია, აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულის სინჯების დუბლიკატები და კერნი, რომლებიც აუცილებელია წიაღის შემდგომი გეოლოგიური შესწავლისა და საბადოს დამუშავების დროს;

არ შეასრულეს ლიკვიდირებული ან დაკონსერვებული სამთო გამონამუშევრებისა და ჭაბურღილების ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის უსაფრთხოებას, აგრეთვე კონსერვაციის დროს საბადოების, სამთო გამონამუშევრებისა და ჭაბურღილების დაცვის მოთხოვნები, —

ეკისრებათ სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული ან სხვა პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება დაწესდეს პასუხისმგებლობა წიაღის კანონმდებლობის სხვა დარღვევებისათვისაც.

მუხლი 87. დისციპლინური და საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენება

იმ მუშაკების მიმართ, რომლებიც არ იცავენ წიაღის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის წესებს ან არღვევენ სხვა წიაღით მოსარგებლეთა კანონით დაცულ უფლებებს, გამოიყენება დისციპლინური და საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები დადგენილი წესით.

მუხლი 88. წიაღით თვითნებური სარგებლობისა და სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ფართობების თვითნებური განაშენიანების შეწყვეტა

წიაღით თვითნებური სარგებლობა და სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ფართობების თვითნებური განაშენიანება წყდება გაწეული ხარჯების აუნაზღაურებლად.

მუხლი 89. ზარალის ანაზღაურება

საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და მოქალაქენი მოვალენი არიან აანაზღაურონ წიაღის კანონმდებლობის დარღვევით გამოწვეული ზარალი იმ ოდენობით და იმ წესით, რომელსაც დაგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა. თანამდებობის პირებს და სხვა მუშაკებს, რომელთა ბრალით საწარმომ, ორგანიზაციამ და დაწესებულებამ გასწია ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხარჯები ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა დადგენილი წესით.

კარი XI

საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

მუხლი 90. საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირი ან საქართველოს სსრ, დადგენილია სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ წიაღის კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ან საერთაშორისო შეთანხმების წესები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ

„საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ 1976 წლის 20 ნოემბრის კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს სსრ კანონმდებლობის საქართველოს სსრ წიაღში კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანამდე გამოიყენება საქართველოს სსრ წიაღის კანონმდებლობის ის აქტები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება აღნიშნულ კოდექსს.

2. საქართველოს სსრ წიაღის კოდექსი გამოიყენება იმ სამთო სამართლებრივ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც წარმოიშობა კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ, ე. ი. 1977 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე წარმოშობილი წიაღის გამოყენებისა და დაცვის სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეების უფლებებისა და მოვალეობების განხორციელება 1977 წლის 1 მარტიდან რეგულირდება კოდექსის შესაბამისად.

3. საქართველოს სსრ წიაღის კოდექსით გათვალისწინებული წესი, რომელიც დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლებით, გამოიყენება საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების დღიდან, ე. ი. 1976 წლის 1 იანვრიდან, „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 26 ნოემბრის ბრძანებულების შესაბამისად (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1975 წ., № 49, მუხლ. 774).

4. შუამდგომლობანი წიაღის სარგებლობისათვის გაცემის თაობაზე, რომლებზეც კომპეტენტურ ორგანოებს არ მიუღიათ გადაწყვეტილებაში საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების მომენტისათვის, უნდა გადაწყვეტილ იქნეს კოდექსის 16-28-ე მუხლებით გათვალისწინებული წესისა და პირობების დაცვით.

წიაღის სარგებლობისათვის გაცემის შესახებ შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია მათი კომპეტენციის ფარგლებში 1977 წლის 1 მარტამდე, მაგრამ არ არის შესრულებული საქართველოს სსრ წიაღის სამოქმედოდ შემოღების მომენტისათვის, უნდა შესრულდეს წიაღის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად.

5. იმ შემთხვევაში, თუ წიაღი სარგებლობისათვის იყო გაცემული 1977 წლის 1 მარტამდე ორგანოების მიერ, რომელთა კომპეტენცია წიაღის გაცემის დარგში იცვლება საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით, წიაღის სარგებლობის უფლების შეწყვეტა კოდექსის 35-ე მუხლის თანახმად აღნიშნული ვადის შემდეგ უნდა მოხდეს ორგანოების მიერ, რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად სარგებლობენ წიაღის გაცემისა და ჩამორთმევის უფლებით.

6. 55-ე მუხლის მეოთხე ნაწილის წესი სამთო და ასაფეთქებელ სამუშაოთა ხელმძღვანელობის შესახებ არ ვრცელდება პირებზე, რომ არ აქვთ შესაბამისი სპეციალური განათლება, მაგრამ ასეთ სამუშაოთა ხელმძღვანელობისათვის დაშვებული არიან 1976 წლის იანვრამდე.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის შეუსაბამოს საქართველოს სსრ მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — თ. ლაშქარაშვილი

თბილისი
1977 წლის 27 იანვარი

ნარევი

გულმავიწყი ბანდიტი

ქ. მარსელის (საფრანგეთი) ერთერთი ბანკის განყოფილებაში ამასწინათ შეიჭრა სახეზე ნიღაბაფარებული ბანდიტი. შეშინებულმა ბანკის თანამშრომლებმა და კლიენტებმა ხელები მაღლა ასწიეს, ხოლო მოლარემ რევოლვერით

შეიარაღებულ მძარცველს 2300 გირვანქა სტერლინგი ჩააბარა. ამ უკანასკნელმა ფული ჩანთაში ჩაალაგა, შემდეგ კი... რევოლვერიც მიაყოლა, ესეც არ იკმარა და საგულდაგულოდ ჩაკეტა ჩანთა.

ამის შემხედვარე ბანკის თანამშრომლებს ისღა დარჩათ, რომ დაუყოვნებლივ შეებოჭათ გულმავიწყი ბანდიტი.

მოგვიანებით პოლიციამ დაადგინა, რომ 36 წლის არიმონ ბიორლმა ორიოდე კვირით ადრე სხვა ბანკიც გაძარცვა, საიდანაც 4000 გირვანქა სტერლინგი გაიტაცა.

რამდენად დაცულია თქვენი სახლი მძარცველებისაგან?

ქ. მინიაპოლისის (აშშ) სასამართლომ 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა რობერტ ერლ ბეირნსს, რომელმაც თავი დამნაშავედ სცნო და აღიარა, რომ სამჯერ მიიღო მონაწილეობა მოქალაქეთა ბინების გაძარცვაში. თავისთავად ეს ჩვეულებრივი მოვლენაა სასამართლო პრაქტიკაში. საინტერესოა, რომ ბეირნსი გახლავთ ავტორი ამერიკაში საკმაოდ გახმაურებული წიგნისა: „რამდენად სარწმუნოდ არის დაცული თქვენი სახლი მძარცველებისგან?“

ქ. ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის სატრანსპორტო პოლიციის უფროსმა სენფორდ გეირლიკმა განაცხადა, რომ ყოველ 24 საათში (აქ მეტრო ღამითაც მუშაობს) საშუალოდ მგზავრთა ძარცვის 14 შემთხვევა აღირიცხება.

წლევანდელი წლის მარტის შუა რიცხვებში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რეზიდენციაში მუშაობას შეუდგნენ მემონტაჟეები. საქმე ის არის, რომ თეთრი სახლის ყველა შესასვლელში უნდა დამონტაჟდეს მაღალხარისხოვანი ფოლადის ჭიშკრები, რომლებიც ჰიდრავლიკური მექანიზმებით აღიჭურვება. სამუშაოს დამთავრებას ერთი წელიწადი დასჭირდება და თითქმის ერთი მილიონი დოლარი დაჯდება. სპეციალური საიდუმლო სამსახურის (ამ სამსახურს დავალებული აქვს თეთრი სახლისა და მისი მობინადრეების დაცვა) შეხედულებით ახალი ჭიშკრები აუცილებელია იმისათვის, რომ უზრუნველყონ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების უშიშროება.

ს. ვისოცკი

ცოცხლებს ფესვის გაუჩინარებულნი

(გაგრძელება)*

ათიოდე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც კორნილოვმა უფეხებო ლიოშას ვალაამზე სიგარეტები გაუგზავნა და მისგან წერილი მიიღო. კონვერტში ოთხი მანეთი იდო. წერილმა გააოცა და გუნება გაუფუჭა იგორ ვასილის ძეს.

ალექსეი სწერდა:

„სულ არ ველოდი თქვენგან სიგარეტების მიღებას. ორი წლის განმავლობაში ვის არ ვთხოვდი, და ყველასგან გაწბილებული ვრჩებოდი. გიგზავნით ტუგრიკებს.* მოწყალება არ მჭირდება. ყველაფერი მოგატყუეთ სამხედრო წვრთნაზე. ფეხებზე მოჭრილი ხე დამეცა კიროვის ოლქში, მკაცრი რეჟიმის კოლონიაში სასჯელის მოხდის მეორე წელს. ხაავადმყოფოს შემდეგ კუნძულზე მოვითხოვე გაგზავნა. არავის ნახვა არ მინდა. თქვენი სიბრალულიც მეზიზღება. ადრე უნდა შეგბრალებოდით. ახლა მე — ფეხებმოპარული ვარ — როგორც ჩვენთან კოლონიაში ამბობდნენ. უფეხებო. დედასთანაც კი არ წავედი. მძულს იგი ლოთბაზარა.

ფეხებზე დღემდე მამცივნებს, როგორც ადრე რევმატიზმისაგან. ზოგჯერ საღამოს დავწვები დასაძინებლად, დავხუჭავ თვალებს, ფეხებზე კი მამცივნებს. აუტანლად მამცივნებს. დილით ადრე დამესიზმრება ხოლმე, რომ მომეყინა. ხელს ვიწვდი დასაფარებლად, და ოფლს მასხამს. მინდა ვიღმუვლო. ვის ვჭირდები ახლა?

ამას ისე ვამბობ, სიბრაზისაგან. კუნძულზე შეიძლება კაცმა იცხოვროს. დამატებით თუ მინდა რამე ვიყიდო, იმისი ფულიც მაქვს. აი, მხოლოდ ზაფხულში, როცა ტურისტები ჩამოდიან, საზიზღრობაა. არ მიყვარს ტურისტები. ყველგან დადიან, ყველაფერს უჭვრეტენ, ხოლო როცა წავლენ, ნაღველი მიპყრობს. იქ ისინი მხიარულობენ, წყვილ-წყვილად დადიან, ღამეს გაათევენ და ლენინგრადში ბრუნდებიან, ყველა მძაგს.

სევდას მგვრის სიკვდილი და დასაფლავება — ირგვლივ ხომ სულ მოხუცები არიან. იხოცებიან, იხოცებიან. დაბადებით არავინ იბადება. იშვიათად თუ ეყოლება ბავშვი ვინმეს ადგილობრივ მცხოვრებს. ეჰ, თავიდან რომ შეიძლებოდეს ცხოვრების დაწყება!

ნუ გამინაწყენდებით, თუ რამე, როგორც საჭიროა, ისე ვერ დავწერე. მივიღე სიგარეტები, გამახსენდით, თქვენთან საუბარი მომენატრა. ჩემი ბრალია, რომ ტყუილი ვთქვი მანევრებისა და ლაზარეთში გატარებული ორი წლის შესახებ...“

იგორ ვასილის ძემ წერილი ხელში შეატრიალ-შემოატრიალა. უსწორმასწორო სტრიქონები, ასოები აქეთ-იქით გარბოდნენ. კორნილოვს გაახსენდა ინვალიდი. აი თურმე როგორი ყოფილა, უბედურებაშიც კი — ამაყი. ალბათ რა სევდის მომგვრელია ცარიელი პირქუშ კლდეზე იყო წვიმისაგან დასველებული ბუჩქებში და თვალით აცილებდე სიბნელეში მიმავალ, გაჩირაღდნებული ხმაურიან თბომავლებს.

„ჭაბუკს დახმარება ესაჭიროება, — ფიქრობდა კორნილოვი. — ნუთუ ისღა დარჩენია, რომ მთელი ცხოვრება გაატაროს ღრმად მოხუცებულებში და მეთევზეებს დაეხმაროს ბადეების კემსვაში? ქალაქში ხომ არსებობს ინვალიდთა გაერთიანებები, სადაც

* დახაწყისი იხილეთ ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1975 წლის № 5 გვ. 84—86. 1976 წ. № 2, გვ. 83—89, № 3, გვ. 78—88, № 4, გვ. 77—80, № 5, გვ. 70—74, № 6, გვ. 83—89.

* მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ფულის ერთეულია აქ: ქურდული ჟარგონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ტოლები მუშაობენ, სადაც იგი მარტოობას არ იგრძნობს და არ მოიწყენს. და სადაც, შესაძლოა, დაავიწყდეს, რომ მთელ მსოფლიოზეა განაწყენებული, დაუცხრეს გაბოროტება საკუთარი თავისადმი. ყველაფერი ეს კარგად უნდა გავიგო. მაგრამ დამეთანხმება კი გადმოსვლაზე?

ხილკოვი ცოფებს ყრიდა. დაწყევლილ მაჭლაჭუნას გამო მორიგი საქმე ეფუშებოდა. ფული თავისით უცვიოდა ხელში. და ეს ჩერჩეტი მილიციაში მოვხდა. რამდენჯერ მითქვამს: „თავს თუ აიწყვეტ, — ხიფათში მაინც ნუ ჩაიგდებ თავს". გინდა გითქვამს, გინდა არა. დათვრება თუ არა, ხელები ექავება.

მაჭლაჭუნა მაგრად სვამდა. მეტი სახელიც სწორედ იმიტომ შეარქვეს, რომ როცა გარაჟში მივიდოდა ცვლის ჩასაბარებლად, ჩვეულება ჰქონდა ეყვირნა „გუშინ ისე მაგრად შევუბერე, ბიჭებო, გულზე მაწევს მაჭლა-ჭუ-ნები!".

ამ ყვირილმა უყო, რაც უყო. ვიღაც გოიმს მიუნაყა ცხვირპირი და თავადაც გაება. ნეტავ ყველაფერი არ დაფქვას მაინც. არა, არა მგონია! ამ საკითხში მაჭლაჭუნა მაგარია.

„ვარსკვლავიან ღამეში" ფეხის შედგმაც აღარ შეიძლებოდა. ვინც თავს უფრთხილდება, იმას ღმერთიც უფრთხილდება.

ხილკოვი წყევლიდა მაჭლაჭუნას და გაფაციცებით ეძებდა ხსნის გზას: „მძღოლებიდან ვისი წაყვანა შეიძლება?"— ფიქრობდა იგი. — ამ ერთხელ მიჭირს, მერე რაღაცას მოვახერხებ. მალე მე თვითონაც მივუჯდები საჭეს.

ამას წინათ ხილკოვმა დაამტვრია თავისი ტაქსმოტორი და უკვე ერთი თვეა მანქანების მრეცხავად მუშაობდა. ის საქმე კი უმანქანოდ არ გამოვიდოდა.

„ეჰ, ვინ შევარჩიო, ვინ? ტიჩკოვი? თითქოს შინაურული ბიჭია, მგონი ნაჯდომია. მალავს კი. რაზმელი გახდა. ამ რაზმელებთან სასიკეთოს ვერაფერს ნახავ. იეჩკინი? იეჩკინი... ეს კი მაგარი ვინმეა. გამოდგებოდა. კარგი ბიჭის სახელი აქვს, მაგრამ მოინდომებს ოპერაციაზე წასვლას? თანაც მოისულელებს. როცა კი დალევს, სულ მუშტებზე იყურება, მაჭლაჭუნასავით. შეიძლება ხათაბალაში გაებას... დიახ, სხვა ვისზე შევაჩერო თვალი? ყველა პატიოსნად მუშაობს, თავს იკლავს, დამკვრელობაზე იქაჩება, მაგრამ როცა ნაჩუქარ ფულზე მიდგება საქმე, ნუ გეშინია, უარს არცერთი არ ამბობს. ნამცეცებს აგროვებენ...ვიტკა ვინოკუროვი? ჰა? რამდენიმე თუმანი და...

ხილკოვი გამოცოცხლდა. „ვიტკა ერთი-ორ თუმნად საკუთარ მამას გაჰყიდის. ოჰ, კაპიკებს მისტირის, ქვაწვია. მაგრამ ერთხელ შეიძლება წაყვანა. ვიდრე მოისაზრებდეს რამეს, — ყველაფერს მოვაგვარებ. მეტად აღარ წავიყვან, თორემ იდედლებს. ახლა კი რატომაც არა, ორ თუმნად მანქანას გამოთრევს".

ფელია ნიკოლოზის ძე გაახსენდა. უკვე მერამდენედ ნანობდა, რომ ის ლენინგრადში არ იყო. აი, ერთგული ადამიანი! რაღაც სულელურად გამოვიდა — სრულიად მოულოდნელად გაქრა ფელია. არავის არაფერი უთხრა, არ გააფრთხილა, ანგარიში გაასწორა და წავიდა, სად — არავინ უწყის. იქნებ იდედლა. მამა თეოდორემ თქვა: „მიაფურთხე, ჟენია, და დაივიწყე, იფიქრე, ვითომ საერთოდ არც ყოფილა".

„ვოლგის" საშოვრად სულ ორი დღე იყო დარჩენილი: დღევანდელი და ხვალინდელი. ჩვეულებრივ სამნი ხილკოვი, მაჭლაჭუნა და ფელიქს ნიკოლაევი, მეტსახელად ფელია, „მუშაობდნენ". მერე რომელიმე მათგანი მიუგორებდა მანქანას „მოაგარაკე" ბორის უგოევს, ფულს ნაღდად მიიღებდა, და, — ნახვამდის პალმებო და შავო ზღვავ! ამჯერად საქმე გაადვილებული იყო. ჟორკა უგოევი, „მოაგარაკის" ძმა, შვებულებით მიდიოდა შინ და ხთხოვა სასწრაფოდ მოშოვნე ავტომობილიო. თვითონ კისრულობდა მანქანის გადაყვანას... მაჭლაჭუნამ კი ულალატა.

„უჰ, ასეთ ნაძირალასთან მიხდებოდა მუშაობა!" — ამოიოხრა ხილკოვმა.

სამუშაო დღე მთავრდებოდა. ხილკოვმა სადისპეტჩეროში გაიარა, გაიგო, როდის გადიოდა ტრასაზე ვინოკუროვი. აღმოჩნდა, რომ რვა საათიდან. უკეთესს ვერც ინატრებდა.

„დღეს ვიტიას არაფერს ვეტყვი, — გადაწყვიტა ხილკოვმა. — ასე სჯობს. ძალიან ბევრი დრო ექნება დაფიქრებისათვის. ვაითუ ჩაისვაროს... თათარიანხნად უფრო უპრიანია.

ცვლის შემდეგ ხილკოვმა საშხაპეში ცხელი წყალი მოუშვა და დიდხანს სიამოვნებით ბანაობდა. მხიარულად უსტვენდა. კმაყოფილი იყო, რომ მოიფიქრა ვინოკუროვის ჩაბმა სამუშაოში. მაჭლაჭუნაზე გაბრაზებამაც კი გაუარა, „ბემურაზი, უბედური ვარსკვლავზეა დაბადებული", — იცოდებდა კიდეც მას ხილკოვი.

— მერე რა, გოიმია და მაგიტომაც ჩავარდა! საინტერესოა, ფული სად ჰქონდა შენახული? შემსალაროში? ალბათ არა. ასეთი რამ ჩვეულებად არა აქვს. და, საერთოდ, რჩებოდა კი მაჭლაჭუნას ფული? შეიძლება იტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებდა წვრილმანებისათვის... მთელ ფულს ქალალდებში ფლანგავდა. არც ღვინოში ხარჯავდა ნაკლებს. დედაკაცი თუ წაიწყდებოდა, დაუწყებდა: „რა არის, საიდან არის?“ ეჰ! შემდეგ მას გაახსენდა, რომ მაჯლაჯუნას მანქანის საბარგულში დარჩა ტროსი და ინსტრუმენტები. მანქანა ტრასაზე იყო. ესეც რომ არ ყოფილიყო, მაჯლაჯუნა შემცველელს ხომ ვერ სთხოვდა ტროსს. ავტომაღაზიაში წასვლა და ყიდვა დასჭირდებოდა. მერე დაურეკავდა ამა თედორეს...

თედორე ბორისის ძემ მაგრად შეიგინა, როცა ხილკოვმა დაურეკა და მაჯლაჯუნას ამბავი მოუყვა. ვიტკა ვინოკუროვის საქმეში ჩაბმაზე დიდხანს ფიქრობდა. ხილკოვს ესმოდა, როგორ ქშინავდა და რაღაცას ჩურჩულებდა. მერე უთხრა:

— ჯანდაბას შენი თავი! მოელაპარაკე შენს ვინოკუროვს. ოღონდ ჩემზე სიტყვა არ დასძრა. ყორკაზეც ნურაფერს ილაქლაქებ, გამოართვი ნომრები და მითხარი სად დატოვებ კარეტას.

ვინოკუროვს ხილკოვი ძალიან სწრაფად მოეურიგდა როცა სამუშაოზე მოვიდა, გაიხმო განზე და ჰკითხა.

— ვიტიოკ, ახლა ალბათ ფულიკოები გჭირდება?

მან გაიცინა:

— რა ახირებული ვინმე ხარ. როდის არ არის ფული საჭირო. გადაზიდვაა გასაფორმებელი? შენ ხომ ახლა უცხენოდ ხარ.

— ასეა, ასე, — დაუქნია თავი ხილკოვმა. — ცოტა რამ გვაქვს გადასაზიდი. ერთი საათი დაგვჭირდება, მეტი არა. მხოლოდ დრო, მხოლოდ დრო იქნება გვიანი.

— არც მე გავდივარ ხაზზე ადრე, — უთხრა ვინოკუროვმა.

— ნუ მიედ-მოედები! რა გინდა?

— ერთი კერძო მესაკუთრე მინდა ვახტუნაო. შობელძაღლმა მთხოვა მანქანის ხელახლა აწყობა. მთელი კვირა ვირივით მამუშავა და საფასური ჭერაც არ მაღირსა. ახლა მინდა მისი მანქანა წამოვიყვანო და სადმე შორს დავაგდო. დაე ეძებოს.

ვინოკუროვმა ამოიბზუილა.

— ახლა მინდა გთხოვო, ვიტიოკ, ორ საათზე მივიდეთ... საჭესთან მე დავჯდები, ტროსს გამოვაბამთ, ბუქსირით გამოვიყვანთ რაც შეიძლება შორს, და შაბაშ! ორას მანეთს, თუ გინდა, ამ წუთში ჩაგითვლი.

— სამასი, — თქვა ვინოკუროვმა. — იმ ლამაზი ზღაბრისათვის, ახლა რომ მომიყევი... თუმცა მე რა მესაქმება, მიმიფურთხებია. ეღნია, პრიოზერსკში ახლა აგარაკს ვიშენებ. ფული მეტისმეტად მჭირდება.

ხილკოვი დაეთანხმა და სთხოვა პირველი საათისათვის მასთან გამოეცლო.

ფულს როდის მომცემ? — დაინტერესდა ვიტორი, მირჩევნია, რომ წინასწარ დაყაჭოხილკოვმა მხოლოდ თავი დააქნია.

— კარგი ერთი, ვიტეკ, ნუ გეშინია! როგორც კი მოხვალ, მაშინვე ჩაგითვლი.

როცა ღამით ხილკოვი ჩანთაში ჩაწყობილი ტროსითა და ნომრებით გარეთ გამოვიდა, ვინოკუროვის მანქანა უკვე იდგა ჭიშკართან. ორი ქალიშვილი ეხვეწებოდა წაგვიყვანეო.

— ხომ გეუბნებით, გამოძახებული ვარ, — ცდილობდა ვინოკუროვი ტყუილით მოეშორებინა ისინი თავიდან. — აი ის მგზავრიც მოდის.

— ამხანაგო, რომელ მხარეს მიდიხართ, — მისცვივდნენ ქალიშვილები ხილკოვს. — იქნებ ერთი გზა გვაქვს?

ხილკოვი ერთ წამს დაიბნა. მერე ჰკითხა:

— თქვენ საით?

— მოსკოვის პროსპექტზე, სასტუმრო „როსიაში“, — უპასუხა ერთმა ქალიშვილმა და იმედით მიაშტერდა ხილკოვს.

— მე აეროპორტში მივდივარ, — გაიცინა მან. — მაშასადამე, ერთი გზა გვქონია. წავიყვანოთ, ამხანაგო მძღოლო?

— ტაქსი მიჰქროდა დაცარიელებულ ქუჩებში. ხან ერთი ქალიშვილი უხდიდა ხილკოვს მადლობას, ხან მეორე. ისინი კრასნოდარიდან ჩამოსულები აღმოჩნდნენ. თეთრი ღამეები უნდოდათ ენახათ. ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს და ყვებოდნენ, როგორ მოეწონათ ქალაქი, ნევა, რა მშვენიერი ხედი იშლებოდა ისაკის ტაძრიდან.

— პისკარევსკის სასაფლაოზე ვიტირეთ, — თქვა ერთმა ქალიშვილმა. — ღმერთო ჩემო, რა ტანჯვა გადაიტანეს ლენინგრადელებმა.

მანქანა მოსკოვის პროსპექტზე გამოვიდა. დაიწყო ყინულვლა. ხილკოვმა ამოიხვნეშა. გაიფიქრა: „კარგია, რომ წვიმს... ამისთანა ბატები ნაკლებად ისეირნებენ ქუჩებში. ჩამობნელდა კიდეც, ცა მთლიანად მოიქუშა. ალბათ ცუდი ნიშანია, როცა საქმეზე მიდიხარ და დედაკაცს შეხვდები. თუ მარტო მაშინ არის ცუდი, როცა ცარიელი ვედრო მოაქვს?“ თავადაც ვერ გაიგო, რატომ ღელავდა ასე. მანქანაში თბილოდა, მაგრამ დროდადრო საძაგლად ზარავდა ტანში. „რა დამემართა? — უკვირდა მას, — პირველად ხომ არ ვაკეთებ“. გამოთვალა, მეცხრე შემთხვევა იყო. და ყველა ნორმალურად მთავრდებოდა. „მხოლოდ ის არის, რომ მაჯლაჯუნა გაეცა. ნეტავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედმეტი არაფერი წამოაყრანტალოს. როგორმე უნდა შევუთვალო, გამაგრდი, აქ ყველაფერი წესრიგშია, შენს წილს მიიღებ მეთქი. მაგრამ როგორ მივაწვდინო ხმა?!" ფიქრობდა იგი.

ხილკოვმა ირიბად გახედა ვინოკუროვს. ის ისე იჯდა, ვითომც აქ არაფერიაო. მშვიდად იყურებოდა წინ. „ამას ვერაფერს შეაგნებინებ, ბატივით ყეყეჩია. — ათვალწუნებით გაიფიქრა ხილკოვმა. — ესეც აგარაკის პატრონი მიხდება რაღა!"

სასტუმროსთან ქალიშვილებმა ფული გადაიხადეს და მხურვალე მადლობა უთხრეს.

— საით მივდივართ? — ჰკითხა ვინოკუროვმა.

— მესამე ინტერნაციონალის ქუჩაზე. სახლს გიჩვენებ.

— მერე. ფული?

ხილკოვმა ჯიბიდან სამი ასმანეთიანი ამოიღო და ვინოკუროვს გაუწოდა.

— ასე, შე კაი კაცო! — გაუხარდა ვიტორს. ახლა დავაქერთ გაზს და მოვუსვამთ! ერთი მაგარი ოინი ვუყოთ შენს მეგობარს, — და გადაიხარხარა.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ ეზოს, სადაც ახალი „ოლგა" იდგა, რომელსაც თვალი დაადგა ხილკოვმა, მით უფრო მეტად ღელავდა. სად გაქრა ის სიმშვიდე, რომლითაც გამოდიოდა საქმეებზე ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინათ!

ერთხელ დაეწია მოციმციმე ლურჯშუქიანი მილიციის „გაზიკი" და ხილკოვმა გაიფიქრა: „მორჩა! იყნოსეს, უწმინდურებმა..." ზურგი დაუსველა ცივმა ოფლმა, საფეთქლებმა ტეხვა დაუწყო. მაგრამ „გაზიკმა" გვერდზე ჩაუქროლა, არ დაუმუხრუჭებია, ისე ჩაიკარგა ნისლში.

ინტერნაციონალის ქუჩაზე ხილკოვმა სთხოვა ვინოკუროვს, ნელა იარეო. თეთრი აგურით ნაშენებ ხუთსართულიან სახლს რომ მიუახლოვდნენ, გაჩერდნენ.

— აქ დამელოდე, — უთხრა ხილკოვმა და მანქანიდან გამოძვრა. სიცივისაგან აბუზულმა უხმაუროდ მიკეტა კარი. წვიმა სცრიდა. ხილკოვი ერთხანს გაჩერდა, ფანჯრები შეათვალიერა. შუქი არსად ჩანდა. მხოლოდ მესამე სართულზე ერთ ფანჯარასთან თითქოს ვიღაც იდგა და მოახლოებულ ტაქსს უყურებდა. ხილკოვი განზე გადგა, ღობისაკენ წავიდა. იასამანის ბუჩქს ამოეფარა. კარგად დაკვირდა, „სახეა თუ მეჩვენება?" — გაიფიქრა. ამ დროს ნიავმა შეარხია მსუბუქი ფარდა. ხილკოვმა კინაღამ ხმამაღლა შეიგინა. ყვავილის ქოთანი ადამიანის თავი ჰგონებია.

ეზოში ფარდულის გვერდით „ოლგა" იდგა. „ნომერი რაღაც ჩვენებურს არა ჰგავს", — შენიშნა ხილკოვმა. „კრია", ყირიმულია, თუ რა ჯანდაბაა! ეს უკეთესიც არის..." კიდევ ერთხელ მიაყურადა. სიჩუმე სუფევდა. მხოლოდ წვიმა აშრიალებდა ბუჩქებს, ოდნავ გასაგონად უკაკუნებდა ფარდულის თუნუქის სახურავს.

როცა მანქანის კარი გამოაღო, უცებ ზარის მკვეთრი წკრიალი გაისმა, შემდეგ მეორედ, მესამედ...

ვიდრე ხილკოვი მიხვდებოდა, რომ სახლში ტელეფონი წკარუნობდა, ზურგზე ისევე როგორც ნახევარი საათის წინათ მანქანაში, ცივმა ოფლმა დაასხა. სწრაფად შეძვრა მანქანაში, გაიტრუნა და ყური მიუგდო. ბოლოს ტელეფონმა შეწყვიტა წკარუნი, გაისმა ვიღაცის ნამძინარევი ხმა და მოკლე პასუხები. შემდეგ ისევ ყველაფერი მიწყნარდა. „ახლა შეიძლება წასვლა", — გაიფიქრა ხილკოვმა, გამოძვრა მანქანიდან, მიხურა კარი, სწრაფად მიიჭრა ვინოკუროვთან და მანქანაში მიუჯდა.

— ვიტიუშა, ნელ-ნელა... შესახვევში... უკანა სვლით შედი... იმისკენ... ნაცრისფერი რომ არის...

ხილკოვმა გამალებით ამოიღო ჩანთიდან ტროსი. როცა ვინოკუროვმა მანქანა „ოლგას" მიაყენა, ხილკოვი გამოხტა, სასწრაფოდ გამოაბა ტროსი, მიუჯდა ნაცრისფერი მანქანის საჭეს და ხელით ანიშნა ვინოკუროვს, დაძარიო. და ამ დროს ქუჩიდან შემოანათა ფარების თვალისმომჭრელმა შუქმა. ხილკოვმა თვალები დახუჭა და გაფაციცებული ელოდა გამოსავალს, სად გაქცეულიყო, მაგრამ სინათლე უცბად ისევე ჩაქრა, როგორც აინთო. შესახვევში „სასწრაფო" გაჩერდა და ქუჩაში გამოსახვლელი ჩახერგა. მანქანის კარი გაჯახუნდა. თეთრხალათიანი კაცი, ხელში გამობერილი ჩემოდანი რომ ეჭირა სწრაფად წავიდა პირველი სადარბაზოსაკენ და შიგ გაუჩინარდა.

„მანქანა უნდა მივატოვო, — გაიფიქრა ხილკოვმა. მიხვდებიან, ყველაფერს, ნომერს ჩაინიშნავენ და მოგეგზავნიან ჭირი..."

იგი გამოძვრა მანქანიდან, სწრაფად მოხსნა ტროსი და ვინოკუროვს ჩაუჯდა მანქანაში.

— ვიტიუშა, მოვუსვათ აქედან... სახლს შემოვუაროთ, მგონი იქითა მხარეს შეიძლება გასვლა.

— მანქანა? — გაიოცა ვიტორმა.

— ეშმაკსაც წაუღია... — ჩაიქნია ხელი ხილკოვმა და მოულოდნელად დამშვიდდა.

— არაფრით არ წამოვალ. ვიჯდებით გამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჯვებამდე, დაიბუბუნა ვიტიუშამ. „ფულისა შეეშინდა“, — გაიფიქრა ხილკოვმა.

ისინი ხუთმეტიოდე წუთს ჩუმად ისხდნენ და მისჩერებოდნენ ორ ფანჯარას მეოთხე სართულზე, სადაც სინათლე ენთო. შემდეგ დაინახეს, რომ ერთ ფანჯარაში სინათლე ჩაქრა და ჭაღის ნაცვლად ღამის ლამპა აინთო. ექიმი გამოვიდა სახლიდან და ჩაჯდა „სასწრაფოში“. აინთო ფარები, მანქანა უკანა სვლით გავიდა ჩიხიდან, შეტრიალდა და წავიდა. ხილკოვმა ისევ გამოაბა ტროსი და ორივე მანქანა ეზოდან გამოვიდა. კიროვის ქარხნის იქით, უდაბურ ადგილას ხილკოვი დაემშვიდობა ვიტიუშას. როცა ვინოკუროვი წავიდა, მანქანას ნომრები გამოუცვალა და კაპოტი ახადა. „ვოლგის“ საიდუმლო საყვირი ძალზე პრიმიტიული იყო. ხილკოვმა მოტორი ჩართო, ერთხანს ამუშავა და მერე აუჩქარებლად დაიძრა სასტუმრო „სოვეტსკაიასაკენ“. შეთანხმებული იყო და უგოევს იქ უნდა შეხვედროდა. იგი შეჩერდა წრიულ არხთან, შევიდა ტელეფონის ჯიხურში და თედორე ბორისის ძეს დაურეკა. შემდეგ გამოიღო მანქანიდან ძველი ნომრები, მივიდა სანაპიროს პარაპეტთან, და წყალში მოისროლა. „იქნებ ის მანქანა „სასწრაფო“ არც იყო? იქნებ მილიცია მადევნებს თვალყურს? — გაუელვა თავში. — იქნებ მომწყვდეულიცა ვარ?“

ხილკოვი ნერვიულობდა. იმ დღეს, როცა „ვარსკვლავიან ღამეში“ მაჯლაჯუნა დააპატიმრეს, იგი ცდილობდა მშვიდად მოეჩვენებინა თავი და წაისისინა:

— იმდენი იხტუნავა, რომ გაება ხარბი... — მაგრამ კონიაკით სავსე სირჩა ხელში მუხანათურად უკანკალებდა და კონიაკი სუფრაზე დაეღვარა.

ეს ყველამ შენიშნა, და ვიღაცამ თქვა:

— არაფერი არ მოუვა. ხუთმეტიოდე დღეს იჯდება და გამოვა.

ხილკოვი გრძნობდა, რომ საქმე თხუთმეტი დღით არ მოთავდებოდა. ხელისუფლების წარმომადგენლისათვის წინააღმდეგობის გაწევა დღეებისა კი არა, უკვე წლების საქმე იყო. ჯანდაბას მაჯლაჯუნას თავი, დაე, იჯდეს! მაგრამ იგი იმიტომ მიდიოდა „ვარსკვლავიან ღამეში“, რომ ხილკოვისათვის ტექტალონი მიეცა, რომელიც ერთი ლოთისაგან ას მანეთად იყიდა. მაჯლაჯუნამ ტექტალონი შინ წაიღო, რომ ნაწერი სიმუავით ამოეყვანა... ახლა განყოფილებაში ,ზის, მთელი თავისი ყალბი საბუთებით. რომელ ყეყეჩს არ დაებადება შეკითხვა: — კი მაგრამ, საიდან გაქვთ თქვენ, მეგობარო, სუფთა ბლანკები? და რას უპასუხებს მაჯლაჯუნა ამ შეკითხვას?

ხილკოვი დიდიხანია ელოდა ბედისწერის სიმუხთლეს. ბოლო დროს მეტისმეტად სწყალობდა ბედი. მას შემდეგ, რაც მამა თედორთან ერთად პირველ მანქანას ხელი გაჰკრა, ფული ჩიჩქვითით უცვიოდა ხელში.

მამა თედორე დაუოკებელი მოხუცი იყო. განუწყვეტლივ აგულიანებდა, სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდა, თითქოს ეჩქარებაო. იყო შემთხვევა, როდესაც ხილკოვი მაჯლაჯუნასა და ფელია ნიკოლაევთან ერთად კვირაში თითო მანქანას იგდებდა ხელში.

როცა ხილკოვი დაიწუწუნებდა, მანქანების გადამკიდეს ლამის სმაც დამავიწყდესო, თედორე ბორისის ძე ცალყბად გაიღიმებდა, მეჩხერ კბილებს დაკრეჭდა და ეტყოდა: „იშრომე, ეენია, იშრომე, ვიდრე მყიდველი გყავს!“ მოკლევადიან უხალფასო შვებულებას, რომელსაც ხილკოვი იღებდა მანქანის გადასაყვანად, პარკში უხალისოდ აძლევდნენ. არც ის უნდოდა, რომ ფელიასა და მაჯლაჯუნას გადაეყვანათ მანქანა, რადგანაც ამ საქმეში კიდევ ხუთას მანეთს იღებდა დამატებით. ეს კი არც ისე ცოტა ფული იყო.

„პირველი“ მანქანის შემდეგ ხილკოვმა მაგარი ქეიფი მოაწყო „ვარსკვლავიან ღამეში“. კონიაკსა და შამპანურს ყუთებით უკვეთავდა. რომ ჰკითხავდნენ საიდანა გაქვს ამდენი ფულიო, ეშმაკურად ჭუტავდა თვალებს და უპასუხობდა, ბანქოში მოვიგეო. „ბარაქიანი ბანკი მოვხსენი, ძმებო“.

ქაღალდს მართლაც ხშირად თამაშობდა — მამა თედორეს მადლიანი ხელი აქაც სწყალობდა. ახლა ხილკოვს ყოველთვის ჰქონდა ჯიბეში ფული. და აი, უცნაური რამ ემართებოდა — წინათ არასდროს ენანებოდა მეგობრებთან ერთად რესტორანში ქეიფის დროს რამდენიმე თუმნიანი გადაეგდო, ნაცნობი ქალიშვილისათვის რაიმე უმაქნისი, მაგრამ ძვირფასი საჩუქარი ეყიდა. ახლა კი, როცა მორიგ ამონაგებს გადათვლიდა, უხალისოდ იღებდა ჯიბეში ას თუ ასორმოცდაათ მანეთს სახარჯოდ. სამალავიდან გამოიღებდა ფულს, ანგარიშობდა, რამდენი მანქანისთვის უნდა გაეკრა კიდევ ხელი, რომ სათვალავში ჩასაგდები თანხა გამოსულიყო. თავდაპირველად მხოლოდ ათი ათასზე ფიქრობდა, მერე ოცი ათასზე ავიდა. „ასე რომ არ ვანიავებდე, უკვე მექნებოდა!“ — უსაყვედურებდა თავის თავს“.

მამა თედორემ შენიშნა ხილკოვის გულში მომხდარი ცვლილება. „შენ, ეენია, შემ სალაროს წიგნაკის მფლობელი ხომ არ გახდი?“ — ჰკითხა მან ერთხელ. როგორ მიხვდა? ხილკოვი წინანდებურად იქცეოდა: არ ძუნწობდა, არ წუწურაქობოდა. ახსოვდა, როგორ იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისგან დავალებული. და გროშებსაც კი, ორი ათას მანეთს ყოველ მანქანაზე, დაუნანებლად აძლევდა მას. ხოლო, მამა თედორე ხომ თავისი ხელით არაფერს აკეთებდა — არც ტექტალონებს შოულობდა, არც მისამართებს აძლევდა, არც მყიდველებს ახვედრებდა — ხიფათში ყენია და მაჯლაჯუნა იგდებდნენ თავს ფელიასთან ერთად.

— რა შემსალაროს წიგნაკი, რის შემსალაროს წიგნაკი! —უთხრა მაშინ ხილკოვმა თედორე ბორისის ძეს — შეიძლება ჩაგაგდოს... ოჯახში უფრო საიმედოა. მერე რაღაც გროშებია — მეგობრებთან ერთად ორჯერ დასალევად თუ ეყოფა კაცს.

— რაღაც ბოლო დროს არც თუ ძალიან უმასპინძლდები მეგობრებს — გაეცინა მამა თედორეს — იქნება გადაწყვიტე მანქანა შეიძინო? ფრთხილად, არ აგართვან!

— როგორმე მოვახერხებ, რომ არ ამართვან. — დაბეჯითებით მიუგო ხილკოვმა, და თითქოს გონს მოვიდაო, დაუმატა: — საერთოდ არ ვაპირებ არაფრის ყიდვას. ტუგრიკები ეწყოს თავისთვის. არაფერს დაგიშავებს. აი, ამოსუნთქვის საშუალებას რომ მომცემთ, თედორე ბორისის ძევ, მაშინ კი მაგრად შევუბერავთ!

თედორე ბორისის ძეს გაეცინა და ესლა უთხრა:

— გახსოვდეს, ყენია, სამკაპიანს თუ დაიშურებ, ათშაურიანს დაკარგავ.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე საგინაშვილის ხსოვნას

ჩვენი იურიდიული საზოგადოებრიობა, ღრმა სულიერი ტკივილით შეხვდა ალექსანდრე ნიკოლოზის ძე საგინაშვილის გარდაცვალებას.

ფართო განათლებისა, არაჩვეულებრივი ზრდილობის გამო ის იმდენად შთამბეჭდავი და მომაჯადოებელი ადამიანი იყო, რომ არ შეიძლება არ განგეცადა მისი დაკარგვა.

როდესაც ალ. საგინაშვილის ზრდილობაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ მარტო კეთილ საუბარსა და მომხიბლავ ღიმილს როდი ვგულისხმობთ. არა, ალ. საგინაშვილის გაზრდილობა ადამიანისადმი მისი კეთილშობილური დამოკიდებულებით ვლინდებოდა, რაც მისი ცხოვრების გამოცდილებიდან და წარმომავლობიდან იღებდა სათავეს. ალ. საგინაშვილისათვის უცხო იყო პირმოთნეობა, ანგელოზური პოზის მიღება, და ყველაფრის დაძრახვა, რაც გამომუშავებულ სტანდარტს არ უდგებოდა. იგი, როგორც იურისტი და ადამიანი, გამოცდილი თვალებით იკვლევდა და სინჯავდა მოვლენის არსს და მის მიზეზს და დამოუკიდებლად გამოთქვამდა თავის შეხედულებას მასზე.

ამიტომაც იყო, რომ ასე ხარბად უსმენდნენ მას ოცდაათიან წლებში კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომებზე, სადაც ის იურისკონსულტად და უწყებრივ არბიტრად მუშაობდა, სასამართლოებში 1940-1974 წლებში, სადაც იგი, როგორც ადვოკატი, სისხლის სამართლის საქმეებზე გამოდიოდა, და ბოლოს, — საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში. სადაც სისხლის სამართლის საქმეებზე კონსულტანტად მუშაობდა.

განმტკიცებულია აზრი თითქოს იურისტის ღირსება იმით განისაზღვრება, თუ რა სიმრავლით არის გაზიარებული მის მიერ წარმოდგენილი დასკვნები პირველ და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

რასაკვირველია, ზემოთადნიშნულ გარემოებას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ცხოვრება აღსავსეა პარადოქსული სიტუაციებით და გაუთვალისწინებელი კაზუსებით. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ადვოკატის გაუზიარებელი აზრი შემდგომში საქმის ზედამხედველობის წესით გადასინჯვისას ჭეშმარიტი გამომდგარა. ხდება ისეც, რომ ადვოკატის აზრს სასამართლოს არცერთი ინსტანცია არ იზიარებს. მაგრამ ეთიკისა და სამართლის ნორმების დაცვით ჩამოყალიბებულ ამ აზრს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად, მართლმსაჯულების სწორად განსახორციელებლად.

ეს განსაკუთრებით ეხება ალექსანდრე საგინაშვილის ადვოკატურაში მოღვაწეობის პერიოდს. ამ პერიოდში ყველა მისი აზრი არ იქნა გაზიარებული სასამართლოს მიერ, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც კი ალ. საგინაშვილი დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა სასამართლოზე. მისი აზროვნების მასშტაბი, სკრუპულოზული სიზუსტით დამუშავებული მასალის ანალიზი, ზომიერი, მჭევრმეტყველურად ნათქვამი სიტყვა იმდენად ცოცხლად აღიქმებოდა სასამართლოს მიერ, რომ იგი ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ზრდიდა სასამართლოს კულტურის საერთო დონეს, აფართოებდა მის შეხედულებასა და წარმოდგენათა არეს. სწორედ ეს იყო მისი დამსახურება როგორც ადვოკატისა და ამის გამო გახდა ის ერთი უპირველესთაგანი დამცველი სისხლის სამართლის საქმეებზე. მისი საჩივრები სხვადასხვა საქმეებზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქტობრივი მონაცემების გამოკვლევისა და საკითხის მიდგომის მასშტაბურობის მიხედვით, დაბვეწილი შრომებია კონკრეტულ საქმეებზე, რომელთა ღირსება, ლიტერატურული და სხვა ნიშნების მიხედვით, განუსაზღვრელად დიდია.

ამით აიხსნება რომ, როდესაც ალ. საგინაშვილმა 1974 წელს, მძიმე ავადმყოფობის გადატანის გამო, ამჯობინა ადვოკატურის დატოვება, საქართველოს სსრ ადვოკათა კოლეგიის პრეზიდიუმმა ერთსულოვნად გამოთქვა აზრი, რომ როდესაც შეძლებდა კვლავ დაბრუნებოდა ადვოკატურას, ა. საგინაშვილი დაუყონებლივ აღედგინათ ადვოკატურაში.

ალ. საგინაშვილიც იმედოვნებდა, რომ გარკვეული დროის შემდეგ დაუბრუნდებოდა საყვარელ პროფესიას.

ადვოკატის პროფესია, თუ ეს „ხელოსნური“ არ არის, დიდ პროფესიულ უნართან ერთად მოითხოვს მეტად ინტენსიურ შრომას, რაც ხშირად ნერვულ გადატვირთულობას მოითხოვს, რადგან ჭარბ ემოციურ ფაქტორებთან არის დაკავშირებული.

ალ. საგინაშვილი ოცნებობდა ადვოკატურაში მუშაობის განახლებაზე, მაგრამ არ დასცალდა.

ალ. საგინაშვილი არასოდეს არ კნინდებოდა და არ წვრილმანდებოდა თავისი მოვალეობის აღსრულების დროს. მისი დაცვითი პოზიცია განირჩეოდა თავდაჭერილობით იმ ბრალდებულთა მიმართაც, რომელთა ინტერესები ეწინააღმდეგებოდა მისი დასაცავი პირის ინტერესებს. იგი არ მიმართავდა იაფასიან საშუალებებს, რომ მიეღწია გარეგნული ეფექტისათვის; არ იყო ქლესა და გადაჭარბებულ სიმპათიებს არ ავლენდა პროცესში მონაწილე პირების მიმართ; არასოდეს მიუმართავს რაიმე ობსტრუქციონისტული საშუალებისათვის, საქმის საზიანოდ და გასაჭიანურებლად. მას ღირსეულად და დამოუკიდებლად ეჭირა თავი.

ალ. საგინაშვილს პატივს სცემდნენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. სადაც კი ის გამოსულა, მისი დაცვითი სიტყვა ნიმუში ყოფილა იმისა, თუ როგორ უნდა იქცეოდეს საბჭოთა დამცველი საქმის წარმოების დროს, რთულ სიტუაციაში. საბჭოთა მეცნიერ-პროცესუალისტს პერლოვს 1957 წელს გამოცემულ წიგნში ვრცლადა აქვს გარჩეული დაცვის პოზიცია, რუსთაველის თეატრის შენობის ხანძართან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც ალ. საგინაშვილი თეატრის დირექტორს იცავდა.

მისი გამოსვლა ამ საქმეზე მეტად დადებითად იქნა შეფასებული. ამ საქმის ცალკეული ძნელად გასამარტავი ფაქტები და ხვეულები, რომელთა შესახებ, ბრალდებულები ერთმანეთის საწინააღმდეგო განმარტებას იძლეოდნენ, რკინისებური ლოგიკის მომარჯვებით, ამომწურავად გაანალიზა და განმარტა ალ. საგინაშვილმა. ამასთანავე ეს ანალიზი უადრესად დიდი ტაქტით იყო შესრულებული და უპასუხებდა საქმის ნამდვილ ვითარებას.

ალ. საგინაშვილი მონაწილეობდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების და სასამართლო წყობილების კანონის პროექტების მომზადებაში, რისთვისაც მას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წელს მადლობა გამოუცხადა. ამ ამ პროექტების განხილვის დროს ალ. საგინაშვილის შენიშვნების მიმართ დაუფარავ ინტერესს იჩენდენ პროექტების შემდგენი კომისიის წევრები.

1976 წლის 4 დეკემბერს ვერის სასაფლაოს მიაბარეს ალ. საგინაშვილი. მის საფლავზე არ თქმულა მაღალმეტყველი სიტყვები, ყველა ჩაფიქრებული და გულდაწყვეტილი ეთხოვებოდა საყვარელ პიროვნებას, რომლის ინტელიგენტურობა, შრომისმოყვარეობა და სხვა კარგი თვისებები დაუვიწყარი დარჩება.

გ. გარათაშვილი
ალ. ხოჭოლავა
ო. კაციტაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არბიტრაჟის პრაქტიკა

სახელმწიფო არბიტრაჟის პრაქტიკა

1. საწარმოო ტექნიკური დანიშნულების პროდუქტის მიწოდების შესახებ დებულების 82-ე მუხლის არა სწორი გამოყენება

ქ. ერევნის საბურავების ქარხანამ აღძრა სარჩელი საწარმოო გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ გარდაბანის შემზიდავი ბაზისაგან 4231 მან. გადახდევინებაზე, რაც შეადგენდა ექვსი ანგარიშით მიწოდებული ავტოსაბურავების ღირებულების 5 პროცენტს.

სასარჩელო განცხადებაში ერევნის ქარხანამ განაცხადა, რომ პროდუქციის მიწოდების შესახებ დებულების 81 მუხლის შესაბამისად ეძიებს მოპასუხისაგან ჯარიმის 5 პროცენტის რაოდენობით სხვისი სახსრებით სარგებლობისათვის, იმ საფუძვლით, რომ მოპასუხემ მისგან მიღებული პროდუქციის ღირებულება გაანაღდა მიღების დღიდან, მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ.

სახელმწიფო არბიტრაჟმა სარჩელი სრულად დააკმაყოფილა, გადაწყვეტილებაში კი აღნიშნა, რომ სარჩელი კმაყოფილდება პროდუქციის მიწოდების შესახებ დებულების 82-ე და არა 81-ე მუხლის შესაბამისად.

სახელმწიფო არბიტრაჟის ეს გადაწყვეტილება გადაისინჯა ზედამხედველობის წესით, გადაწყვეტილება გაუქმდა, ხოლო მოსარჩელეს მის სარჩელში უარი ეთქვა.

საქმის მასალებით დადგინდა, რომ მოსარჩელემ სხვადასხვა დროს 1974 წლის ივნისიდან დეკემბრამდე პერიოდში, მიაწოდა მოპასუხეს 23653 მან. ღირებული ავტოსაბურავები, იმავე წლის დეკემბრეში მხარეებმა მოახდინეს ანგარიშების ურთიერთშედარება, რის შედეგად მიმწოდებელს თავისი კუთვნილი თანხა მთლიანად ჩაერიცხა.

საქმეში არ იყო წარმოდგენილი იმის მტკიცება, რომ მიმწოდებელმა თავის დროზე, ბანკის მეშვეობით წარადგინა ანგარიშები გაცემული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურებაზე, ხოლო მოპასუხემ მის აქცეპტზე უარი განაცხადა, ან სხვა რაიმე გზით აარიდა თავი ამ თანხის გადახდას. ამგვარად, სადავო პროდუქციის ანაზღაურებისაგან თავის არიდების ფაქტი დადგენილი არ იყო და ამიტომ მაძიებელს არ ჰქონდა საფუძველი მოეთხოვა მოპასუხისაგან ჯარიმა გათვალისწინებული მიწოდების შესახებ დებულების 81-ე მუხლით.

წლიური ხუთი პროცენტი სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობისათვის საჯარიმო სანქცია არ არის, მაგრამ მოცემული დავის პირობებში არც მისი გამოყენება იყო სწორი, ვინაიდან სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობას ადგილი არ ჰქონია.

სინამდვილეში სახეზე იყო გაცემული პროდუქციის ღირებულების დაგვიანებით ანაზღაურება, რაც მოხდა მიმწოდებლის მიზეზით, რომელმაც არ დაიცვა ანგარიშსწორების დადგენილი წესი. ამიტომ მას არ ეკუთვნოდა არც ჯარიმა გათვალისწინებული 81-ე მუხლით და არც 5 პროცენტი, რაზეც ლაპარაკია მიწოდების შესახებ დებულების 82-ე მუხლით, რომლის თანახმად ასეთი გადახდება მხარეს მხოლოდ ანგარიშსწორების დროს მიღებული ზედმეტი თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში.

დადგენილება ზედამხედველობის წესით გასაჩივრდა სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრის წინაშე, რომელმაც იგი დატოვა ძალაში.

2. დაწუნებული საქონლის დაუბრუნებლობა ან მისი გამოყენება მყიდველის მიერ არ ქმნის საფუძველს ამ პროდუქციის ღირებულებისა და არასათანადო ხარისხის პროდუქციის მიწოდებისათვის დადგენილ ჯარიმაზე აღძრულ სარჩელში უარის თქმისათვის

ხეტყის მასალის მყიდველმა ორგანიზაციამ აღძრა სარჩელი სამტრედიის ხის დამამუშავებელი კომბინატის მიმართ არასათანადო ხარისხის ხეტყის ღირებულებისა და ჯარიმის თანხის გადახდევინებაზე.

საქმის განხილვის პროცესში მოპასუხე ით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოვდა, მხოლოდ დაწუნებული მასალის უკან დაბრუნებას, ხოლო მისი უხარისხობის ფაქტზე არ დაობდა.

სახარბიტრაჟმა სარჩელი დააკმაყოფილა. მოპასუხეს დაევალა პატრონობა გაეწია ამ პროდუქციისათვის. გადაწყვეტილების გამოტანიდან რამდენიმე თვის შემდეგ მოპასუხემ განცხადებით მოითხოვა გადაწყვეტილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო. მოპასუხემ თავის განცხადებას საფუძვლად დაუდო ის ფაქტი, რომ დაწუნებული ხეტყის მასალა მყიდველმა გამოიყენა და მისი მოთხოვნა ასეთის დაბრუნების შესახებ არ შეასრულა.

სახარბიტრაჟმა გადასინჯა თავისი პირველი გადაწყვეტილება. მოსარჩელეს მის ძიებაში უარი უთხრა, ხოლო მყიდველი დააჯარიმა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ არაკონდიციური პროდუქციის გამოყენებისათვის.

გადაწყვეტილება გასაჩივრდა სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟში, რომელმაც გააუქმა არბიტრაჟის მეორე გადაწყვეტილება, ხოლო პირველი, რომლითაც დაკმაყოფილდა სარჩელი, დატოვა ძალაში.

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის დადგენილებაში მითითებულია, რომ დაწუნებული საქონლის დაუბრუნებლობა ან მისი გამოყენება მყიდველის მიერ არ ქმნის საფუძველს წუნდებული პროდუქციის ღირებულებისა და ჯარიმაზე აღძრულ სარჩელში უარის თქმისათვის და არც მყიდველის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმებისათვის. რამდენადაც სადაო პროდუქციის არა სათანადო ხარისხი დადასტურდა საქმის მასალებით და მოპასუხეც ამ ფაქტს არ უარყოფდა სარჩელი ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას. არაკონდიციური პროდუქციის დაუბრუნებლობის ან გამოყენების შემთხვევაში მოპასუხე ვალდებული იყო მიემართა სახარბიტრაჟისათვის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით დადგენილი საპრეტენზიო წესის დაცვით და არა განცხადებით გამოტანილი გადაწყვეტილების შეცვლის შესახებ. არბიტრს არ უნდა მიეღო ასეთი განცხადება.

3. მხარეების მატერიალური პასუხისმგებლობა სავაჭრო გარიგების პირობების დარღვევისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ გარიგებით

სამომხმარებლო კოოპერატივის კარელის ბაზამ 1975 წლის მაისში დადებულ სავაჭრო გარიგების საფუძველზე მიუიდა პერვო ურალსკის საქალაქო ვაჭრობას ლიუფის ნაკეთობა, რომლის მწარმოებელი იყო ზუგდიდის უსინათლოთა საზოგადოების სასწავლო საწარმოო. საქონლის მიღების დროს ნაწილი დაწუნებულ იქნა საწარმოო ხასიათის დეფექტების გამო.

სარჩელი აღძრა საბოლოო მყიდველმა პერვოურალსკის საქალაქო ვაჭრობამ, რომელმაც სავაჭრო გარიგებაზე დაყრდნობით მოითხოვა ჯარიმა არა სათანადო ხარისხის საქონლის მიწოდებისათვის. მოპასუხეებად მან დაასახელა ზუგდიდის სასწავლო საწარმოო და კარელის ბაზა.

სახარბიტრაჟმა სარჩელი დაკმაყოფილა გამყიდველის კარელის ბაზის ხარჯზე, ვინაიდან საქონლის მწარმოებლის მიმართ გაშვებული იყო სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. პროდუქცია გამოშვებული იყო 1973 წელს, ხოლო რამდენადაც საქონელი გაყიდული იყო სავაჭრო გარიგებით, მყიდველი ითვლება ამ საქონლის საბოლოო მიმღებად და როგორც ასეთი, ვალდებული იყო დროზე შეემოწმებია საქონლის ხარისხი.

არბიტრაჟის ეს გადაწყვეტილება გააუქმა სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟმა, რომელმაც ყურადღება მიაქცია იმას, რომ საქმეში წარმოდგენილი იყო სავაჭრო გარიგების ამონაწერი, საიდანაც არ ჩანდა გაითვალისწინეს თუ არა მხარეებმა სათანადო ქონებრივი პასუხისმგებლობა გარიგების პირობების დარღვევისათვის, კერძოდ, ჯარიმა არასათანადო ხარისხის საქონლის გაყიდვისათვის. სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის დადგენილებაში მითითებულია, რომ გამყიდველის პასუხისმგებლობა გაყიდული ნივთის არა სათანადო ხარისხისათვის გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 41-ე მუხლით, მაგრამ გამყიდველისაგან ჯარიმის გადახდევინებას ეს მუხლი არ ითვალისწინებს და თუ გარიგებით ასეთი პირობა გათვალისწინებული არ არის, არბიტრაჟს არ აქვს საფუძველი შეუფარდოს ასეთი ჯარიმა.

დავის განმეორებით განხილვის დროს მოსარჩელეს უარი ეთქვა, ვინაიდან მან ასეთი მტკიცება ვერ წარმოადგინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. სავაჭრო გარიგების საფუძველზე გაყიდული საქონლის ხარისხზე პასუხისმგებელია გამყიდველი ორგანიზაცია

თბილისის № 3 სატრიკოტაჟო ფაბრიკამ 1974 წ. აგვისტოში ხარკოვის ფირმა „ტანსაცმელს“ მიაწოდა სატრიკოტაჟო ნაწარმი.

ფირმამ აგვისტოშივე გადაუგზავნა იგი კუპიანის სავაჭრო ბაზას, ხოლო ამ უკანასკნელმა 1975 წ. თებერვალში სავაჭრო გარიგების საფუძველზე მიაწოდა ნოვოკახოვსკის სავაჭრო ბაზას. სავაჭრო გარიგება ითვალისწინებს მხარეების უფლება-მოვალეობას საქონლის მიწოდების შესახებ მოქმედი დებულების შესაბამისად. საბოლოო მიმღებმა — მოვოკახოვსკის ბაზამ 1975 წ. მარტში ჩაატარა მიღებული საქონლის ხარისხის ექსპერტიზა, რის შედეგად დადგინდა, რომ საქონელი საწარმოო ხასიათის დეფექტების გამო არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტს.

არბიტრაჟში აღძრა დავა არასათანადო ხარისხის საქონლის მიწოდებისათვის კუთვნილ ჯარიმაზე. მოპასუხედ ჩაბმული იყვნენ საქონლის მწარმოებელი სატრიკოტაჟო ფაბრიკა და გამყიდველი კუპიანის ბაზა.

არბიტრაჟმა სარჩელი დააკმაყოფილა კუპიანის ბაზის ხარჯზე, ვინაიდან საქონლის მწარმოებელი სატრიკოტაჟო ფაბრიკის მიმართ გაშვებული იყო ძიებითი ხანდაზმულობის ვადა. კუპიანის ბაზა, როგორც საქონლის გამყიდველი, პასუხისმგებელი იყო ამ საქონლის ხარისხისათვის.

ჯარიმას ითვალისწინებს სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ მოქმედი დებულება, რაც მითითებულია მხარეებს შორის დადებულ სავაჭრო გარიგებაში.

ეს გადაწყვეტილება გასაჩივრდა სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟში, რომელმაც იგი ძალაში დატოვა.

5. პირგასამტეხლო ხაქონლის ნაკლმიწოდებისათვის შეიძლება შეფარდებულ იქნეს მხოლოდ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე

მოზდოკის რაისამომხმარებლო კოოპერატივმა აღძრა სარჩელი ზუგდიდის ჩაის საწნეხი ფაბრიკისა და „როსბაკალეის“ ჩრდილოეთ ოსეთის კანტორის მიმართ 1975 წ. II-კვ. მწვანე ჩაის ნაკლმიწოდებისათვის პირგასამტეხლოს გადახდევინებაზე. სარჩელის საფუძვლად მოზდოკის რაიკოოპერატივმა წარმოადგინა ხელშეკრულება, დადებული „როსბაკალეის“ ჩრდილოეთ ოსეთის კანტორასა და ჩრ. ოსეთის სამომხმარებლო კავშირს შორის.

არბიტრაჟი, დარწმუნდა რა, რომ მოზდოკის რაიკოოპერატივი ამ ხელშეკრულებაში არ მონაწილეობს არც როგორც ხელშეკრულების დამდები მხარე და არც როგორც წილობრივი მონაწილე, საქონლის მიწოდების შესახებ დებულების წესების მე-60 მუხლის შესაბამისად სარჩელში უარი უთხრა.

მოზდოკის რაიკოოპერატივმა გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟში. საჩივარში იგი მიუთითებდა, რომ ჩრდ. ოსეთის სამომხმარებლო კავშირი მისი ზემდგომი ორგანიზაციაა, რომელიც სდებს ხელშეკრულებას მიმწოდებლებთან, ხოლო თავის სისტემას უგზავნის განრიგებს, რომლის საფუძველზეც წარმოებს საქონლის მიწოდება.

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟმა მოზდოკის რაიკოოპერატივის საჩივარი უშედეგოდ დატოვა. პასუხში აღნიშნული იყო, რომ პირგასამტეხლო საქონლის ნაკლმიწოდებისათვის შეიძლება გადახდევინება მოხდეს მხოლოდ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ჩრდ. ოსეთის სამომხმარებლო კავშირის მიერ დაშვებული საფონდო უწყისი ან განრიგი ვერ შეცვლის ხელშეკრულებას ან მის შემცვლელ დოკუმენტს.

6. მალფუჭებადი პროდუქციის ტრანსპორტის ორგანოსაგან მიღების დადგენილი ვადებისა და წესების დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობა მიუენებული ზიანისთვის ეკისრება ტვირთის მიმღებს

ერევნის მაცივარკომბინატმა აღძრა სარჩელი ა/კ რკინიგზის სამმართველოსა და ნოვოალექსეევის დამამზ. ბაზისაგან 2547 მან. გადახდევინებაზე, რაც შეადგენდა 63330 ცალ დამტვრეული და გაფუჭებული კვერცხის ღირებულების.

საქმის მასალების შემოწმების შედეგად არბიტრაჟი დარწმუნდა, რომ კვერცხის სადავო პარტია დანიშნულების სადგურზე გადაზიდვის დადგენილი ვადების დარღვევით მოვიდა, მაგრამ ტვირთის მიმღებმა მაინც მიიღო იგი შეუმოწმებლად და გაიტანა რკ. გზის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესების 65 მუხ. წესით, შეუდავებლად. როცა კვერცხი დაურიგდა მაღაზიებს, აღმოჩნდა რომ უხარისხო იყო, რაც გააფორმეს აქტით, რომელიც შედგა ხუთი დღის დაგვიანებით, რკ. გზის სადგურიდან ტვირთის მიღების შემდეგ. ასევე ხუთი დღის დაგვიანებით და ტვირთის გაზიდვის შემდეგ ერევნის მაცივარკომბინატმა მოითხოვა რკ. გზის ერევნის განყოფილებისაგან კომერციული აქტის შედგენა.

ვინაიდან ტვირთის მიმღებმა დროზე არ მოითხოვა რკ. გზის კომერციული აქტი, არ შეამოწმა ტვირთის ხარისხობრივი მდგომარეობა, მიუხედავად იმისა, რომ გადაზიდვის ვადა უხეშად იყო დარღვეული, მან არ მოიპოვა რკინიგზისადმი პრეტენზიისა და სარჩელის წარდგენის უფლება, ხოლო კვერცხის მიმწოდებელს ბრალი არ დაუდასტურდა, რამგანაც შეიძლება კვერცხი ხანგრძლივი ტრანსპორტირების დროს გაფუჭდა, რკ. გზის ბრალით.

კვერცხის ხარისხის შემოწმება უნდა მომხდარიყო არა უგვიანეს 24 საათისა, ფაქტიურად მოხდა მიღებიდან 5 დღის შემდეგ. ყველა ამის გამო მოსარჩელეს უარი ეთქვა.

საჩივარი, შეტანილი სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟში, დატოვებულ იქნა უშედეგოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ 1976 წელს გამოქვეყნებული მასალების საძიებელი

მოწინავე, სარედაქციო სტატიები, ოფიციალური ცნობები

დიდი მოქალაქე და მამულიშვილი. № 5, გვ. 3-5.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი სამოცდაათი წლისაა. № 6, გვ. 3-6.

მაღალი შეფასება გვავალებს. № 3, გვ. 9-13.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოები და კულტურის ძეგლთა დაცვა. № 6, გვ. 7-9.

სკკპ XXV ისტორიული ყრილობა. № 2, გვ. 3-9.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობა და ჩვენი ამოცანები. № 1, გვ. 3-8.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის შედეგები და ჩვენი ამოცანები. № 4, გვ. 9-13.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში. № 3, გვ. 3-8.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში № 4, გვ. 3-8.

საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგების შესახებ. № 2, გვ. 10-15.

სახელმწიფო და სამართლის თეორია, ისტორია, პოლიტიკური მოძღვრების ისტორია, სახელმწიფო, ადმინისტრაციული, საერთაშორისო სამართალი

ბაქრაძე ჯ. — საქართველოს მოსახლეობის ზრდის ზოგიერთი სოციოლოგიური ასპექტი. № 6, გვ. 58-61.

გელაშვილი ნ. — ისქანდერ მუნში უნდილაძეთა უკანასკნელი დღეების შესახებ ირანში. № 2, გვ. 62-65.

ერემოვი გ. — სკკპ XXV ყრილობა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესების ამოცანების შესახებ. № 3, გვ. 14-21.

ირემაძე ა. — ცხოვრების საბჭოთა წესი — როგორ სრულყოთ იგი. № 6, გვ. 10-20.

კიბირძალიძე ო. — მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საერთო და სპეციალური კომპეტენცია. № 4, გვ. 26-33.

სადამონიძე ვ. — ივ. მაჩაბელი სამსჯავროს წინაშე. № 2, გვ. 53-56.

სამოქალაქო სამართალი, პროცესი, სამეურნეო, საოჯახო სამართალი, არბიტრაჟი

ბადაგაძე ნ. — საცხოვრებელი სადგომის დამქირავებლის და მისი ოჯახის წევრთა საბინაო უფლებები. № 1, გვ. 40-47.

ლილუაშვილი თ. — სკკპ XXV ყრილობა და სახალხო მეურნეობის მართვის სამართლებრივი საკითხები. № 3, გვ. 22-31.

ნინიძე თ. — სახელის უფლების შინაარსი. № 1, გვ. 29-39.

სულხანიშვილი ა. — პროდუქციაზე ანგარიშსწორებისას ფასთა მოწესრიგების ზოგიერთი საკითხი. № 6, გვ. 31-34.

სუხიტაშვილი დ. — უპატრონო ქონების სამართლებრივი რეჟიმი. № 2, გვ. 26-35.

ტაბუცაძე ი. —ქონებრივთან დაკავშრებული პირადი არაქონებრივი უფლებების შესახებ. № 5, გვ. 6-10.

შენგელია რ. — საბჭოთა სახელმწიფოს სამოქალაქო სამართალსუბიექტობის თავისებურებანი. № 6, გვ. 21-30.

ცინცაძე რ. — სამეურნეო-ხელშეკრულებითი პასუხისმგებლობის ეფექტიანობის საკითხისათვის. № 4 ,გვ. 34-49.

სისხლის სამართალი, პროცესი, კრიმინოლოგია, კრიმინალისტიკა

გეგეჭკორი გ. — თავისუფლების აღკვეთის ვადა და მისი როლი სასჯელის მიზნის მიღწევაში. № 2, გვ. 43-46.

დავიდოვი თ. ფუტკარაძე ნ. — სპეციალისტ-ექსპერტების გამოკითხვა, როგორც კრიმინოლოგიური ინფორმაციის შეგროვების მეთოდი. № 4, გვ. 61-71.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეკვეიშვილი მ. — მკვლელობა ჩადენილი უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღელვების საფუძველზე. № 5, გვ. 11-17.

მიქაძე ა. — შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების საკითხი ბრალის ცნებაში. № 1, გვ. 48-62.

ნაჭყებია გ. — ქცევის დეტერმინისტული კონცეფცია —დანაშაულთა თავიდან აცილების მეთოდოლოგიური საფუძველი, № 2, გვ. 36-42.

წერეთელი თ. — დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობის საკითხები სასამართლო პრაქტიკაში. № 3, გვ. 32-48.

წერეთელი თ. — ევთანაზია როგორც ზნეობრივი და სამართლებრივი პრობლემა № 6, გვ. 35-45.

წულაია ზ. — სოციალისტური ქონების გატაცების ცნების საკითხისათვის. № 4, გვ. 50-60.

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის პრაქტიკა

გრიგოლავა ვ. — ფიქრები სასამართლო პროცესის შემდეგ. № 5, გვ. 18-32.

ლილუაშვილი გ. — ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ სახალხო მოსამართლეთა არჩევნებს. № 1, გვ. 18-22.

რიგვავა ს. — გავაუმჯობესოთ სამართალდარღვევათა პროფილქტიკის საზოგადოებრივი და მილიციის საყრდენი პუნქტების მუშაობა. № 1, გვ. 9-17.

სუხიაშვილი ო. — მუდამ საბრძოლო საგუშაგოზე. № 6, გვ. 46-49.

ფოცხვერია თ. — ევროპის სოციალისტური ქვეყნების კრიმინოლოგთა IV საერთაშორისო კონგრესი არასრულწლოვანთა დამნაშვეობის პრობლემებზე. № 3, გვ. 62-66.

შუშანაშვილი ა. — სკკპ XXV ყრილობა და იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების ამოცანები. № 4, გვ. 14-25.

ძაგანია გ. — წინასწარი პატიმრობის ადგილებზე საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელების ზოგიერთი საკითხი. № 3, გვ. 57-61.

ხიონიდი ი. — გამომძიებლის საქმიანობა მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად. № 3, გვ. 49-56.

მავნე წეს-ჩვეულებებს დაუნდობელი ბრძოლა.

ბოჭორიშვილი ლ. — აჭარის ჩვეულებითი სამართლის ისტორიიდან. № 2, გვ. 47-50.

ლორია ვ. — გავაძლიეროთ ბრძოლა მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებათა წინააღმდეგ. № 1, გვ. 23-28.

ნადარეიშვილი გ. — მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ისტორიიდან . № 1, გვ. 63-70.

ქვაჩახია ვ. — ტრადიციები: რა დავგმოთ? რა შევინარჩუნოთ, განვავითაროთ? № 2, გვ. 16-25.

ქართული სამართლის ისტორია

დავითულიან დ. — ფიცის როლი სვანურ სამართლებრივ ჩვეულებებში. № 2, გვ. 51-52.

ტალიაშვილი ა. — სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები ი. ბაგრატიონის „კალმასობაში“. № 1, გვ. 89-96.

ტალიაშვილი ა. — ი. ბაგრატიონი წოდებებისა და წოდებათა ურთიერთობის შესახებ. № 6, გვ. 62-67.

თარგილები

ბარამიძე არ. — ივანე ჯავახიშვილის კონცეფცია საქართველოში პირველყოფილ-თემური წყობილებისა და კლასობრივი საზოგადოების აღმოცენების შესახებ და ქართული ისტორიოგრაფია. № 5, გვ. 57-63.

კეკელია მ. — ქართული სამართლის წიგნების ზოგიერთი მუხლის მართებული წაკითხვისათვის. № 1, გვ. 80-83.

ლომინაძე რ. — ვახტანგდ VI კანონთა კრებულის თარგმანის, პუბლიკაციის და გამოყენების ისტორიიდან XIX საუკუნის პირველ ნახევარში. № 1, გვ. 84-88.

მენაბდე ა. — ნამდვილი აღმზრდელი. № 1, გვ. 71-72.

სურგულაძე ი. — რამდენიმე ეპიზოდი ვახტანგ VI-ის მოღვაწეობიდან. № 1, გვ. 73-79.

სურგულაძე ი. — ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის დარგში. № 5, გვ. 49-56.

შერაზადიშვილი ზ. — სამართლებრივი ცოდნისა და აღზრდის საწყისები ი. ს. გოგებაშვილის „დედა-ენაში“. № 6, გვ. 50-57.

ჯორბენაძე ს. — დაუვიწყარი ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა. № 5, გვ. 33-48.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

გამყრელიძე ო. — რთული პრობლემის საყურადღებო გამოკვლევა. № 5, გვ. 75-83.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარიშვილი გ. — უნგრელი მეცნიერის ნაშრომი საკუთრების საკითხებზე რომის სამართლის მიხედვით. № 2, გვ. 72-75.

კუჭუხიძე შ. — დამხმარე სახელმძღვანელო მილიციის მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის შესახებ. № 2, გვ. 76-77.

ყორდანია ი. — წიგნი დანაშაულში თანამონაწილეობის და ამსრულებლობის საკითხებზე. № 3, გვ. 67-74.

როგავა ხ. — ნაშრომი საერთაშორისო-სამართლებრივ საკითხებზე. № 2, გვ. 68-71.

ფარქოსაძე ვ. — ნაშრომი ადმინისტრაციულ-პროცესუალური სამართლის კოდიფიკაციის საკითხებზე. № 3, გვ. 75-77.

მხატვრული ნაწარმოებები, ნარკვევები, ნარევი

გუგუშვილი თ. — ომგადახდილი. № 4, გვ. 81-82.

ვისოცკი ს. — ცოცხლებს შორის გაუჩინარებულნი. № 2, გვ. 83-92. № 3, გვ. 78-83, № 4, გვ. 77-80, № 5, გვ. 70-74; № 6, გვ. 83-89.

მამალაძე რ. — მეოთხედი საუკუნე სოციალისტური კანონიერების სადარაჯოზე. № 6, გვ. 77-78.

ნანობაშვილი დ. — თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრი. № 5, გვ. 64-65.

ნარევი. № 2, გვ. 78-81, № 6, გვ. 79-82.

ჟურნალისტი-იურისტი. № 4, გვ. 83.

ღაზნელი ზ. — ღვაწლმოსილი იურისტი. № 2, გვ. 66-67.

შეთეკაური გ. ხალხური ზნეობრივი პრინციპების პოეტური გამოძახილი. № 2, გვ. 57-61.

ჩვენი ინტერვიუ

დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიაში. № 4, გვ. 72-76.

იურისტთა კადრების აღზრდის სამსახურში. № 6, გვ. 75-76.

ოფიციალური მასალა

კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა — ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ. № 6, გვ. 68-72.

ბრძანებულებები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა:

1976 წლის 20 აპრილის — ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, დაბასა და სასოფლო საბჭოში მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასაფლო საბჭოების არჩევნების ჩატარების წესის შესახებ. № 2, გვ. 82.

1976 წლის 13 მაისის — საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ. № 3, გვ. 89.

1976 წლის 24 ივლისის — საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალაკარგულად ცნობის შესახებ. № 5, გვ. 66.

1976 წლის 3 აგვისტოსი — საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლში დამატებათა შეტანის შესახებ. № 5, გვ. 66.

1976 წლის 17 ნომბრის — ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების მე-15 მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ“. № 6, გვ. 74.

1976 წლის 17 ნოემბრის — საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 506-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ. № 6, გვ. 74.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. № 5, გვ. 67-69.

ინფორმაცია. № 2, გვ. 90-92; № 3, გვ. 90-94; № 4, გვ. 84-91; № 5, გვ. 84-94. № 6, გვ. 90-96.

მოკლე ცნობები. № 2, გვ. 93-94; № 4, გვ. 92-94.

ნეკროლოგები

დ. ბ. კაკაბაძე. № 2, 95.

ნ. ი. ლასხიშვილი. № 2, 96.

ს. ა. ჯაფარიძე. № 3, გვ. 95-96.

ა. ე. ტაკიძე. № 4, გვ. 95-96.

გ. დ. კერესელიძე. № 5, გვ. 95.

შ. ი. ტყავაძე. № 5, გვ. 96.

შეცდომების გასწორება

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1976 წ. მე-6 ნომერში, 75-ე გვერდის მე-2 სვეტის ზემოდან მე-10 სტრიქონი უნდა იკითხებოდეს: მდგომი, იმ ჟურნალისტმა მეფედ ჩამთვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 50 კაპ.

ИНДЕКС 70185

САБЧОТА САМАРТАЛИ № 1

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Министерства Юстиции Грузинской ССР